"თბილსრესი"
6 მილიონ ევროს მიიღებს A3

"თქვენი აფხაზეთი" A8

ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 24 დეკემბერი, 2003 წელი. №331 (543)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### მძიმე ჭაპანს დეპუტატებმა ბოლომდე ვერ გაუძლეს

"არაფერი არ უშველის ამათ, თუნდაც ათჯერ მეტი ხელფასის მიცემა," - დეპუტატების უპასუხისმგებლობის შემხედვარე გიგი წერეთელმა გუშინ საბოლოოდ ჩაიქნია კოლეგებზე ხელი. მართლაც, რიგგარეშე სესიის პირველივე დღეს პარლამენტარებმა კიდევ ერთხელ "ისახელეს თავი".

A2

## ეკონომიკა

### კონტრაბანდასთან საბრძოლველად არასამთავრობო ორგანიზაციები გაერთიანდნენ

ანტიკონტრაბანდულ ცენტრში გაერთიანებულ არასამთავრობო ორგანიზაციათა წევრებს ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობისა და კორუფციის ერთიანი ძალებით შემცირების იმედი აქვთ.

A4

## უცხოეთი

### 2003 წელი თვალის ერთი გადავლებით

მიმდინარე წელს მსოფლიოში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების ინფოგრაფიკა.

A5

## საზოგადოება

### ჯანდაცვის სისტემის განვითარების მეტრეველისეული ფორმულა

საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე ლევან მეტრეველი ახალ ხელისუფლებას, კოპენჰაგენში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიერ მოწონებული ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის ნაცვლად (აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოში ჯანდაცვის სისტემის განვითარებას 2010 წლამდე), საკუთარ პლატფორმას სთავაზობს.

A6

## სამართალი

### აკაკი ჩხაიძის გარემოცვიდან კიდევ ორი პიროვნება დააპატიმრეს

სატრანსპორტო პოლიციის საგამოძიებო ნაწილიც, სადაც ახალი საქმე აღიძრა, რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის დაკითხვას ელოდება. ჩხაიძეს ამჯერად წლების განმავლობაში "ყბადაღებული" ვაგონების ჯართის სახით გაყიდვაზე მოუწევს პასუხის გაცემა.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 11 | |
| ქუთაისი | 15 | |
| ბათუმი | 17 | |
| სოხუმი | 13 | |
| ფოთი | 16 | |
| თელავი | 11 | |
| ზუგდიდი | 15 | |
| გორი | 9 | |
| ახმეტა | 11 | |
| ქიათურა | 12 | |
| გაგრა | 11 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0820 |
| ევრო | 2.5833 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6704 |
| რუბლი | 0.0712 |

# კლონდაიკი-2

## თრილერი "ქართული ოქრო" გრძელდება

რევაზ საყევარიშვილი

ქართული ოქროს ისტორია - ჟანრის ყველა ძირითადი კანონის დაცვით დაწერილი კრიმინალური თრილერი კვლავ გრძელდება და, როგორც ჩანს, კიდევ არაერთი სისხლიანი გარჩევის და თეთრი ძაფით ნაკერი აფიორის ეპიზოდს დაიმატებს.

პირველი აჟიოტაჟის გადავლის შემდეგ, როდესაც სამართალდამცველებმა, როგორც იქნა, ამოღერღეს, რომ ქართულ კეთილშობილ ლითონებს არაკეთილშობილურად ქვემო ქართლის გუბერნატორი და მისი გუნდი ელაციცებოდა, ყველაფერი ამ ეტაპზევე გაიყინა და არანაირი წინსვლა აღარ შეინიშნება.

600 კილოგრამი ოქროს დაპატიმრების ისტორია ის ერთადერთი თემაა, რომელზეც დროდადრო კიდევ ხდება ინტერესის თუნდაც მეტნაკლები გამახვილება და, როგორც ჩანს, საქმის ძიება სწორედ ამ შირმის მიღმა ჩაივლის. ამ ეიფორიული კამპანიის წარმოების ფონზე კი უყურადღებოდ რჩება (ან შეგნებულად არის დატოვებული) ის ფაქტები, რომელთა ჩრდილში მოქცევაც ძალიან მალე უმძიმეს დარტყმად მოუბრუნდება როგორც კონკრეტულად ქართული ოქროს წარმოებას, ასევე მთელ სახელმწიფოსაც, რომელიც ოქროს შემცველი ნედლეულის მფლობელი და განმკარგველია.

2004 წლის თებერვალში ვადა გასდის სააქციო საზოგადოება "მადნეულსა" და ავსტრალიურ ოქროს მომპოვებელ კომპანია

გაგრძელება A3 გვერდზე



ქართული ოქროს გზები ლევან მამალაძესთან იკვეთება.

# შიდა ქართლის გუბერნატორი ფართომასშტაბიან ანტიკრიმინალურ ოპერაციებს აგრძელებს

## სპეცოპერაციების შედეგად დააკავეს ერგნეთის ბაზრობის მსხვილი მაკონტროლებლები

ინგა ალავიძე

*"ვერ შევეგუები იმას, რომ ჩემი რეგიონი საქართველოში კონტრაბანდისა და ნარკობიზნესის წყარო იყოს," – ასე შეაფასა ახალმა გუბერნატორმა ირაკლი ოქრუაშვილმა შიდა ქართლის "ფუნქცია" და რამდენიმე კვირის წინ რეგიონის გასაწმენდად ანტიკრიმინალური ოპერაციები დაიწყო. ფართომასშტაბიანი სპეცოპერაციების ციკლი შიდა ქართლის რეგიონში გაგრძელდება მანამდე, სანამ ეს კუთხე ბოლომდე არ გასუფთავდება - ასეთია მხარის გუბერნატორის პოზიცია.*

**"ოპერაციის მსვლელობისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ შიდა ქართლის პოლიციის ბევრი თანამშრომელი კონტრაბანდისტებთან პირდაპირაა დაკავშირებული. სხვათა შორის, ოპერაციის დაწყების შესახებ პოლიციელები დამნაშავეებს წინასწარ ატყობინებენ და ამისათვის გასამსჯელოსაც იღებენ,"** – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა

გაგრძელება A7 გვერდზე



ფართომასშტაბიანი სპეცოპერაციის ერთ-ერთი მსხვერპლი.

# უკრაინის ოპოზიციის გადამწყვეტი ბრძოლა

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ დილით უკრაინის საკანონმდებლო ორგანოს – უმაღლესი რადას ოპოზიციური ფრაქციის დეპუტატებმა საპარლამენტო ტრიბუნის და პრეზიდიუმის ბლოკირება მოახდინეს. ისინი მიზნად ისახავენ იმ კანონპროექტის ჩაგდებას, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს. პროსახელისუფლებო ფრაქციების მიერ მომზადებული კანონპროექტის თანახმად, უკრაინის პრეზიდენტი 2004 წლიდან პარლამენტის მიერ უნდა აირჩეს და არა საყოველთაო სახალხო არჩევნების გზით. ეს კი ოპოზიციურ პარტიებს პრეზიდენტობისაკენ გზას ულობავს.

ამასთანავე, თუკი ოპოზიცია პარლამენტს აღნიშნული კანონპროექტის მიღების საშუალებას მისცემს, აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ახალი პრეზიდენტი კვლავ სახელისუფლებო ძალებიდან იქნება.

გაგრძელება A5 გვერდზე




უკრაინულმა ოპოზიციამ რადა-ს ნაძვის ხით შეუტია.

# როგორი თანამოსაუბრეები აღმოჩნდებიან ბურჯანაძე და პუტინი

## მთავარი მესიჯები ამერიკის გეოსტრატეგიული პოლიტიკით იქნება განპირობებული - ფიქრობენ რუსი ექსპერტები

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

მოსკოვში საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის ნინო ბურჯანაძის ვიზიტი, დამკვირვებელთა აზრით, ორი ფაქტორითაა დროული. მოსკოვის კარნეგის ცენტრის უფროსი ექსპერტი დმიტრი ტრენინი ამბობს, რომ **"რუსეთ-აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორობის გადამწყვეტ ფაზაში, რუსეთისათვის სულერთი არ იქნება აშშ-ს სასიცოცხლო ინტერესების ზონაში მოხვედრილი დსთ-ს ქვეყნების ლიდერთა აზრი იმ რეალიებთან დაკავშირებით, რასაც დრო და ობიექტურობა აყენებს ჩვენს წინაშე."** ტრენინი ამბობს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე საქართველოს ხელისუფალთა ლეგიტიმაციის დაჩქარება შეიძლება, რუსეთთან არსებული კონფლიქტების განმუხტვის ნიშნით ჩატარდეს.

ჯერჯერობით, არ არის გამოკვეთილი საქართველოსთან დაკავშირებით რუსეთის პოლიტიკურ სცენაზე საპარლამენტო არჩევნებით მოსულ პოლიტიკოსთა ერთიანი პოზიცია; ასევე უცნობია დამოკიდებულება ახალი ლიდერებისადმი, ანუ, როგორც მოსკოვში ამბობენ, ტრიუმვირატისადმი. ეს ცნება რუსეთის მასმედიაში მისმა ხშირმა და სასურველმა სტუმარმა იგორ გიორგაძემ დაამკვიდრა და მისი წყალობით ტერმინმა უარყოფითი ტონალობა შეიძინა.

ბლოკი "როდინა" ქართველ გენერალს თანაუგრძნობს და მიხეილ სააკაშვილის უკომპრომისო პერსონა აფრთხობს, თუმცა მაკაშოვისა და როგოზინისათვის რადიკალიზმი მისაღები ნორმა უნდა იყოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მოქმედი პრეზიდენტის მოწოდება

*საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი საარჩევნო სამზადისით კმაყოფილია. ყოველ შემთხვევაში, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებთან დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრის შემდგომ, ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ მოსახლეობა საკმაოდ მაღალ სამოქალაქო აქტივობას იჩენს და ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ წინასწარი რეგისტრაცია უკვე მილიონ 300 000-მა ამომრჩეველმა გაიარა.*

თამარ ასათიანი

გუშინ საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა ნინო ბურჯანაძემ კვლავ მოუწოდა საქართველოს მოსახლეობას სამოქალაქო აქტივობისაკენ: **"ოთხი იანვრის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს და საქართველოს ხელისუფლებამ საპრეზიდენტო არჩევნების ნორმალურად ჩასატარებლად ყველაფერი უნდა გააკეთოს. ჩვენ მთელ მსოფლიოს უნდა დავანახოთ, რომ ხალხი ტყუილად არ იბრძოდა. ოთხი იანვრის არჩევნებში მონაწილეობა თითოეული მოქალაქის მოვალეობაა და არ შეიძლება, მოქალაქეებმა აქტივობას პასიური მაყურებლის როლი არჩიონ."**

ნინო ბურჯანაძემ საარჩევნო ადმინისტრაციების წარმომადგენლებსაც მიმართა და საკმაოდ მკვეთრი განცხადება გააკეთა. მოქმედი პრეზიდენტის თქმით, **"საქართველოში ახალი ერა, ახალი პოლიტიკური რეალობა იწყება, რომელიც თავისუფალი იქნება არჩევნების შედეგების გაყალბებისა და გარიგებებისაგან,"** და რომ **"გაყალბების ნებისმიერი ფაქტი რეაგირების გარეშე არ დარჩება და გამყალბებლები უმკაცრესად დაისჯებიან."**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ხელისუფლების საგადასახადო ინიციატივები ოპოზიციის თავდასხმის საგნად იქცა

*დღევანდელმა ოპოზიციამ დღევანდელი მთავრობის გამოწვევა მიიღო - ჟვანია-ნოღაიდელის ორშაბათის ინიციატივებს სასწრაფოდ მოჰყვა კრიტიკის ნიაღვარი. საგადასახადო ცვლილებების შესახებ ინიციატივა, რომელიც სახელმწიფო და ფინანსთა მინისტრებმა წარუდგინეს ჟურნალისტებს და რომელშიც განსაკუთრებულად მოულოდნელი სიახლე "სიმდიდრის გარეგნული ნიშნების" დაბეგვრა და მიწის საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის გაუქმების ინიციატივა იყო, პარლამენტში უკვე შესულ ძველ ცვლილებებთან ერთად, გუშინ ოპოზიციური თავდასხმის საგნად იქცა. მეტიც - "სიმდიდრის გარეგნული ნიშნების" დაბეგვრის პერსპექტივამ ბევრი თავად დღევანდელ ხელისუფლებაშიც შეაშფოთა, რადგან სახელწოდება მართლაც განსაკუთრებული ჟღერადობისაა.*

თამარ ხორბალაძე

ეს სახელწოდება გუშინ თავად საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა ნინო ბურჯანაძემაც გააკრიტიკა და განაცხადა, რომ **"სახელწოდება ერთგვარ უხერხულობას იწვევს, რის გამოც მთავრობაში ასეთ ცვლილებაზე უკვე დაიწყო მსჯელობა".**

მისი თქმით, **"ამ ტიპის გადასახადის გადახდა არავისთვის უნდა იყოს შეურაცხმყოფელი და თუ მასთან მიმართებაში ტერმინ "სოლიდარობას" გამოვიყენებთ, იგი პოტენციურ გადამხდელებში სიამაყესაც კი გამოიწვევს. საქართველოში ბევრია ისეთი პირი, რომლებიც უკანონოდ არ გამდიდრებულან. ამიტომ, მათ ქონებას კითხვის ნიშანი არ უნდა დავუსვათ. თუ გადასახადს სოლიდარობის გადასახადს ვუწოდებთ, მაშინ ისინი იამაყებენ კიდევაც, რომ გაჭირვებულ თანამემამულეს ეხმარებიან."**

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი

B1 სტუმარი B2 რევიუ B3 არჩევნები B4 სპორტი B5 სპორტი B6 ევროისტორია B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

## მოკლედ

### რიჩარდ მაილსი აჭარის ლიდერთან შესახვედრად გუშინ ბათუმში ჩავიდა

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურთან ასლან აბაშიძესთან შესახვედრად გუშინ ბათუმში ჩავიდა. მოლაპარაკებების მთავარი თემა 4 იანვრის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები და მათში აჭარის მონაწილეობა იყო. **ინტერ-პრესი**

### "დემოკრატია და სამართლიანობა" აჭარაში მცხოვრები მოქალაქეების დაცვას მოითხოვს

ბათუმში დაფუძნებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია "დემოკრატია და სამართლიანობა" გმობს აჭარის ხელისუფლების მიერ ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერის ლევან კაჭარავას წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობას და ასლან აბაშიძისაგან რეგიონში მცხოვრები განსხვავებული აზრის მქონე მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას მოითხოვს.

"დემოკრატიისა და სამართლიანობის" ერთ-ერთი დამფუძნებლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატის ლევან თამაძის განცხადებით, ლევან კაჭარავას გარდა, თავდასხმები საზოგადოებრივი ორგანიზაციის არაერთ წარმომადგენელზე განხორციელდა, თუმცა, იმ მიზნით, რომ აჭარის მოსახლეობაში "შიშის სინდრომს არ დაესადგურებინა", დაზარალებულებმა ამ ფაქტების გახმაურებისაგან თავი შეიკავეს. ასევე აღნიშნული ორგანიზაცია აჭარის აღმასრულებელ ხელისუფლებას, რეგიონში საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლის მიზნით, პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის საწინააღმდეგო კამპანიის წარმოებაში ადანაშაულებს და არჩევნების სავარაუდო ჩაშლაზე პასუხისმგებლობას უშუალოდ აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს აკისრებს.

მისივე თქმით, "დემოკრატიისა და სამართლიანობის" დამფუძნებლებმა თხოვნით მიმართეს აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს, მოუწოდოს თავის მომხრეებს, თავი შეიკავონ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების წინააღმდეგ მიმართული ქმედებებისაგან. **ინტერ-პრესი**

### პარლამენტში გია ბარამიძის მისვლას მოითხოვენ

საპარლამენტო ფრაქციის "ალიანსი ახალი საქართველოსათვის" წარმომადგენელი ზვიად მუკბანიანი საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის გია ბარამიძის მოწვევას მოითხოვს.

როგორც მუკბანიანმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, დროებითი ხელისუფლების ოპოზიციას აინტერესებს, რას აკეთებს შინაგან საქმეთა სამინისტრო ქვეყანაში შექმნილ გართულებულ კრიმინოგენულ სიტუაციასთან და მასიურ დაპატიმრებებთან დაკავშირებით.

"მე ამას პოლიტიკური ნიშნისმოგებით არ ვამბობ. ხალხისათვის მართლაც საინტერესოა, როგორი კრიმინოგენული ვითარებაა შექმნილი და როდის გამოსწორდება იგი. ამ ყველა კითხვაზე პასუხი აუცილებლად შინაგან საქმეთა მინისტრმა უნდა გაგვცეს," - აღნიშნა მუკბანიანმა. **ინტერ-პრესი**

### არძინბიადა

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას გადაყენებისა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნით, აფხაზეთში მოქმედი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების გააქტიურების მიუხედავად, სოხუმის ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტი არძინბას გადადგომასა და აფხაზეთის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას გამორიცხავს. არშბას განცხადებით, არძინბას ჯანმრთელობის შესახებ არაჯანსაღი საუბრების მიუხედავად, აფხაზეთის მოქმედი პრეზიდენტი თავის მოვალეობას ასრულებს და აფხაზურ საზოგადოებაში სულ უფრო გაგებით ეკიდებიან მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში სწორედ კონსტიტუციით განსაზღვრულ ვადაში - 2004 წლის 3 ოქტომბერს უნდა ჩატარდეს. **ინტერ-პრესი**

### რაულ ხაჭინბა შეშფოთებულია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით ქართველი პოლიტიკოსების "საბრძოლო რიტორიკის" გამო

სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯინბა შეშფოთებას გამოთქვამს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით რიგი ქართველი პოლიტიკოსების "საბრძოლო რიტორიკის შემცველი" განცხადებების გამო და ქართულ მხარეს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისაკენ მოუწოდებს. "ვწუხვარ, რომ საქართველოში არ იშლიან აფხაზეთის პრობლებასთან დაკავშირებით საბრძოლო ფრაზეოლოგიით საუბარს," - აღნიშნა ხაჯინბამ აფხაზური მთავრობის გუშინდელ სხდომაზე.

მისი შეფასებით, კონფლიქტის ზონაში მოქმედი რუსი სამშვიდობოები მათზე დაკისრებულ უმთავრეს მოვალეობას - საომარ მოქმედებათა განუახლებლობის უზრუნველყოფას "ზედმიწევნით კარგად ასრულებენ", რის გამოც კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგებამდე აფხაზური მხარე ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის მოთხოვნის საფუძველზე "რუს ცისფერჩაფხუტიანთათვის მანდატის შეწყვეტას არ დაუშვებს". ამასთან, როგორც ხაჯინბამ აღნიშნა, სოხუმი მზადაა, თბილისთან მოლაპარაკებები განაახლოს, თუ საქართველოს ახალი ხელისუფლება თბილისსა და სოხუმს შორის არსებული პრობლემების მოგვარებას მოლაპარაკებების გზით ვარაუდობს. **ინტერ-პრესი**

### ნაძვის ხეები თბილისისაკენ დაიძრა

შსს-ს ეკოლოგიური პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა გლდანის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს მოქალაქეები, რომლებსაც 400 ცალი ნაძვის ხე ჩამოართვეს. „ნადავლი“ ჩაბარდა რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს. ეკოპოლიციის ცნობით, ნაძვები სამცხე-ჯავახეთიდან არის შემოტანილი. მიმდინარეობს მოკვლევა. სამეგრელო-ზემო სვანეთის ეკოლოგიური პოლიციის სამხარეო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს მარტვილის რაიონის სოფელ დიდჭყონში მცხოვრები მანუჩარ ნაჭყებია. ეკოპოლიციის ცნობით, ნაჭყებიამ მარტვილის სატყეო მეურნეობის - „სალხინოს“ უბანზე უნებართვოდ მოჭრა 320 ძირი მზარდი ნაძვის ხე. აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს მოკვლევა. **მედია-ნიუსი**

## გამოხმაურება

# ვანო ჩხარტიშვილის პრესსამდივნის განცხადება

22 დეკემბერს, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ "მოძრაობა ღირსეული მომავლისათვის", საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხეზე საუბრისას ბატონებმა: ირაკლი კაკაბაძემ, ზვიად ბოკუჩავამ და ქალბატონმა მზია ალავიძემ დაჟინებით მოითხოვეს საქტელერადიოკორპორაციის ხელმძღვანელებისაგან ღია ტელედებატების ორგანიზება მათი, უშიშროების მინისტრ ვალერი ხაბურძანიას და ბიზნესმენების, ბადრი პატარკაციშვილისა და ვანო ჩხარტიშვილის მონაწილეობით.

ამასთან დაკავშირებით, ბ-ნ ვანო ჩხარტიშვილის პრესსამდივნო უფლებამოსილია განაცხადოს:

სრულიად გაუგებარია, რატომ, რა მოტივით იწვევენ ტელედებატებში საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხით სამართლიანად შეშფოთებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ბ-ნ ვანო ჩხარტიშვილს.

ქვეტექსტიანი მინიშნება აშკარად არ გამოდგება დიალოგის დაწყების საბაბად. ასეთი განცხადება უფრო ბიზნესმენის დაშანტაჟებასა და მისი დისკრედიტაციის მცდელობას წარმოადგენს. ბატონი ვანო ჩხარტიშვილი არჩეულია მაჟორიტარ პარლამენტარად ოზურგეთის რაიონიდან და, ამდენად, იგი პოლიტიკაში დაბრუნებას აპირებს. გამომდინარე აქედან, როგორც ადრე, ისე დღეს, ბატონი ვანო ჩხარტიშვილი მზადაა ღია და გახსნილი დიალოგისთვის ნებისმიერ საკითხზე, ნებისმიერ პიროვნებასთან, იქნება ეს ჟურნალისტი თუ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. იგი, როგორც ბიზნესში, ისე პოლიტიკაში, აბსოლუტური გამჭვირვალობის მომხრეა. ოღონდ, ნებისმიერი დიალოგისთვის აუცილებელია მოტივი, ასეთ მოტივად კი ბუნდოვანი ქვეტექსტით გაკეთებული განცხადება ნამდვილად არ გამოდგება.

პრესსამდივნო აცხადებს, რომ ბატონი ვანო ჩხარტიშვილი კიდევ ერთხელ აფიქსირებს თავის უკიდურესად ნეგატიურ დამოკიდებულებას ტერორიზმის მიმართ. იგი წინააღმდეგია შავი ფულის მონაწილეობისა, როგორც პოლიტიკაში, ისე ბიზნესში. სამწუხაროა, რომ ზემოაღნიშნულ განცხადებას აკეთებენ გონიერი ადამიანები და განსაკუთრებით ბატონი ირაკლი კაკაბაძე.

იმედია, ბატონი ირაკლი კაკაბაძე და მისი კოლეგები გამოაქვეყნებენ იმ ვითომდა სენსაციურ მასალებს, რომლებიც მათ, როგორც აცხადებენ, ხელთ აქვთ. მაშინ საუბარი, თუ მიზანშეწონილად ჩაითვლება, უფრო კონკრეტული და საგნობრივი გამოვა. სხვა შემთხვევაში, ქვეტექსტიანი მინიშნება იმის საბაბადაც კი არ გამოდგება, რომ ცილისმწამებელს პასუხი სასამართლოს მეშვეობით მოეთხოვოს.

*ვანო ჩხარტიშვილის პრესსამდივნო*

# ვიდრე ჰხვალ, აკაკი?

გიორგი ასანიშვილი

*"ტრადიციონალისტთა კავშირის" თავმჯდომარეს უკვე ჩვევად ექცა იმ პოლიტიკური ფიგურების კრიტიკა, ვისაც სულ ცოტა ხნის წინათ თანამოაზრედ და თანამებრძოლად ასახელებდა. მაინც, რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც აკაკი ასათიანი და ზურაბ ჟვანია ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" საარჩევნო სიებში მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებდნენ და, არც თუ იშვიათად, ერთობლივ ბრიფინგებსაც მართავდნენ? სულ რაღაც ერთი თვე! მაგრამ პარტიული მეგობრობის დასავიწყებლად და უარსაყოფად ეს მოკლე პერიოდიც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა. დღეს ასათიანი უკვე გააფთრებით უტევს ზურაბ ჟვანიას.*



აკაკი ასათიანი ახალი ხელისუფლების ყველა ინიციატივის წინააღმდეგ ილაშქრებს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

**"თურმე, რას ვერჩოდი სააკაშვილს, როდესაც ჟვანია ტროცკიზე შორს წავიდა. ესენი ცეცხლს ეთამაშებიან. ჩვენ საქმე გვაქვს ხალხთან, ვინც უკან არაფერზე დაიხევს. ამ ხელისუფლების ნაბიჯებს მალე მოვიმკით. ცუდად იქნება ჩვენი საქმე"**, - აშკარად დაბოღმილი ჩანდა გუშინ "ტრადიციონალისტთა კავშირის" ხელმძღვანელი. მისი გაღიზიანება იმ სავარაუდო საგადასახადო ცვლილებებიდან მომდინარეობდა, რომლის შესახებაც წინა დღეს სახელმწიფო მინისტრმა ისაუბრა.

აკაკი ასათიანი აცხადებს, რომ მიწის გადასახადის გაუქმებას გარდაუვალი კატასტროფა მოჰყვება, რადგან "ულუკმაპუროდ დარჩენილი გლეხობა თავის პატარა ნაკვეთებს გაყიდის და ხალხი გაუბედურდება". "ტრადიციონალისტების" ლიდერი ასევე აღშფოთებით საუბრობს ე.წ. "სიმდიდრის გარეგნული ნიშნების" გადასახადზე და "ვარაუდობს", რომ **"ვისაც სუფთად აცვია და ტალახში ამოსვრილი არ დადის, ამისთვის მათ, ალბათ, გადასახადს დააკისრებენ"**.

იგი უარყოფს, თითქოს, "სიმდიდრის გადასახადის" კონტექსტში, მას პირადი მოტივაცია ალაპარაკებს და აღნიშნავს, რომ საპატრიარქოს წინ მშენებარე სამსართულიანი ფეშენებელური სახლი აქ არაფერ შუაშია, ისევე, როგორც სიმართლესთან საერთო არაფერი აქვს პრესაში გახმიანებულ ინფორმაციას მის მიერ აღებული კრედიტების შესახებ. **"ფეშენებლურ სახლს ვიშენებ, მაგრამ შემიძლია დავასაბუთო, თითოეული ლარი საიდან მაქვს ნაშოვნი"**, - ირწმუნება ასათიანი.

როდესაც ყოფილ პოლიტიკურ პარტნიორს უტევდა, მან გუშინ რამდენჯერმე ახსენა ზურაბ ჟვანიას მიერ "ნულოვან ვარიანტთან" დაკავშირებით დაკავებული პოზიცია და ეს ქვეყნის ინტერესების ღალატის მაგალითად მოიყვანა. პოლიტიკოსს შეფასებების გაკეთებას ვერავინ დაუშლის, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა რამ არის უფრო საინტერესო: როდესაც ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატებში" შედიოდა, აკაკი ასათიანს ნუთუ მაშინ გაცნობიერებული არ ჰქონდა "ნულოვანი ვარიანტის" უარყოფითი მხარეები?..

საკუთარი მოსაზრებების გამოსახატავად საპარლამენტო ტრიბუნას ბევრი ნატრულობს. აკაკი ასათიანს ამ მხრივ არანაირი პრობლემა არა აქვს. ამიტომ, სავარაუდო იყო, რომ მთავრობის მიერ დაგეგმილ საგადასახადო ცვლილებებთან დაკავშირებით გუშინდელ პრესკონფერენციაზე დანთებულ ცეცხლს იგი სხდომათა დარბაზშიც შეიტანდა. "ტრადიციონალისტების" ლიდერი რიგგარეშე სხდომაზე მართლაც მივიდა, მაგრამ იქ არანაირი პროტესტი აღარ გამოუთქვამს. პირიქით, აკაკი ასათიანი გუშინ განსაკუთრებული ხაზგასმით სწორედ ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" წევრებთან ოხუნჯობდა.

# მძიმე ქაპანს დეპუტატებმა ბოლომდე ვერ გაუძლეს

*"არაფერი არ უშველის ამათ, თუნდაც ათჯერ მეტი ხელფასის მიცემა," - დეპუტატების უპასუხისმგებლობის შემხედვარე გიგი წერეთელმა გუშინ საბოლოოდ ჩაიქნია კოლეგებზე ხელი. მართლაც, რიგგარეშე სესიის პირველივე დღეს პარლამენტარებმა კიდევ ერთხელ "ისახელეს თავი". ზოგიერთმა მათგანმა სხდომა სწორედ მაშინ მიატოვა, როდესაც საკანონმდებლო ორგანოში საკმაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტისთვის უნდა ეყარათ კენჭი. ამის გამო, "საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთუსაფრთხოების შესახებ" ხელშეკრულების რატიფიცირება გაურკვეველი დროით გადაიდო.*

გიორგი ასანიშვილი

არადა, თავიდან ყველაფერი თითქოს კარგად მიდიოდა - უკვე "კარგად" ითვლება, თუ 235-კაციანი "კოლექტივიდან" სამსახურში ნახევარზე ცოტა მეტი ცხადდება და კვორუმის შეგროვება ხერხდება. საღამოს ხუთის ნახევარზე გახსნილ სხდომაზე დეპუტატები მთელი ნახევარი საათის განმავლობაში მორჩილად ეწეოდნენ მძიმე ქაპანს: სხვადასხვა საკითხებს უყრიდნენ კენჭს. მათი "წყალობით", ზაზა შერაზადიშვილი თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გახდა (131 მომხრე, წინააღმდეგი - არავინ), ეთერ ასტემიროვა ლტოლვითა და განსახლების მინისტრად მოგვევლინა (122 მომხრე, წინააღმდეგი - არავინ), ხოლო ამირან კავაძემ დიდ ბრიტანეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის სტატუსი დაიკანონა (130 მომხრე, წინააღმდეგი - არავინ)...

როგორც კი ეს ბოლო კენჭისყრა დამთავრდა, მონასტერიც მაშინ აირია. პარლამენტარებმა თავიანთ პალტოებს წამოავლეს ხელი და სხდომათა დარბაზიდან გავარდნენ. ამიტომ, როგორც კი დაინახა, რომ საკითხი ვარდებოდა და ამას, შესაძლოა, მეზობელ ქვეყანასთან პოლიტიკური ურთიერთობების გართულება მოჰყოლოდა, პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარე იძულებული გახდა, სომხეთთან "ჩარჩო-ხელშეკრულების" რატიფიცირების თაობაზე დაწყებული კენჭისყრის პროცედურა შეეჩერებინა.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ფაქტის უკან რაიმე პოლიტიკური ინტერესები იმალებოდეს და საქართველო-სომხეთს შორის სამართლებრივი ურთიერთობების მოგვარებას ესა თუ ის დეპუტატი შეგნებულად უშლიდეს ხელს. ამ შემთხვევაში უფრო პარლამენტარების ადამიანურ სისუსტესთან უნდა გვქონდეს საქმე: თანამდებობრივად დაწინაურებულთათვის მილოცვის პროცედურა ჯერ კიდევ სხდომათა დარბაზში დაიწყო და, ბოროტ ენებს თუ დავუჯერებთ, სუფრასთან გაგრძელდა. ამ საქმეს კი დაგვიანება არ უყვარს და ამიტომაც, დეპუტატებმა პულტებთან ჭიდილს, როგორც ჩანს, სადღეგრძელოებში თავის გამოჩენა ამჯობინეს.

გიგი წერეთლის ზემოთნახსენები გაბრაზებაც სწორედ დეპუტატების "ათესვამ" განაპირობა. პარლამენტარების ქცევით გაოგნებული სპიკერის მოვალეობის შემსრულებელი უკვე იმ თარიღსაც ველარ ასახელებს, როდესაც რიგგარეშე სესია განახლდება.






## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს 1999 წლის მოწვევის პარლამენტის ფრაქციის "ალიანსი ახალი საქართველოსათვის" ბედი გაურკვეველია. როგორც პარლამენტის გუშინდელი სხდომის წამყვანმა გიგი წერეთელმა განაცხადა, მის სახელზე შეტანილ განცხადებაში 11 დეპუტატი ფრაქციის დატოვების შესახებ იუწყება.

გარდამავალი ხელისუფლების წარმომადგენლები პარლამენტში აცხადებენ, რომ "ალიანსი ახალი საქართველოსათვის" დაიშალა. თუმცა, როგორც წერეთელმა განაცხადა, ფრაქციაში სულ 21 დეპუტატი იყო გაერთიანებული და 11 წევრის წასვლის შემთხვევაშიც "ალიანსში ახალი საქართველოსათვის" 10 წევრი რჩება. წერეთლის თქმით, 11 დეპუტატის მიერ ფრაქციის დატოვების მიზეზები მისთვის უცნობია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში დემოგრაფიული ვითარების გამოსწორებისა და ქართული გენოფონდის გადარჩენის მიზნით "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" "ქართული ოჯახის გადარჩენის ფონდის" შექმნის ინიციატივით გამოდის. როგორც გუშინ პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე "ლეიბორისტმა" ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, ამ ფონდში სახსრების მობილიზებისთვის არც კრედიტები და არც საბიუჯეტო თანხებია საჭირო, ვინაიდან იგი "ხელისუფლებისა და მასთან დაახლოებული ნომენკლატურული ბიზნესის წარმომადგენლების მიერ მიტაცებული თანხებით შეივსება". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური მოძრაობა "21-ე საუკუნე" საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს უახლოეს დღეებში სასამართლოში უჩივლებს. ამის შესახებ პოლიტიკური მოძრაობის "21-ე საუკუნის" წარმომადგენელმა ელიზბარ ჯაველიძემ განაცხადა. მისი თქმით, მოძრაობა კატეგორიულად მოითხოვს პრეზიდენტ შევარდნაძის გასამართლებას, რადგან მას ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დამხობაში ადანაშაულებენ. "შევარდნაძეს ბრალს ვდებთ 1991 წელს ზვიადისტების მიტინგის დარბევაში, ადამიანის უფლებების ტოტალურ დარღვევაში, საქართველოს ეკონომიკის შეგნებულად გაჩანაგებაში, აფხაზეთის ომის გაჩაღებაში," - აღნიშნა ელიზბარ ჯაველიძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** პრეზიდენტობის კანდიდატი, იმერეთის ყოფილი გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი საარჩევნო შეხვედრებს აგრძელებს. იგი აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოსკენ გაემართა.

როგორც შაშიაშვილის საარჩევნო შტაბის ქუთაისის ოფისში განაცხადეს, გუშინ იგი კოდორის ხეობაში ჩავიდა. კოდორის ხეობაში პრეზიდენტობის კანდიდატი ადგილობრივ მოსახლეობას და ქართველ მესაზღვრეებს შეხვდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის ინიციატივით, 25 დეკემბერს სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის მეხუთე იზოლატორის არასრულწლოვანთათვის, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებას ელიან, ჰუმანიტარული აქცია გაიმართება. პროექტი გაერო-ს ბავშვთა ფონდმა 2.350 ლარით დააფინანსა. ამ თანხით არასრულწლოვნებისთვის ლეიბები, შალის პლედები და თეთრეულის კომპლექტი შეიძინეს. ამის გარდა, ჰუმანიტარული აქციისთვის თანხა თბილისის განათლების განყოფილებისა და გაერო-ს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლებმაც გამოყვეს. ამ ნებაყოფლობითი შემოწირულობებით 49 ვაჟისთვის სპორტული ტანისამოსი და საყოფაცხოვრებო საშუალებები იყიდეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქის შემოსასვლელებთან და ბაზრობების მიმდებარე ტერიტორიებზე უკანონოდ მოჭრილი ნაძვების შემოტანა-ვაჭრობის აღსაკვეთად სპეციალური ჯგუფები ამოქმედდა. როგორც „მწვანეთა პარტიის" ხელმძღვანელმა გიორგი გაჩეჩილაძემ განაცხადა, ეს ჯგუფები „მწვანეთა პარტიის" წევრებითა და ეკოპოლიციის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული. მისივე თქმით, ჯერჯერობით დედაქალაქში უკანონოდ მოჭრილი ნაძვების შემოტანა-ვაჭრობის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა, თუმცა გუშინ ცხინვალის შესასვლელთან 2 სატვირთო მანქანა დააკავეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს თბილისის სახანძრო სამსახურს არსებობის 178 წელი უსრულდება. 1825 წლის 24 დეკემბერს რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I-ის ბრძანებულების საფუძველზე, თბილისში შეიქმნა სახანძრო რაზმი 25-კაციანი შემადგენლობით და 18 ცხენით. პროფესიული დღის აღსანიშნავად შს სამინისტროს სახანძრო სამსახურის პირადი შემადგენლობა, „წმინდა გიორგის ლეგიონი“, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აკურთხა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სამტრედია.** სამტრედიის რაიონის ფსიქიატრიული დისპანსერის ქიმიურ-ტოქსიკური ნარკოლოგიური ლაბორატორიის თანამშრომლები ლაბორატორიის ლიკვიდაციის წინააღმდეგ გამოდიან და ამ პროცესის შესაჩერებლად დახმარებისთვის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძეს და პრეზიდენტობის კანდიდატს მიხეილ სააკაშვილს მიმართავენ. როგორც ლაბორატორიის თანამშრომლები აცხადებენ, რეორგანიზაციის ფონზე, უკვე ერთი თვეა, აღნიშნული ლაბორატორიის ლიკვიდაცია კანონის დარღვევით მიმდინარეობს. ამ პროცესის შესაჩერებლად თანამშრომლები უკვე მესამედ მართავენ საპროტესტო აქციას, თუმცა - უშედეგოდ. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# კლონდაიკი-2

პირველი გვერდიდან

"კვარციტს" შორის ხელმოწერილ შეთანხმებას, მადნის გადაცემის თაობაზე. აქამდეც არაერთხელ მომხდარა და, პრინციპში, უკვე შეჩვეულნი ვართ საქართველოსთვის აპრიორი წამგებიანი კონტრაქტების დადებას. თუმცა, "კვარციტთან" დადებული კონტრაქტის მსგავსი კაბალური პირობები მაინც იშვიათად თუ მოიძებნება. ოქროს შემცველი მადნის ერთ ტონას ავსტრალიელები 61 ცენტად (!) ყიდულობენ, რაც არათუ სასაცილო თანხა, არამედ უბრალოდ დაცინვაა. რაც შეეხება ოქროს მოპოვებას, ის ერთ-ერთი ყველაზე არაეფექტური მეთოდით ხდება, რის შედეგადაც ლიცენზიის პირობებით გათვალისწინებული 85 პროცენტიანი ამოკრეფის (მადნიდან ოქროს ამოღების) ნაცვლად ამოკრეფა მხოლოდ 54 პროცენტს აღწევს და ისიც დიდი გაჭირვებით. აღარაფერს ვამბობთ თავად საბადოს მტაცებლურ, ყოველგვარი ეკოლოგიური ნორმების დარღვევით ექსპლუატაციაზე, რაც მხოლოდ ფინანსური დანაკარგებით არ განიზომება და სხვა სოციალური "მძიმე ნარჩენებითაც" ხასიათდება.

ავსტრალიელები დღესაც ტყავიდან ძვრებიან, რათა ამ კონტრაქის მოქმედების ვადა როგორმე გაახანგრძლივონ. ლოგიკურიცაა, ვინაიდან მსგავს ქერის ორმოს ისინი ძნელად თუ იპოვნიან: ნედლეული – ჩალის ფასად, წარმოება – იაფი, გადახდილი გადასახადები – მიზერული, საბოლოო მოგება – არნახული. ამის პარალელურად ისიც ფაქტია, რომ 10-წლიანი მოღვაწეობის განმავლობაში ჩადენილი უამრავი დანაშაულის მიუხედავად, ავსტრალიელებმა არხეინად მოახერხეს თავდაპირველი კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის ბოლომდე მიყვანა, თან ისე, რომ არანაირი საჯარიმო სანქცია არ დაკისრებიათ. მიზეზის მისაგნებად ტვინის დიდი ჭყლეტა არ არის საჭირო – კომპანიას უძლიერესი ლობი ჰყავს, რომელიც, ავსტრალიელებთან ერთად, მთელი ათწლეულის მანძილზე მსუყედ ხეირობდა ამ განუკითხაობით და, ცხადია, არც ამჟამად იტყვის უარს ამ მრავალი ნულით თანხლებული სიამოვნებების გახანგრძლივებაზე.

სამწუხაროდ, დღეს ეს საკითხი აბსოლუტურად მიჩუმათებულია. მიჩუმათებული, რადგან კარგად გატკეპნილ სქემაზე უარის თქმა, ცხადია, ბევრს არ უნდა. არ უნდათ ყოფილებს, რათა სახრავი შერჩეთ. დიდია ცდუნება ახლებისთვისაც, რადგან ნაალაფარი სიმდიდრის ნაწილის დასაკუთრება შეიძლება ზოგს ლოგიკურადაც ეჩვენებოდეს. და ბოლოს, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ერთნიც და მეორენიც საერთო ენასაც ნახულობენ, რადგან გარიგების საგანი არა მარტივი ფული, არამედ ასტრონომიული თანხებია.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ საქართველოსთვის ცალსახად კაბალური კონტრაქტის მოშლაზე დღეს სრული ტაბუა დადებული, რაც არაფრით არ გამორიცხავს მის ავტომატურ გაგრძელებას. ამ შემთხვევაში უკვე აღარანაირი მნიშვნელობა არ ექნება იმას, თუ ვისი დანაშაულით მოხდება ქართული ოქროს კიდევ გაურკვეველი ვადით უსასყიდლოდ გაჩუქება. მნიშვნელოვანი იქნება ის, რომ ახალი ხელისუფლება კიდევ ერთ არცთუ სასიამოვნო პრაქტიკაში გახდება ძველის სრულფასოვანი მემკვიდრე.

საფრთხის სიდიდეს დღეს კიდევ რამდენიმე გარემოება ზრდის. უპირველესად ის, რომ დაკავებულ 600 კილოგრამ ოქროს, რომელიც ერთ-ერთ კომერციულ ბანკში ინახება, უკვე, პრაქტიკულად, ახსნილი აქვს ყადაღა. სასამართლომ უარი თქვა, დაეკმაყოფილებინა სამართალდამცველების შუამდგომლობა ბანკის ჩხრეკისა და ოქროს ამოღების შესახებ. შესაბამისად, დღეს ოქროს რეალიზაციას მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებაღა აყოვნებს, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება გაუქმდეს და 600 კილოგრამი ოქროს აღმოჩენისა და დაკავების ნაქები საქმეც საპნის ბუშტივით გასკდება.

და ბოლოს, კიდევ ერთი გარემოება, რაც მიმდინარე პროცესებს ძალიან უსიამო ელფერში ხვევს: ოქროს წარმოების გარშემო აქტეხილი აჟიოტაჟის კვალობაზე საეჭვოდ გააქტიურდა ლეგენდარული კომპანია "ეფიშიენთ რისორსიზი". ეს ის კომპანიაა, რომელიც ლევან მამალაძის ინიციატივით, შრომითი კოლექტივის ინტერესების დაცვის საბაბით შეიქმნა და, არც მეტი, არც ნაკლები, ვირჯინიის კუნძულებზე ოფშორულ კომპანიად დარეგისტრირდა. ეს ის კომპანიაა, რომელსაც აქციების 24 პროცენტი გადაეცა და რომლის ანგარიშებზეც ასეულობით ათასი დოლარი ირიცხებოდა და ირეცხებოდა წლების განმავლობაში. ეს ის კომპანიაა, რომელმაც წარმომადგენლობა საქართველოშიც გახსნა და წარმომადგენლის ფუნქციით ორი ადამიანი აღჭურვა: "მადნეულის" ყოფილი გენერალური დირექტორის, ელდარ ბოჭორიშვილის ვაჟი გოჩა ბოჭორიშვილი და გიორგი მგალობლიშვილი, რომლის ძმაც (მიხეილ მგალობლიშვილი) ქართული ოქროს საზღვარგარეთ "გამპარებელი" ბანკის – "თბილკრედიტბანკის" ტოპ-მენეჯერი გახლდათ. დღეს "ეფიშიენთ რისორსიზი" დაკარგული პოზიციების აღდგენას და ქართული ოქროს ზოდიდან საკუთარი კუთხის ჩამოტეხვას კვლავაც დიდი მონდომებით ცდილობს.

სწორედ ეს კომპანიები – ქართულ-ავსტრალიური "კვარციტი" და გაურკვეველი ჯიშის "ეფიშიენთ რისორსიზი" ცდილობენ დღეს ქართული ოქროს წარმოებაში დამკვიდრებული მანკიერი სქემის შენარჩუნებას.

ზოგადად, "მადნეული"-"კვარციტის" გარშემო შექმნილი ვითარება საკმაოდ სერიოზული ტესტია ახალი ხელისუფლებისათვის. მან ან ცალსახად უნდა თქვას უარი ამ წესებით თამაშზე, ან იმავე ჭაობში იდგაფუნოს, სადაც მისი წინამორბედი ნებივრობდა. წინა წლების გამოცდილება უნუგეშოა: მაგალითად კავშირგაბმულობის სექტორიც გამოდგება, სადაც ფრიდონ ინჯიას გადაყენების შემდეგ, არაერთგზის გაკრიტიკებულ მის სტილს შემდგომში ყველა შესანიშნავად მოერგო და სისტემა დღესაც ისეთივე სახით არსებობს, როგორც ინჯიას დროს. სამწუხაროდ, საპირისპირო გამოცდილების მაგალითი თითქმის არ არსებობს. "კვარციტის" საქმე, სათანადო სურვილის არსებობის შემთხვევაში, ახალმა ხელისუფლებამ შესაძლოა, სწორედ პირველ პოზიტიურ მაგალითად აქციოს, თუ, ცხადია, უამრავ მაცდუნებელ სიბინძურეზე იტყვის უარს.

## "თბილგაზის" განცხადება



"თბილგაზი" გაფრთხილებთ, რომ ხვალიდან აბონენტთა ხელახალ აღრიცხვასა და ინვენტარიზაციას იწყებს არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებით დაკომპლექტებული მონიტორინგის ჯგუფი. კონტროლიორის მიერ ქვემოთ მითითებული საშვის წარმოდგენის შემთხვევაში "თბილგაზის" ყველა აბონენტი ვალდებულია ხელი შეუწყოს ინვენტარიზაციის პროცესს. კარების გაუღებლობის და მონიტორინგის ჯგუფისათვის სამუშაოს შესრულებაში ხელის შეშლის შემთხვევაში აბონენტი ჩაითვლება ურჩ გადამხდელად და "თბილგაზი" მას ავტომატურ რეჟიმში გაუფრთხილებლად შეუწყვეტს ბუნებრივი აირის მიწოდებას.

ჩაიკვრება საბუთი

**"თბილგაზის" მმართველი კომპანიის**
**"ახალი მენეჯმენტის" განცხადება**

# მოქმედი პრეზიდენტის მოწოდება

პირველი გვერდიდან


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*მოქმედი პრეზიდენტი არჩევნებისთვის მზადებით კმაყოფილია.*

გუშინ ნინო ბურჯანაძე მომავალ საპარლამენტო არჩევნებსაც შეეხო და განაცხადა, რომ ხელისუფლებას სურს, მალე ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნები, რათა ქვეყანა ნორმალური პოლიტიკური ცხოვრების კალაპოტში ჩადგეს.

საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი აჭარასთან მიმართებაში ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა და მხოლოდ ის თქვა, რომ კონსულტაციები აჭარის ხელმძღვანელობასთან გრძელდება. ნინო ბურჯანაძე იმედოვნებს, რომ ოთხი იანვრისთვის ყველა სადავო საკითხი ასლან აბაშიძესა და მოქმედ ხელისუფლებას შორის გადაიჭრება და რეგიონში საპრეზიდენტო არჩევნების გამართვას ხელს არაფერი შეუშლის. ნინო ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მიაღწევს პროგრესს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებასთან ურთიერთობებში, რადგან 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება რომელიმე კონკრეტული ძალის ინტერესი არ არის. მოქმედი პრეზიდენტი კატეგორიულად გამორიცხავს ასლან აბაშიძესთან გარიგების შესაძლებლობას, თუნდაც, რეგიონში მცხოვრებ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობასთან დაკავშირებით, თუმცა იქვე დასძენს, რომ სხვაა ვაჭრობა და გარიგება, სხვაა მოლაპარაკებები და შეთანხმება.

რაც შეეხება ბათუმელი აქტივისტის ლევან კაჭარავას ცემის ფაქტს, მოქმედმა პრეზიდენტმა თხოვნით მიმართა ყველას, თავი შეიკავონ წინასწარი განცხადებებისაგან, ვიდრე არ არსებობს დეტალური ინფორმაცია, თუ ვინ იდგა ამ ფაქტის უკან.

და კიდევ: მართალია, მედიის წარმომადგენლებისთვის უცნობი დარჩა ის დეტალები, რომლის თაობაზეც ნინო ბურჯანაძე და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები დახურულ კარს მიღმა მსჯელობდნენ, მაგრამ, არსებული კულუარული ინფორმაციით, საუბარი, ძირითადად, სწორედ აჭარაში გასამართ არჩევნებს შეეხებოდა. ამავე დროს, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აჭარის წარმომადგენლები საკმაოდ მკვეთრ და აგრესიულ განცხადებებს აკეთებდნენ სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ის მისამართით.

საგულისხმოა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭიაბერაშვილმა აჭარაში გუშინ დაგეგმილი ვიზიტი რამდენიმე დღით გადადო. ცესკო-ს თავმჯდომარის თქმით, იგი დაელოდება პრობლემის პოლიტიკურ გადაწყვეტას და მხოლოდ ამის მერე გაემგზავრება ბათუმში. მით უფრო, რომ მას პოლიტიკურ მოლაპარაკებებში მონაწილეობის მანდატი არა აქვს.

და ბოლოს: გუშინ საღამოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა ინსტრუქცია, რომელიც ამომრჩევლის მოწმობის გაცემისა და ამ მოწმობის საშუალებით ხმის მიცემის წესს განსაზღვრავს. იმ ამომრჩევლისთვის, რომელსაც არა აქვს პირადობის დამადასტურებელი მოწმობები, ამომრჩევლის მოწმობას საუბნო კომისია გასცემს. არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში კი ამ მოწმობებს საოლქო კომისიები გაანადგურებენ.

# "თბილსრესი" 6 მილიონ ევროს მიიღებს

მაია მოსიაშვილი

*"სახელფასო დავალიანების ხარჯზე "თბილსრესის" დამხმარე მეურნეობიდან გაიცემა ბურვაკები. მსურველებმა მიაკითხეთ ბუღალტერიას.*
*"თბილსრესის" ადმინისტრაცია"*

ორი დღის წინ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და გერმანიის მთავრობას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიხედვით გერმანიის მთავრობა გრანტის სახით 6 მილიონ ევროს გამოყოფს სააქციო საზოგადოება "თბილსრესის" რეაბილიტაციისათვის. აქედან 3,5 მილიონი ევრო ბუნებრივი აირის შესაძენად არის განკუთვნილი, ხოლო 2,5 მილიონი ევრო - სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად. თანხას მომავალი წლის 15 იანვრიდან გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი **"kfw"** გაიღებს. გერმანული მხარე თავად შეიძენს საჭირო მარაგნაწილებს და ქართული მხარე ამ ფულის ხარჯვაში არ ჩაერევა. წინასწარი ინფორმაციით, საჩუქრად მიღებულ 6 მილიონ ევროს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო "თბილსრესს" სესხის სახით გადასცემს.

"თბილსრესი" უკვე ექვსი თვეა გაჩერებულია. მისი აღმასრულებელი დირექტორის თამაზ გზირიშვილის განცხადებით, სამი ენერგობლოკი დღეისათვის მუშა მდგომარეობაშია და მათი ამოქმედება მინიმალური ფინანსებითაც შესაძლებელია.

**"ჩვენი გათვლებით, იმპორტირებული ელექტროენერგია აქ გამომუშავებულზე იაფი ნამდვილად არ არის. მირცხულავა გვიმტკიცებდა, თქვენი ელექტროენერგია უფრო ძვირიაო. სამწუხაროდ, მას ჩვენი ხელმძღვანელობაც ეთანხმებოდა,"** - ამბობენ "თბილსრესში". არ ვიცი, რა იყო მაშინ, მაგრამ დღეს "სრესის" დირექტორატი და სამეთვალყურეო საბჭო ამას აღარ ამტკიცებს.

საწარმოში დაგროვილი უამრავი პრობლემიდან იქ მომუშავენი გახშირებულ ქურდობასა და მთელი წლის გაუცემელ ხელფასებს ასახელებენ. "სრესის" თანამშრომლებმა ნოემბრის არჩევნებამდე ორი დღით ადრე მიიღეს 2001 წლის ერთი თვის ხელფასი, ხოლო ერთი კვირის წინ ასევე ძველი დავალიანების ნაწილი - 100 ლარი, რომელიც მათ თვიურ ანაზღაურებაზე გაცილებით ნაკლებია. გაუცემელი ხელფასის ხარჯზე ადმინისტრაციამ თანამშრომლებს საახალწლოდ ბურვაკები შესთავაზა, თუმცა "მჭლე და ჭირიან" ღორებზე ხალხი უარს ამბობს.

"თბილსრესის" მუშები უნდობლობას უცხადებენ საკუთარ ხელმძღვანელობასა და სამკაციან სამეთვალყურეო საბჭოს. მათივე თქმით, არჩევნების წინ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გუგა ჭავჭანიძე სამი თვის ხელფასს დაჰპირდა მათ, ვინც სახელისუფლო ბლოკს ხმას მისცემდა. თავად ჭავჭანიძე ამ ბრალდებას ტყუილს უწოდებს.

"თბილსრესის" ტერიტორია დაცვის მხრივ სავალალო მდგომარეობაშია. აქ ხშირია ქურდობა, რაც ისედაც ზარალიან საწარმოს კიდევ უფრო აზარალებს. **"ორი წლის წინ მე-4 ენერგობლოკის გენერატორი მწყობრიდან გამოვიდა. მისი რემონტისათვის საჭირო 30-40 ათასი ლარი ხელმძღვანელობამ ვერ გამონახა. გახსნილი გენერატორიდან კი უგზოუკვლოდ დაიკარგა 43 სექცია - სპილენძის ხვია. თითოეული 8 ათასი დოლარი ღირს და 100 კილოგრამ სპილენძს შეიცავს,"** - განაცხადეს "სრესის" თანამშრომლებმა.

**"მე შევისწავლე ყველა დოკუმენტი და ვიცი, თუ როგორ ხდებოდა ბლოკების ჩამოწერა და ჯართად გაყიდვა, როგორ აყოლებდნენ ხელს ჯართთან ერთად საკმაოდ ფასეულ დანადგარებს. ისიც ცნობილია, რომ რევოლუციამდე სერიოზული საუბარი იყო დაწყებული კიდევ ერთი ბლოკის ჯართად დაჭრაზე,"** - ასეთი კომენტარი გააკეთა ქვემო ქართლის გუბერნატორმა ზურაბ მელიქიშვილმა. მისი მოთხოვნით "თბილსრესში" დაფიქსირებულ კრიმინალურ და საეჭვო ფაქტებს სამხარეო პროკურატურა გამოიძიებს. **"ჩვენ რევანშისტები არ ვართ, მაგრამ კანონდარღვევას არავის ვაპატიებთ. ხალხს ბევრი ეჭვი აქვს აქ მიმდინარე პროცესებზე, რაც დაუშვებელია. მათ უნდა იცოდნენ რა და რატომ კეთდება აქ. ხალხი მოითმენს ყველაფერს, ოღონდ უნდა იცოდეს, რისთვის ითმენს,"** - განაცხადა მან.

# როგორი თანამოსაუბრეები აღმოჩნდებიან ბურჯანაძე და პუტინი

პირველი გვერდიდან

ბურჯანაძე კი ჟირინოვსკისა და როგოზინისათვის სასურველი პერსონაა, რადგანაც მას მამაკაცებთან უკომპრომისო დიალოგის დაბალანსების ქალური ალღო აქვს, რის წინაშეც, მაგალითად, ჟირინოვსკის უზრდელობა, უბრალოდ, არ ჭრის.

რამ შეიძლება შეუშალოს ხელი ბურჯანაძის ვიზიტს მოსკოვში? იქნება თუ არა არალეგიტიმურობა მოსკოვური მოლაპარაკებების მთავარი პრობლემა, ამას ტონი ვლადიმირ პუტინმა უნდა მისცეს. ისიც იმ შემთხვევაში, თუკი შეხვედრის შემდეგ ინფორმაცია კვლავაც საიდუმლოდ არ დარჩება.

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად მოკოვის პოლიტიკურ წრეებში აშკარა დაძაბულობა შეინიშნება. ერთი შეხედვით, ამ ეტაპზე უკვე განსაზღვრულია ოფიციალური მოსკოვის პოლიტიკა თბილისისადმი, ურჩი რეგიონებისა და საქართველოს ფედერალიზაციის პრობლემისადმი, რომელიც პუტინი-ბურჯანაძის შეხვედრის მთავარი საკვანძო საკითხი იქნება. მეორე მხრივ, არჩევნების შედეგი მოსკოვისთვის, პრაქტიკულად, წინასწარ ცნობილია. ამ ფონზე გამორიცხული არ არის, რომ დაბალანსების პოლიტიკის მოტრფიალე პუტინი და მოსკოვთან ადეკვატურად მოსაუბრე ბურჯანაძე, რთული თანამოსაუბრეები აღმოჩნდნენ.

მოსკოველი ექსპერტების აზრით, აშშ-ს გეოსტრატეგიული პოლიტიკა რუსეთისა და პოსტსაბჭოთა სივრცისადმი იქნება მოსკოვში ბურჯანაძის ვიზიტის მთავარი მესიჯების "სუფლიორი".

# ქუცნაშვილის "სოციალისტური" სოციოლოგია

*ფინანსთა სამინისტროს მიერ პარლამენტში წარდგენილ "საგადასახადო კოდექსში" შესატან ცვლილებებს, რაც სოციალური შეღავათების ამოქმედების ერთი წლით გადავადებას ითვალისწინებს, პირველი მტრები უკვე გამოუჩნდნენ: "სოციალისტური პარტიის" საპარლამენტო წარმომადგენლობა კატეგორიულად ეწინააღმდეგება ფინანსთა სამინისტროს ამ ინიციატივას.*

სოფო ბუკია

"სოციალისტ" ზაქარია ქუცნაშვილის აზრით, რამდენადაც ნიჭიერია ახალი ხელისუფლება პოლიტიკურად, იმდენად უნიჭოა ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისას.

როგორც ქუცნაშვილმა გუშინ პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, დროებითი ხელისუფლების გადაწყვეტილება "საგადასახადო კოდექსში" ცვლილებების შეტანის, რიგი გადასახადების გაუქმებისა და ახლის შემოღების თაობაზე სხვა არაფერია, თუ არა "ბოლშევიკური ხელისუფლების ნაშრომი".

მისივე აზრით, ნავთობპროდუქტზე აქციზის დაწესება ნავთობპროდუქტის გაძვირებას გამოიწვევს, ფერმერთა საქმიანობას არარენტაბელურს გახდის და ამ საქმიანობის შეწყვეტით დასრულდება.

გარდა ამისა, ქუცნაშვილის შეფასებით, 12-პროცენტიანი საბაჟო გადასახადის მოხსნა ხორბალზე, სეზონური ტარიფის შემოღების გარეშე, დაუშვებელია. მისი განმარტებით, ხორბალზე სეზონური ტარიფი მხოლოდ საქართველოში ხორბლის მოსავლის აღების დროს უნდა არსებობდეს და მანამდე უნდა მოქმედებდეს, სანამ ქვეყანას საკუთარი ხორბლის რესურსი გააჩნია.

ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, 1995 და 1999 წლების არჩევნების დროს ხელისუფლებამ ხალხი მოატყუა, როცა მეცნიერ-თანამშრომლებსა და მასწავლებლებს ხელფასების მომატებას დაჰპირდა.

**"არ მსურს, რომ 2004 წლის არჩევნებისთვის ხალხი ისევ მოატყუონ და არ ამოქმედდეს ის კანონპროექტი, რომელიც მეცნიერ-თანამშრომლების და მეცნიერ-კონსულტანტების, აგრეთვე, უფროსი მასწავლებლების და უფროსი მეცნიერ-თანამშრომლების ხელფასის მომატებას ითვალისწინებს,"** – აღნიშნა ქუცნაშვილმა.

მისი თქმით, დღეს ქვეყანაში 57 სამეცნიერო და კვლევითი დაწესებულებაა, რომელშიც მთლიანად 4431 მეცნიერ-თანამშრომელი მუშაობს. ასევე 27 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელია და მათი ფილიალები განთავსებულია თელავში, სიღნაღში, მარნეულში, ახალციხეში, ქუთაისში, ოზურგეთში, ბათუმში, ზუგდიდსა და სოხუმში. **"აუცილებელია აღნიშნული კატეგორიის მასწავლებლებს მოემატოთ ხელფასები, რადგან ისინი ამას იმსახურებენ. კანონპროექტის მიხედვით, მეცნიერ-თანამშრომლებს ხელფასი 78 ლარიდან ეარდებათ 295 ლარამდე, მეცნიერ-კონსულტანტებს - 61 ლარიდან 265 ლარამდე, დოცენტებსა და უფროს მეცნიერ-თანამშრომლებს - 53 ლარიდან 276 ლარამდე, უფროს მასწავლებლებს - 51 ლარიდან 177 ლარამდე, ხოლო ასისტენტებსა და უმცროს მეცნიერ-თანამშრომლებს - 49 ლარიდან 130 ლარამდე"** - განაცხადა "სოციალისტების" გენერალურმა მდივანმა.

მისი თქმით, თუ საქართველოს პარლამენტმა "საგადასახადო კოდექსში" შესატანი ცვლილებები მიიღო და სოციალური შეღავათების ამოქმედება გადაავადა, ამ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ხალხი გაზრდილ ხელფასებს ვერ მიიღებს, რაც ხელისუფლების მხრიდან მათი კიდევ ერთხელ მოტყუება იქნება.

# "ახალგაზრდა ეკონომისტები" - "სიმდიდრის გარეგნული ნიშნების" დაბეგვრის შესახებ

"სიმდიდრის გარეგნული ნიშნების" გადასახადის შესახებ სახელისუფლებო იდეამ საქართველოში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. დღეს "24 საათი" "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" წარმომადგენელთა პოზიციას გთავაზობთ, რომელთაც რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

**1. რამდენად მისაღებად გეჩვენებათ "სიმდიდრის გარეგნული ნიშნების" გადასახადის შემოღება? როგორ გესმით ამ გადასახადის შინაარსი?**
**2. თქვენი აზრით, სად გადის "სიმდიდრის" ზღვარი საქართველოში?**
**3. რა თანხის ქონების დაბეგვრით შეიძლება დაიწყოს ამ გადასახადის დაწესება და როგორ წარმოგიდგენიათ ამ დასაბეგრი თანხის ოდენობა?**
**4. ამ გადასახადის გადახდა გაათავისუფლებს თუ არა არამართლზომიერად მიღებული ქონების მესაკუთრეებს პასუხისმგებლობისაგან?**

**კახა დამენია, "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია", საკონსულტაციო ფირმა "დვნკ":**

1. სიმდიდრის გარეგნული ნიშნების გადასახადი არახალია - მას ფართო გამოყენება ჰქონდა მე-2 მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში. იდეურად ეს გადასახადი არის ქონების გადასახადი, რომელსაც დღევანდელი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს. თუმცა, არაეფექტური მექანიზმის გამო, იგი არ მუშაობს. ხსენებული გადასახადი შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც მოკლევადიანი გადაწყვეტილება, რომელიც ხელს შეუწყობს ქონების გადასახადის ამუშავებას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ გადასახადიდან შემოსული შემოსავლები. ქონების გადასახადის ერთ-ერთი ფუნქციაა ქონების რაციონალური გადანაწილება. ვფიქრობ, რომ ქონების გადასახადის რეალური ამუშავება ქონების დიდი ნაწილის "ეკონომიკურ ცხოვრებაში" ჩაბმას ხელს შეუწყობს.

გარდა ამისა, მას სოციალური დატვირთვა გააჩნია. გადასახადის ერთ-ერთი პრინციპიც სწორედ სამართლიანობის პრინციპია. ვისაც მეტი შემოსავალი ან ქონება აქვს, ის მეტს იხდის. ამ კუთხითაც, სიმდიდრის გარეგნული ნიშნების გადასახადი აბსოლუტურად თანხვედრაში მოდის საგადასახადო პოლიტიკის თეორიულ საფუძვლებთან.

2. ეს ზოგადად განსაზღვრულია. ფუფუნება უკვე წარმოადგენს სიმდიდრეს. თუმცა, ვხვდები, რას გულისხმობთ. საკანონმდებლო დონეზე რამდენად გაადვილდება ამის დარეგულირება?! საკმაოდ რთული სამუშაოა კონკრეტული კრიტერიუმების მოძებნა, თუმცა შეუძლებელი ამ ქვეყანაზე არაფერი არ არის, თუ ადამიანი მოინდომებს.

3. ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება, ვისი დაბეგვრით უნდა დავიწყოთ და არა - რა თანხით. კონკრეტული განაკვეთი, ალბათ, დადგინდება ხელისუფლების მიერ. ბუნებრივია, მათ უნდა შეძლონ მისი დასაბუთება. როდესაც კონკრეტული წინადადებები ჩამოყალიბდება, ალბათ, ამ საკითხების განხილვა მაშინ უნდა დაიწყოს.

რაც შეეხება - ვისი დაბეგვრით უნდა დაიწყოს: ქონების საბაზრო ფასით შეფასება და იმის კვლევა, ამ ქონების მფლობელს ახლა რა შემოსავლები გააჩნია, ძალიან ძნელი იქნება. ამიტომ, ყველაზე მისაღებ კრიტერიუმად მიმაჩნია იმ პირთა დაბეგვრა, ვინც ბოლო (4, 5, 6) წლების განმავლობაში ააშენა ან შეიძინა საცხოვრებელი. ბუნებრივია, რომ ამ კატეგორიას გადასახადის გადახდა არ უნდა გაუჭირდეს. მომავალში თანდათან უნდა გაიზარდოს გადამხდელთა არეალი და, საბოლოოდ, უნდა მივიღოთ ქონების კლასიკური გადასახადი.

4. ბუნებრივია, არა. შემოსავალი და ქონება მართლზომიერი გზითაა მიღებული თუ არამართლზომიერი გზით, მაინც უნდა დაიბეგროს. რაც შეეხება კონკრეტული პირის დანაშაულს, იგი სხვა, სისხლის სამართლის კანონმდებლობით რეგულირდება და დანაშაულზე პასუხისმგებლობა, დამტკიცების შემთხვევაში, გარდაუვალია.

ამ შემთხვევაში ხაზი უნდა გაესვას, რომ არაკანონიერი ქონების ჩამორთმევის "ციებ-ცხელება" მხოლოდ მაღალი რანგის ჩინოვნიკებს ეხებათ. ასე გამიგია მე ამ იდეის თუ კანონპროექტის ავტორებისგან. მე იმედი მაქვს, რომ ეს მიდგომა არ შეიცვლება.

**შოთა გვენეტაძე, "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია":**

1. ეს გადასახადი არის საკმაოდ პროგრესული ნაბიჯი დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის საქმეში, რადგან იგი ხელს შეუწყობს მიღებული მოგების მიმართვას წარმოებაში და არა მხოლოდ და მხოლოდ სახლების მშენებლობაში დაბანდებას, როგორც დღევანდელ საქართველოში არის მიღებული. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში ასეთი ტიპის გადასახადი არსებობს პროგრესირებადი ქონების გადასახადის ფორმით. იქ, განსაკუთრებით მდიდარი ადამიანების გარდა, განსაკუთრებულად დიდ, ფეშენებელურ სახლებს არავინ აშენებს თუნდაც იმიტომ, რომ იცის, ამ ქონებისთვის სერიოზული გადასახადი ექნება გადასახდელი. სანაცვლოდ კი, ეს ფული წარმოების განვითარებაში და გაფართოებაში იდება.

2. ქართულ სინამდვილეში სიმდიდრის ზღვარი სამი და მრავალსართულიანი ფეშენებელური სახლებისა და 50 000 დოლარს ზევით ღირებულების ავტომანქანების ფლობაზე გადის, აღარაფერს ვიტყვით 700 000-დოლარიანი მანქანების მფლობელებზე...

3. პირველ ეტაპზე, როცა არ არის იდენტიფიცირებული თითოეული ადამიანის ქონება, ქონების შეფასება და დაბეგვრა ვიზუალურად შეფასების გზით უნდა მოხდეს. გადასახადის ოდენობა ხელისუფლების დასადგენია.

4. ეს პრინციპი, ჯერჯერობით, ამ კანონპროექტში ჩადებული არ არის, თუმცა ჩვენს ქვეყანაში მიტაცებული ქონების ხანდაზმულობიდან გამომდინარე, შეიძლება ამ პროცესმა ამ ქონების ლეგალიზაციას ხელი შეუწყოს.

*მოკლედ*

## დევიდ ვუდვორდი: ეჭვი საქართველოს მხრიდან მოსალოდნელ სირთულეებთან დაკავშირებით უსაფუძვლოა

ანი გახარია

აზერბაიჯანში BP-ის წარმომადგენელმა დევიდ ვუდვორდმა განაცხადა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ძირითადი საექსპორტო მარშრუტი სომხეთზე არ გაივლის. ეს განცხადება მან ერთ-ერთ აზერბაიჯანულ გაზეთ "ზერკალოსთან" გააკეთა და ამით პასუხი გასცა ზოგიერთი პოლიტოლოგის ვარაუდს, რომ სომხეთი ნავთობსადენს "შეელევა" ყარაბაღის პრობლემის მოგვარების სანაცვლოდ.

მან ასევე კომენტარი გააკეთა საქართველოში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მას ჰქონდა მოლაპარაკებები ნინო ბურჯანაძესთან და სხვა ხელისუფლების წარმომადგენლებთან: **"ჩვენ ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა. მიმდინარე შეხვედრებზე ხაზგასმით აღინიშნა ამ პროექტისთვის აქტიური მხარდაჭერის და დახმარების გაწევის აუცილებლობა. ამრიგად, უსაფუძვლოა ეჭვი საქართველოს მხრიდან მოსალოდნელ სირთულეებთან დაკავშირებით."**

მან ასევე გაამახვილა ყურადღება ნავთობსადენის დაცვის სისტემაზე და განაცხადა, რომ ნავთობსადენზე ტერაქტების განხორციელება ნაკლებად სავარაუდოა და იქვე დასძინა რომ, გაუთვალისწინებელი მოვლენებისგან არავინაა დაზღვეული. მანვე აღნიშნა, რომ მარშრუტის 50% უკვე აშენებულია და, ალბათ, აბსურდია იმის ვარაუდი, რომ ვინმე ამ პროექტის დახურვას ან შეჩერებას დაუშვებს.

ლონდონში შემდგარ შეხვედრაზე BTC-ის წარმომადგენლებმა დაამტკიცეს შეთანხმება 26 მილიარდი დოლარის ოდენობის შიდა ვალის აღების შესახებ. სავარაუდოდ, ამ შეთანხმებას ხელი მოეწერება ბაქოში, მომავალი წლის იანვარში. ხოლო თებერვლის ბოლოს შესაძლებელი გახება ამ თანხების მიზნობრივი ხარჯვა, ანუ მშენებლობის ხარჯების დაფარვა.

## რუსეთი აზერბაიჯანს ელექტროენერგიას კვლავ მიაწოდებს

საქართველოს ელექტროქსელის გავლით რუსეთიდან აზერბაიჯანში ელექტროენერგიის ტრანზიტი ამ თვის ბოლოს დასრულდება, თუმცა, როგორც "ინტერ-პრესს" "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" განუცხადეს, მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა 2004 წლიდან ელექტროსისტემამ უფრო მომგებიანი კონტრაქტი გააფორმოს.

**"არამდგრადი ქართული ენერგოსისტემისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მეზობელ ენერგოსისტემებთან პარალელურ რეჟიმში მუშაობას. გარდა ამისა, ელექტროსისტემა ტრანზიტის მომსახურების საფასურსაც იღებს,"** - განუცხადა "ინტერ-პრესს" "სახელმწიფო ელექტროსისტემის" კომერციული, მარეგულირებელი და იურიდიული განყოფილების აღმასრულებელმა დირექტორმა შონ მაკგოლდრიკმა.

მისი თქმით, ამჟამად მოქმედი კონტრაქტი ითვალისწინებს რუსეთიდან აზერბაიჯანში 100 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ტრანზიტს.

რუსეთიდან აზერბაიჯანში ელექტროენერგიის ტრანზიტის შესახებ კონტრაქტი 2003 წლის 14 თებერვალს, საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის მეშვეობით გაფორმდა. მარტში ელექტროსისტემის გავლით 11 655 600 კილოვატსაათი ელექტროენერგიის ტრანზიტი განხორციელდა. 15 ნოემბრიდან კონტრაქტი განახლდა. **ინტერ-პრესი**

*მონიტორინგი*

### სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 23 დეკემბრისათვის

მლნ. ლარებში

| დასახელება | წლის პროგნოზი | შესრულება | % | 22 დეკემბერი |
|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 1023.45 | 876.33 | 86% | 4.65 |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 833.7 | 625.64 | 75% | 3.56 |
| საგადასახადო შემოსავლები | 699.9 | 538.31 | 77% | 2.08 |
| სოციალური ფონდი | 240.25 | 211.47 | 88% | 0.77 |
| საგზაო ფონდი | 49.5 | 36.33 | 73% | 0.32 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 239.79 | 201.11 | 84% | 4.55 |

# კონტრაბანდასთან საბრძოლველად არასამთავრობო ორგანიზაციები გაერთიანდნენ

ნინო ნარჩემაშვილი



საქართველოს მთლიანი სამომხმარებლო ბაზრის 60 პროცენტზე მეტი კონტრაბანდულია.

საქართველოს ეკონომიკის უდიდესი ნაწილი (განსაკუთრებით, უკანასკნელი წლების განმავლობაში) ჩრდილოვანი ანუ არალეგალურია. წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში სხვადასხვა სფეროებიდან თუ დარგებიდან მიღებული შემოსავლების დამალვა ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. არადა, კონტრაბანდასთან თუ ჩრდილოვან ბიზნესთან ბრძოლა მრავალი საფინანსო ხელშეკრულების ჩაშლისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არაერთი უკმაყოფილების მიზეზი გახდა. ამ ფონზე ახალი ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლის მიერ კონტრაბანდასთან ბრძოლის აქტიური და ენერგიული ღონისძიებები ნამდვილად მისასალმებელია. გაკეთდა კონკრეტული განცხადებებიც კონტრაბანდული საქონლის შემოდინებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ. ამ თემაზე გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გაიმართა ანტიკონტრაბანდულ ცენტრში, რომელიც ოცამდე არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს.

ანტიკონტრაბანდული ცენტრის წარმომადგენელთა განცხადებით, **"წინა ხელისუფლებამ ამ მიმართულებით კატასტროფული მდგომარეობა დატოვა".**

ცენტრის თავმჯდომარემ დავით მესხიშვილმა საქართველოში 2003 წელს კონტრაბანდული გზით შემოსული პროდუქციისა და სახელმწიფოსადმი მიყენებული ზარალის შესახებ მათ ხელთ არსებული ოფიციალური მონაცემები გაახმაურა და პასუხისმგებლობა ფინანსთა სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა უწყების ყოფილ ხელმძღვანელობას დააკისრა. მისი თქმით, განსაკუთრებული ბრალი საბაჟო დეპარტამენტს მიუძღვის, რომლის ყოფილი ხელმძღვანელიც აცხადებდა, რომ გეგმა 110 პროცენტით შესრულდა და, მიუხედავად ამისა, რამდენიმე დღეში ყველა საკონტროლო-გამშვები პუნქტის ხელმძღვანელი გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან.

ანტიკონტრაბანდული ცენტრის განცხადებით, ისინი "პიროვნულად არავის უპირისპირდებიან, **"მაგრამ გაფუჭებულია საქმე და მათ პასუხი უნდა აგონ, რადგან კეთილსინდისიერად არ ასრულებდნენ თავიანთ სამუშაოს".**

რაც შეეხება ანტიკონტრაბანდული ცენტრის მიერ მოპოვებულ და სტატისტიკურ გამოთვლებთან შეჯერებულ ცალკეულ მონაცემებს, ისინი ასე გამოიყურება - სარეცხი საშუალებებიდან მხოლოდ 15 პროცენტია აღრიცხული პროდუქცია, შემოტანილი ტელევიზორებიდან 65 პროცენტი კონტრაბანდულია, მობილური ტელეფონებით ვაჭრობის ქსელში აღურიცხავია პროდუქციის 73 პროცენტი. აქციზურ საქონელთან მიმართებაში შექმნილ მდგომარეობაზე წარმოდგენის შესაქმნელად, მისივე თქმით, რამდენიმე მაგალითის მოყვანაც საკმარისია; კერძოდ: 2003 წლის ბიუჯეტში გეგმით გათვალისწინებული იყო 105 მილიონი ლარი, როცა თამბაქოს დაბეგვრიდან - 150 მილიონი ლარი (ბიუჯეტში გათვალისწინებული 40 მილიონის ნაცვლად), ნავთობპროდუქტების დაბეგვრიდან კი 400 მილიონი ლარი უნდა შესულიყო. ნავთობპროდუქტების ადგილობრივი წარმოებიდან მობილიზებული იქნა მხოლოდ ექვსი ათასი ლარი (2003 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში), იმპორტირებული ბენზინიდან - ცხრა მილიონ 600 ათასი ლარი, ხოლო სხვა სახის ნავთობპროდუქტიდან 830 ათასი ლარი. მონაცემების რეალური სურათი კი 200 მილიონი ლარი უნდა ყოფილიყო 10 მილიონ 436 ათასი ლარის ნაცვლად. ანტიკონტრაბანდულ ცენტრში აცხადებენ, რომ კურიოზული სიტუაციაა ავიასაწვავთან მიმართებაში, სადაც დაფიქსირებულია, რომ აქედან ბიუჯეტში შესულია 100 ტონა ავიასაწვავის თანხა. საწვავის ასეთი რაოდენობა რეალურად მხოლოდ სამ თვითმფრინავს ეყოფა ასაფრენად.

ერთი სიტყვით, სიტუაცია ამგვარია: საქართველოს მთლიანი სამომხმარებლო ბაზრის 60 პროცენტზე მეტი კონტრაბანდულია. ანტიკონტრაბანდული ცენტრის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ვაჭრობის ლეგალიზება, პირველ რიგში, ხელფასებსა და პენსიებზე აისახება დადებითად და ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ეს ფაქტი თვითონ მოსახლეობამ გააცნობიეროს.

დაბოლოს, მათივე თქმით, შეგროვებული მასალები და მონაცემები რეაგირებისათვის ფინანსთა სამინისტროსა და რეგიონალურ სამსახურებს გადაეცემა. ანტიკონტრაბანდულ ცენტრში გაერთიანებულ არასამთავრობო ორგანიზაციათა წევრებს კი ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობისა და კორუფციის ერთიანი ძალებით შემცირების იმედი აქვთ.

# ხელისუფლების საგადასახადო ინიციატივები ოპოზიციის თავდასხმის საგნად იქცა

პირველი გვერდიდან

ცხადია, გაცილებით კატეგორიული იყო დღევანდელი ოპოზიცია ამ საკითხთან და, საერთოდ, საგადასახადო ცვლილებებთან მიმართებაში - "ტრადიციონალისტი" კაკო ასათიანი, "სოციალისტი" ზაქარია ქუცნაშვილი, "ახალი მემარჯვენე" დავით გამყრელიძე გუშინ ხელისუფლების განაცხადს დეტალურად განიხილავდნენ და, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, მასში შავი ლაქები და პოპულიზმის ნიშნებიც აღმოაჩინეს.

სამშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე დავით გამყრელიძემ "საინტერესო" უწოდა იმ ინიციატივას, რომელიც გულისხმობს გადასახადის დაწესებას იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც ფლობენ ფეშენებელურ ბინებს, აგარაკებს, ძვირადღირებულ ავტომანქანებს და სხვა. თუმცა, მან თქვა, რომ ეს არ უნდა დაემსგავსოს "კუდიანებზე ნადირობას და "გაკულაკებას", რითაც ბოლშევიკები გამოირჩეოდნენ.

გამყრელიძის თქმით, **"ბევრ ქვეყანაში ასეთი გადასახადი არსებობს, თუმცა საქართველოში მდიდართა რაოდენობა ძალიან მცირეა და ქვეყანამ იმისთვის უნდა იბრძოლოს, რომ დაძლიოს სიღარიბე. დღევანდელი გათვლებით, ეს შემოსავალი შესაძლოა ასეულ ათასებს ვერ აცდეს, რაც, რეალურად, ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს იმ დანახარჯებზე და თანხებზე, რომელიც საჭიროა სოციალური სფეროსთვის**". ამასთან, მან "საგანგაშო" უწოდა საწვავის შესაძლო გაძვირებას და განაცხადა, რომ ამ ნედლეულზე ფასების ზრდა მოქალაქეების ცხოვრების გაძვირებას გამოიწვევს.

როგორც დავით გამყრელიძემ განაცხადა, ითქვა, რომ მიწის გადასახადი უქმდება, თუმცა რეალურად მიწის გადასახადი გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას და მმართველობას, რომლებიც თავად განსაზღვრავენ, თუ რა განაკვეთით მოახდინონ თანხების ამოღება.

**"რა თქმა უნდა, ადგილობრივ ბიუჯეტებს სჭირდება შემოსავლები და ისინი დატოვებენ ამ გადასახადს, რის შემდეგაც "განტევების ვაცად" ცენტრალური მთავრობა ადგილობრივ ხელისუფლებას აქცევს"**, - თვლის "ახლების" ლიდერი.

ვინაიდან 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის მიხეილ სააკაშვილის მთავარი დაპირება მიწის გადასახადის გაუქმება იყო პენსიების გაორმაგებასთან ერთად, ამიტომ დავით გამყრელიძემ მოუწოდა მთავრობას, საერთოდ გააუქმოს ეს გადასახადი.

გარდა ამისა, "ახლების" ლიდერის თქმით, დროებითმა მთავრობამ საკუთარ ინიციატივებად გაასაღა ის, რაც უკვე გადაწყვეტილია პარლამენტის მიერ, კერძოდ, სამედიცინო დაწესებულების დაბეგვრის, ასევე ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გაუქმება. პოპულიზმზე და ქვეყნისთვის საშიშ გადაწყვეტილებებზე ისაუბრეს ასათიანმა და ქუცნაშვილმაც.

თუმცა, შექმნილი პოლიტიკური ძალთა ბალანსიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის საგადასახადო საკითხთა კომიტეტში ზემოთ მოხსენიებულ პოზიციას საბოლოო გადაწყვეტილებაზე გავლენა არ მოუხდენია.

კომიტეტის სხდომაზე საკითხი ზურაბ ნოღაიდელმა წარმოადგინა და ბევრი ისაუბრა იმაზე, რომ **"საქართველოს საგადასახადო კოდექსი მაქსიმალურად მარტივი უნდა იყოს და ნაკლები რაოდენობის გადასახადს უნდა მოიცავდეს".** მისივე თქმით, გადაწყდა, რომ **"მცირე და საშუალო ბიზნესიდან საგადასახადო ტვირთი მსხვილ ბიზნესზე გადაგვეტანა".**

კომიტეტის თავმჯდომარემ დავით სალარიძემ კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ:

**"დღეს არსებული მძიმე ფისკალური პირობების ფონზე, ფინანსთა სამინისტრო 50 მილიონი ლარის შემოსავალზე უარს ამბობს, რაც მისი მხრიდან მისასალმებელია. სამაგიეროდ, ფინანსთა სამინისტროში მიაჩნიათ, რომ არსებობს სხვა რეზერვები, რისი გამოყენების ხარჯზეც ბიუჯეტი შეიძლება დაბალანსდეს და ესეც, რა თქმა უნდა, კარგია."**

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემა ამოწურულია. ის თამამი საგადასახადო ინიციატივები, რომელიც ორშაბათს საქართველოს დროებითმა ხელისუფლებამ გააჟღერა, ძნელი სათქმელია, რა შედეგებს მოიტანს ხანგრძლივ პერსპექტივაში. ამას დათვლა და, რა თქმა უნდა, ექსპერტული შეფასება სჭირდება, რაშიც "24 საათი" თავისი წვლილის შეტანას შეეცდება.

# 2005 წლამდე 50-მდე გლეხი შეძლებს გრანტის მოპოვებას

*ასზე მეტმა გლეხმა მსოფლიო ბანკის ფინანსური დახმარებით საკუთარი მეურნეობა მოიწყო, სადაც რამდენიმე თანასოფლელი დაასაქმა. 2005 წლამდე კიდევ ორმოცდაათამდე გლეხს გაუღიმებს ბედი და საკუთარი ოცნების განსახორციელებლად მსოფლიო ბანკისგან 5-30 ათასამდე ამერიკული დოლარის ოდენობის გრანტს მიიღებს.*

ეთერ მამულაშვილი

საქმე ეხება მსოფლიო ბანკისა და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ სამი წლის წინათ დაფინანსებულ პროექტს, რომლის მიზანია საქართველოში ეფექტური და რენტაბელური სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სისტემის შექმნა და რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა-დემონსტრირების გზით ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას. პროექტის ღირებულება 12 მილიონ დოლარს აღემატება, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს, 7,5 მილიონ დოლარს, მსოფლიო ბანკი აფინანსებს. პროექტის განხორციელებაში საქართველოს ხელისუფლებასაც დაევალა საკუთარი უმნიშვნელო წვლილის შეტანა, ანუ ფინანსთა სამინისტროს მთელი პროექტის მიმდინარეობის პერიოდში ყოველი წლის ბიუჯეტში თანადაფინანსების თანხების გათვალისწინება დაევალა – ამ თანხის საერთო მოცულობა ორ მილიონს ოდნავ აღემატება. იმ დროს, როცა პროექტს დონორი ორგანიზაციები ამტკიცებდნენ, სახელმწიფომ თანადაფინანსების პირობა დადო, თუმცა, როგორც მსოფლიო ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები აღიარებენ, დღეს ჩამორჩენა რამდენიმე ასეული ათასი ლარია. მიუხედავად ამისა, ხსენებულ პროექტს დონორი ორგანიზაციებისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ჩავარდნა ან შეჩერება ჯერ არ დამუქრებია; პირიქით - მთავარი დონორი ორგანიზაციის შეფასებით, პროექტმა დასრულებამდე წელიწადნახევრით ადრე სერიოზული და მნიშვნელოვანი შედეგები მოუტანა საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მოსახლეობას.

განხორციელება პროექტისა, რომლის სრული სახელწოდებაა "სასოფლო-სამეურნეო კვლევა, დანერგვა-კონსულტირება და სწავლება", 2001 წლიდან დაიწყო, თუმცა ამას უძღოდა საცდელი, პილოტური პროექტები.

საკონკურსო გრანტების პროგრამა, რომელიც ხსენებული პროექტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია, შემდეგს ითვალისწინებს: ნებისმიერ ფერმერს, გლეხს, რომელსაც გააჩნია საკუთარი მეურნეობის მოწყობის ახლებური, ეფექტური მოდელი და საამისოდ არ ყოფნის ფინანსები, შეუძლია სპეციალური განაცხადით მიმართოს დონორ ორგანიზაციას. გრანტის მაძიებელს ფულის მიღების შანსი მეტი აქვს მაშინ, როცა ის დონორის ყველა მოთხოვნას სრულად პასუხობს. იმისთვის, რომ გრანტის მაძიებლებს საქმე გაუიოლდეთ, მათ საგრანტო კონკურსამდე რამდენიმე კვირით ადრე სპეციალური ტრენინგ-სემინარები უტარდებათ. კონკურსი ცხადდება წელიწადში ერთხელ და შესაბამისად იცვლება პრიორიტეტული სფეროებიც. პროექტის საკონკურსო გრანტების კომპონენტი აუცილებლად ითვალისწინებს პროექტში, ფერმერთან ერთად, სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე მეცნიერის ან სპეციალისტის უპირობო ჩართვას.

გასულ წელს მთელი საქართველოს მასშტაბით 72 პროექტი დაფინანსდა, მონაწილეობდა 138 სოფელი. ამ პროექტებით დანერგილი ტექნოლოგიების რაოდენობა 216 იყო, ხოლო პროექტებით პირდაპირი მოსარგებლე ფერმერი, ბენეფიციარი 400-ზე ოდნავ ნაკლები იყო, არაპირდაპირი კი 18.700. პროექტში ჩართულ მეცნიერთა და სპეციალისტთა საერთო რაოდენობამ შარშან 432 ადამიანი შეადგინა. პროექტის მიმდინარეობის თითქმის სამი წლის განმავლობაში ჩავარდა მხოლოდ ერთი ფერმერის პროექტი, რაც საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულზე ბევრად ნაკლებია (სტანდარტით, 100-დან მხოლოდ ათის ჩავარდნაა დასაშვები).

გასული წლების შედეგებს მსოფლიო ბანკის პროექტების მართვის სპეციალისტი დარეჯან კაპანაძე ასე აფასებს: **"ის შედეგები რაც უნდა მოჰყოლოდა გრანტით დაფინანსებულ თითოეულ პროექტს, მართლაც მნიშვნელოვანია. რაც ყველაზე მთავარია, შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ გრანტის ამოწურვის შემდეგ თითოეული პროექტის ავტორი დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით შეძლებს ამ პროექტის გაგრძელებას."**

მიმდინარე წელს გამოცხადებული კონკურსის საბოლოო შედეგები უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა განცხადებით, ამ დროისათვის კონკურსში მონაწილეობას ღებულობს 59 პროექტი, თუმცა თავიდან მათი რაოდენობა 190-ს აჭარბებდა. მსოფლიო ბანკის სასოფლო-სამეურნეო პროექტების საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის რევაზ ასათიანის განცხადებით, სავარაუდოდ, წელს 40 პროექტის დაფინანსება გახდება შესაძლებელი.

*მოკლედ*

## ყველა პურის საწარმო დარღვევებით მუშაობს

„საქსტანდარტის" მიერ შემოწმებული პურის საწარმოებიდან დარღვევები თითქმის ყველა მათგანს ჰქონდა. როგორც სააგენტო „მედია-ნიუსს" საქსტანდარტის ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა ვასილ ქარსელაძემ აცნობა, მათ პურის ექვსი საცხობის შესამოწმებლად ნებართვა მხოლოდ ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლომ მისცა. ერთ-ერთი საცხობი კონტროლიორებს დაკეტილი დახვდათ, იქ რემონტი მიმდინარეობდა.

ასე რომ, შემოწმებაც ვერ ჩატარდა.

საკონდიტრო შპს „ანას" ხელმძღვანელობამ „საქსტანდარტის" წარმომადგენლები საწარმოში არ შეუშვა, რის გამოც დაჯარიმებაზე მიწერილობა გაკეთდა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, ამ ობიექტის მფლობელი 225-450 ლარით დაჯარიმდება და ამას სასამართლო გადაწყვეტს. დაჯარიმების შესახებ მიწერილობა საკონდიტრო წარმოება „კვებსერვისის" მიმართაც გაკეთდა, რადგან ამ საწარმოში გამზომი საშუალებები დაუმოწმებელი აღმოჩნდა.

ინდივიდუალური მეწარმე კვინიკაძის საცხობში — „ქართული პური" გამომცხვარ პურში ტენიანობა მომატებული იყო, რის გამოც „საქსტანდარტის" თანამშრომლებმა მიიღეს ამ პროდუქციის პარტიის აკრძალვის გადაწყვეტილება.

„საქსტანდარტში" აცხადებენ, რომ დედაქალაქში პურის მცირე საცხობების უმეტესობა ამა თუ იმ დარღვევით მუშაობს. მათი განმეორებითი შემოწმება ორ კვირაშია დაგეგმილი. **მედია-ნიუსი**

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** გუშინ მთელი თბილისის მასშტაბით გართულებული იყო საქალაქო სატელეფონო კავშირის დამყარება. როგორც "ინტერ-პრესს" "ელექტროკავშირის" ფინანსურმა მენეჯერმა მერაბ კანკავამ განუცხადა, ამის მიზეზი გარკვეული ტექნიკური პრობლემები გახდა, თუმცა მან დეტალები არ დააკონკრეტა. მისივე თქმით, ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი მუშაობები და, სავარაუდოდ, ხვალისთვის აღნიშნული პრობლემა აღმოიფხვრება. ასევე შეფერხებებით მუშაობს ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია "მაგთი". როგორც შ.პ.ს "მაგთიკომის" საინფორმაციო სამსახურში განაცხადეს, ქალაქში არსებული სატელეფონო კავშირის პრობლემის გამო "მაგთის" ხაზებიც გადაიტვირთა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** წლეულს თბილისის ბიუჯეტი 15 მილიონი ლარით გაირღვა. თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე კობა ბექაური ამაში წინა ხელისუფლებას ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან ცოტა ხნის წინათ გამართულ შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ ყოველი თვის 25 რიცხვამდე თბილისის ბიუჯეტში შესასრულებელი გეგმის 80 პროცენტი უნდა შევიდეს. რაც შეეხება დეკემბრის თვის ბიუჯეტს, კობა ბექაურის ინფორმაციით, ამ პერიოდისთვის დედაქალაქის ბიუჯეტში გეგმით გათვალისწინებული 20 მილიონი ლარიდან შესულია 10 მილიონი ლარი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ჭიათურა.** სს "ჭიათურმანგანუმის" თანამშრომლები ოქტომბრის თვის ხელფასს საახალწლო დღეების შემდეგ მიიღებენ. როგორც "ინტერ-პრესს" საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ იანდი შეყილაძემ განუცხადა, 3 000-მდე თანამშრომელი ოქტომბრის ხელფასს 15 იანვრისთვის მიიღებს. მისი განმარტებით, "ჭიათურმანგანუმს" მიმდინარე წლის სახელფასო დავალიანება არ გააჩნია, თუმცა გასული წლების 3,5 მილიონი ლარის საერთო ოდენობის თანხა მართებს, რომლის გასტუმრება 2003 წელს დაიწყო და 2004 წელსაც გაგრძელდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საფონდო ბირჟაზე დღეს სავაჭროდ წარდგენილი 19 კომპანიის აქციებიდან მხოლოდ ერთის აქციები გაიყიდა. როგორც "ინტერ-პრესს" საფონდო ბირჟაზე განუცხადეს, თორმეტი გარიგებით გაიყიდა ბიზნესცენტრ ``სოფმშენის" აქციები, რომელთა საერთო მოცულობამ – 33 ცალი, ღირებულებამ კი 33 ლარი შეადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა, რომელიც ერთკვირიანი გაფიცვის შემდეგ, პარასკევიდან ისევ აღდგა, შესაძლოა, კვლავ შეჩერდეს. მილსადენზე დასაქმებული ქართველი მუშები სამშენებლო კონტრაქტორის „სპი კაპაგ-პეტროფაგისგან" მათი მოთხოვნების შესრულებას ელოდებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს ავტომანქანა „მერსედეს-124", რომელსაც მართავდა თბილისში მცხოვრები, 34 წლის გოჩა ჩარუქიშვილი. ავტომანქანის სალონიდან და საბარგულიდან ამოღებულია სხვადასხვა დასახელების, რუსულაქციზიანი 8.930 კოლოფი სიგარეტი (დაახლოებით 3.000 ლარის ღირებულების).

მოკვლევას ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველო აწარმოებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროპის რამდენიმე ქვეყნის პოლიციის სპეციალურმა სამსახურმა, რომელიც გადაშენების პირას მყოფი ცხოველებითა და მცენარეებით ვაჭრობის საწინააღმდეგო კონვენციის საფუძველზე შეიქმნა, ჟენევაში დააკავა 2 მლნ დოლარად შეფასებული ორი ტონა ხიზილალის კონტრაბანდული ტვირთი. პოლიცია მსხვილი საერთაშორისო კონტრაბანდული ქსელის გამოსავლენად ოპერაციას ორი წლის განმავლობაში ატარებდა. კონტრაბანდული ხიზილალა რუსეთიდან და ყაზახეთიდან - დუბაიში, შემდეგ კი ყალბი საბუთების გამოყენებით ჟენევაში გადაჰქონდათ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დღეს გამართული ვაჭრობის შედეგად საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 2,082 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა. სულ ვაჭრობაში ექვსი კომერციული ბანკი მონაწილეობდა, ორი - გამყიდველის და ოთხი - მყიდველის სტატუსით. დაიდო ხუთი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 370 000 აშშ დოლარი შეადგინა. **ინტერ-პრესი**

# უკრაინის ოპოზიციის გადამწყვეტი ბრძოლა

პირველი გვერდიდან

არ გამორიცხავენ კუჩმას ხელახლა გაპრეზიდენტებასაც. მართალია, მას მესამედ კენჭისყრის უფლება არა აქვს, მაგრამ პარლამენტს, სადაც საკონსტიტუციო უმრავლესობას კუჩმას მომხრე დეპუტატები ქმნიან, ამჟამინდელი პრეზიდენტისათვის ვადის გახანგრძლივებას ვერავინ დაუშლის. უკვე ყველაფერი კუჩმას სურვილზე იქნება დამოკიდებული. ამდენად, ოპოზიციური ფრაქციების გუშინდელი პროტესტი ადვილად გასაგებია.

## პროტესტი პარლამენტის დარბაზში: ˝ძირს კუჩმა˝

უკრაინული მასმედიის ცნობით, პარლამენტის სხდომის დაწყების მომენტში დაახლოებით ორმოცმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა, მათ შორის "ჩვენი უკრაინის" ლიდერმა ვიქტორ იუშენკომ პარლამენტის ტრიბუნას ალყა შემოარტყა. მათ ასევე პრეზიდიუმიც დაიკავეს, ხოლო სპიკერის ადგილზე ხელოვნური ნაძვის ხე დადგეს, რომელზეც ოპოზიციური გაზეთის "ცენზურის გარეშე" ეგზემპლარები უხვად დაკიდეს. სხდომათა დარბაზის კედლებზე ოპოზიციონერებმა საკონსტიტუციო რეფორმის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო პლაკატები გააკრეს.

უმაღლესი რადას სპიკერი ვლადიმირ ლიტვინი ყველანაირად ცდილობდა აღშფოთებული ოპოზიციონერების დაშოშმინებას, მაგრამ უშედეგოდ. სპიკერს დემოკრატიულმა ოპოზიციამ უკრაინის ჰიმნის ერთხმად დაგუგუნებით გასცა პასუხი, რომლის დასრულების შემდეგაც ასევე ერთხმად დაიწყეს სკანდირება: **"ძირს კუჩმა!"**

უკრაინის პარლამენტში სხდომა ჩაიშალა.

## საკონსტიტუციო რეფორმა იუშენკოს წინააღმდეგ

რადგანაც პოლიტიკაში ყოველი ნაბიჯი რაღაც მიზანს ემსახურება, ცხადია, არც უკრაინის კონსტიტუციის შეცვლაა უმიზნო ჩანაფიქრი. კონსტიტუციის შეცვლით ხელისუფლების უმთავრეს მიზანს ოპოზიციის აღიარებული ლიდერის – ვიქტორ იუშენკოს თამაშგარე მდგომარეობაში დატოვება წარმოადგენს.

იუშენკო კი სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად უკრაინის ყველაზე პოპულარულ პოლიტიკოსად არის დასახელებული. დასავლელი ექსპერტები მას ქვეყნის მომავალ პრეზიდენტად განიხილავენ.

მას შემდეგ, რაც უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას და პრეზიდენტის პარლამენტის მიერ არჩევას მხარი დაუჭირა, ოპოზიციამ ხელისუფლების ამ ნაბიჯს ალტერნატიული იდეა – საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარება დაუპირისპირა. ოპოზიციური პარტიები დაჟინებით მოითხოვენ, რომ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა-არშეტანის საკითხი, არც მეტი, არც ნაკლები, თავად ხალხმა გადაწყვიტოს. **"ხელისუფლება ხალხს არჩევანის საშუალებას ართმევს,"** - აცხადებს ვიქტორ იუშენკო.



უკრაინული და ქართული ოპოზიციის ლიდერები.



იმ შემთხვევაშიც კი, თუ პარლამენტი კუჩმას მესამე ვადით კენჭისყრის "უფლებას არ მისცემს", ოპოზიციას პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატის გაყვანის არავითარი შანსი არ რჩება, რადგან უმაღლეს რადაში საკონსტიტუციო უმრავლესობას სწორედ კუჩმას მხარდამჭერი პარტიები წარმოადგენენ. ასეთ შემთხვევაში ლეონიდ კუჩმას თავისუფლად შეეძლება, თავისი "ღირსეული" მემკვიდრე დაასახელოს და უკრაინაში რუსული ვარიანტი განახორციელოს. ასეთ ვითარებაში, ვიქტორ იუშენკო კვლავ ოპოზიციის ლიდერად რჩება, ხოლო კუჩმას სურვილით შექმნილი პოსტ-კუჩმასეული ეპოქა, არა მხოლოდ იუშენკოს, არამედ მთლიანად უკრაინულ დემოკრატიას კარგს არაფერს უქადის.

## ოპოზიციის არჩევანი და შანსები

უკრაინელი პოლიტოლოგების აზრით, ოპოზიციას ორი კოზირი გააჩნია, რათა საყოველთაო არჩევნების გაუქმება არ დაუშვას: ხალხის მასებზე აქტიურად აპელირება და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა. ცხადია, ეს ოპოზიციას კარგად აქვს გაცნობიერებული.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კუჩმას სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანისთანავე, ოპოზიციის ლიდერებმა მთელ უკრაინაში ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს, ორი მოთხოვნით – არ მოხდეს ხალხისათვის საყოველათო არჩევნებში მონაწილეობის უფლების წართმევა და გაიმართოს სახალხო რეფერენდუმი, სადაც ხალხი თავად გადაწყვეტს საკუთარ ბედს.

ამ დროისათვის, ძირითად ოპოზიციურ პარტიას "ჩვენი უკრაინა" სამ მილიონზე მეტი ხელმოწერა აქვს შეგროვებული. რამდენიმე დღეში მათ ხელმოწერების რაოდენობის გაზრდა 8 მილიონამდე აქვთ დაგეგმილი. ხელმოწერების ასეთი რაოდენობის მოკლე დროში შეგროვებით კმაყოფილმა ვიქტორ იუშენკომ გამოთქვა რწმენა, რომ უკრაინელი ხალხი ამ ბრძოლაში გამარჯვებას მოიპოვებს და თავად აირჩევს პრეზიდენტს. **"მე დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინის პრეზიდენტს აირჩევენ უკრაინის მოქალაქეები, უკრაინელი ამომრჩევლები, რადგანაც ეს მარტო ჩემი პოზიცია კი არა, თავად ხალხის ნებაა,"** - ხაზგასმით განაცხადა იუშენკომ.

თუმცა, როგორც გლობალური სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი ვადიმ კარასევი აცხადებს, ოპოზიციას რეფერენდუმის ჩატარების ძალზე მცირე შანსი აქვს. **"იმისათვის, რომ რეფერენდუმი რეალურად გაიმართოს, რთული იურიდიული პროცედურაა გადასალახი. ამას ხელისუფლების საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი შტოების თანხმობა სჭირდება. ამასთანავე, სახელმწიფომ რეფერენდუმისათვის არცთუ მცირე ფინანსური სახსრები უნდა გამოყოს,"** - აცხადებს ექსპერტი. გარდა ამისა, მისი თქმით, რეფერენდუმის ჩატარებისათვის აუცილებელია პარლამენტის საკონსტიტუციო უმრავლესობის თანხმობა, რომლის წევრებსაც დღეს სულ სხვა მიზნები ამოძრავებთ.

შესაძლებელია, რომ კარასევი მართალი აღმოჩნდეს და რეფერენდუმის ჩატარების იდეამ მარცხი განიცადოს, ისევ და ისევ კუჩმას მიერ უზურპირებული პარლამენტის გამო. ასეთ შემთხვევაში კი რჩება ერთადერთი გამოსავალი – "ვარდების რევოლუცია", რასაც უკრაინის ოპოზიცია და ვიქტორ იუშენკო ბოლო ნაბიჯად განიხილავს. სახალხო პროტესტი ბრძოლის უკანასკნელი ფორმა იქნება, იმ შემთხვევისათვის, თუ უკან დასახევი გზა თავად ხელისუფლებამ არ დაუტოვა ხალხს.

# 2003 წელი თვალის ერთი გადავლებით




### მოკლედ

## ავსტრალიელი ახალგაზრდა ნიანგმა შეჭამა

22 წლის ბრეტ მენი და მისი ორი მეგობარი ავსტრალიის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე ველოსიპედებით გაემგზავრნენ. დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ ისინი მდინარე ფინესთან შეჩერდნენ ტანსაცმლიდან და ველოსიპედებიდან ტალახის მოსაცილებლად. მდინარე ადიდებული იყო. ძლიერმა ტალღამ მენი მდინარის შუაგულისაკენ წაიღო. მეგობრებიც მის გადასარჩენად წყალში შევიდნენ. უეცრად, 4 მეტრის სიგრძის ნიანგი გამოჩნდა. მან მენს მხარში მოჰკიდა პირი და ფსკერისაკენ წაათრია. ნიანგმა მცირე ხნის შემდეგ ისევ ამოყვინთა, ოღონდ მარტო და დარჩენილ ორ მეგობარს შეუტია. საბედნიეროდ, მათ შორიახლო წყალში მდგომ ხეზე აძრომა მოახერხეს. მათ ხეზე 22 საათის გატარება მოუწიათ, მხოლოდ ამის შემდეგ აღმოაჩინა ისინი პოლიციის ვერტმფრენმა, რომელიც მათ საშველად მას შემდეგ გაგზავნეს, რაც ბიჭები დიდი ხნის მანძილზე არ გამოჩნდენ. პოლიცია ამჟამად მენის ცხედარსა და კაციჭამია ნიანგს ეძებს.

## რუსეთს "ტოპოლ-ემის" იმედი აქვს

კვირას რუსებმა მორიგეობაზე დააყენეს ექვსი ყველაზე თანამედროვე საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა. რუსი ექსპერტების მტკიცებით, რაკეტებს ნებისმიერი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი ზღუდის გადალახვა შეუძლია. რაკეტა, რომლის მოქმედების რადიუსიც 10 ათასი კილომეტრია, 1300 კილოგრამის წონის ბირთვული ქობინითაა აღჭურვილი. "ეს ყველაზე თანამედროვე და ყველაზე სრულყოფილი რაკეტაა დედამიწის ზურგზე, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა საზეიმო ცერემონიაზე, რომელიც პირდაპირ ეთერში გადაიცა, – მხოლოდ ასეთ იარაღს შეუძლია რუსეთის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა." ამერიკელები ამბობენ, რომ თავისი მონაცემებით "ტოპოლ–ემი" ამერიკული მინიტმენ 3-ის მოძველებულ ვარიანტს შეეფარდება. რაკეტა ორი ვარიანტით გამოდის: საშახტე და გადასატანი. კონსტრუქტორების თქმით, გადასატანი ვარიანტი შეიძლება 4-6 ქობინით აღიჭურვოს, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებლად დამიზნებადი იქნება.

"ტოპოლ-ემ" შეიარაღებაში ჯერ კიდევ 1998 წელს მიიღეს. შემდგომ, ფინანსების ნაკლებობის გამო, იძულებული იყვნენ, პროგრამა შეეკვეცათ. თუმცა, რამდენიმე რაკეტის წარმოება მაინც მოხერხდა. რუსები იმედოვნებენ, რომ თავიანთი მოძველებული ბირთვული არსენალის შეცვლას სწორედ ასეთი რაკეტებით შეძლებენ. სამხედრო წყაროების ცნობით, კონსტრუქტორები უკვე მუშაობენ შემდეგი თაობის რაკეტაზე, რომელსაც 4400 კგ. წონის ათი ქობინის გადატანა შეეძლება.

### ორი სიტყვით

**აშშ.** კალიფორნიაში გუშინ მომხდარი 6,5 ბალიანი მიწისძვრის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა და 45 დაშავდა. მიწისძვრამ განსკუთრებით სან ფრანცისკოსა და ლოს ანჯელესს შორის მდებარე დასახლებული პუნქტები დააზარალა. ეპიცენტრი სანაპირო ქალაქ სან სიმეონში იყო. დაინგრა და დაზიანდა რამდენიმე მაღალსართულიანი შენობა და ისტორიული ნაგებობა. მაშველები დაზარალებულებს სამი საათი ეძებდნენ. მიწისძვრის შედეგად 75 ათას ოჯახს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა, თუმცა, სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ეს ხარვეზი მალე გამოსწორდება, რადგან მიწისძვრას გადაურჩა როგორც ელეტროგადამცემი ხაზები, ასევე რეგიონში განლაგებული ატომური ელექტროსადგური. ზარალის ზუსტი ოდენობა ჯერ ცნობილი არა არის, თუმცა აშშ-ს შესაბამისი სამსახურები რამდენიმე მილიონის ზარალზე საუბრობენ. ლოს ანჯელესის 1994 წლის მიწისძვრამ, რომელიც მსგავსი სიმძლავრის იყო, კალიფორნიის შტატს 40 მლრდ დოლარის ზარალი მიაყენა და იგი აშშ-ს ისტორიაში ყველაზე "ძვირ" სტიქიურ კატასტროფად არის მიიჩნული. 1999 წელს კალიფორნიის შტატში, სამხრეთ კალიფორნიის უდაბნოში 7,1 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა.

■ ■ ■

**სომხეთი.** სომხეთის მთავრობა მიესალმება ირანის სომხეთთან გაზსადენის პროექტში რუსეთის მონაწილეობას. პროექტის იდეა ორი წლის წინ, პრეზიდენტ რობერტ კოჩარიანის ირანში ვიზიტის დროს გადაწყდა. თავდაპირველი დაგეგმარების მიხედვით, გაზსადენის მთლიანი სიგრძე 141 კმ იქნება, ხოლო გამტარუნარიანობა - 1,5 მლნ კუბური მეტრი დღეში. გაზსადენით შესაძლებელი იქნება თურქმენული გაზის ტრანზიტის განხორციელებაც. პროექტის საერთო ღირებულება, ჯერჯერობით, 120 მლნ დოლარად ფასდება. მასში რუსეთის მონაწილეობის შესახებ სომხეთის პრემიერ-მინისტრმა, ანდრანიკ მარგარიანმა განაცხადა. მისი თქმით, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები "გაზპრომთან". აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს ე.წ. "ჩრდილოეთ-სამხრეთის" ენერგეტიკული დერეფანის ამოქმედებას, რომელიც გარკვეულწილად აშშ-ის მიერ ლობირებული "აღმოსავლეთ-დასავლეთის" დერეფნის კონკურენტად განიხილება. აღსანიშნავია, რომ პუტინსა და კოჩარიანს შორის გუშინ გამართული სატელეფონო საუბარი სათბობ-ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობასაც შეეხო.

**The Israeli Government Scholarship for the Academic Year 2004- 2005**

The government to Israel is honored to offer academic scholarships to Georgian citizens for study in the universities of Israel during 2004- 2005.

Types of Scholarship offered:
1. One academic year
2. " Ulpan" - Summer Hebrew language course
Deadline of Submitting the applications is December 31, 2003.
For additional information eligible applicants should contact Israeli Embassy in Georgia.

**ისრაელის მთავრობის სტიპენდიები 2004-2005 აკადემიური წლებისთვის**

ისრაელის მთავრობა მოხარულია საქართველოს მოქალაქეებს შესთავაზოს აკადემიური სტიპენდიები ისრაელის უნივერსიტეტებში სასწავლებლად 2004-2005 წლისთვის.

სტიპენდიების სახეები:
ერთი აკადემიური წელი.
"ულფანი" – ივრითის საზაფხულო კურსი.

**განცახდების შემოტანის ბოლო ვადაა 2003 წლის 31 დეკემბერი.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ისრაელის საელჩოს საქართველოში.

Tel: (95 32) 942 458; 951 709
www.mfa.gov.il

## ჯილდოები ჯანდაცვის მუშაკებს



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ამირან გამყრელიძე თავად აჯილდოებდა.*

*უკვე მეშვიდე წელიწადია, რაც საქართველოში 23 დეკემბერს ქართული მედიცინის დღეს აღნიშნავენ. ამ დღესთან დაკავშირებით, გუშინ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ ღვაწლმოსილი მედიცინის მუშაკები ოქროს საპატიო მედლებით, ორდენებითა და წითელი ვარდებით დააჯილდოვა.*

თამარ დვალი

საქართველოში მედიცინის დარგში 70 ათასამდე ადამიანია დაკავებული. გუშინ ჯანდაცვის სამინისტროში შეკრებილ 40-მდე მედიცინის მუშაკს პროფესიული დღის აღსანიშნავად ოქროს საპატიო სიგელები გადასცეს. ჯანდაცვის სამინისტრომ ეს სიგელი 1998 წელს დააწესა და იგი ყოველწლიურად სხვადასხვა რეგიონის წლის საუკეთესო მედიცინის მუშაკებს გადაეცემათ. ჯილდო შუა საუკუნეების გამოჩენილი ექიმის ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახელობისაა.

**"ჩვენი დიდი სურვილი იყო, მედიცინის დღესთან დაკავშირებით, მედიცინის მუშაკებისათვის მედლებთან ერთად ფულადი პრემიებიც დაგვერიგებინა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული ოქროს საპატიო მედალი სამ ადამიანს გადავეცით. ტრადიციულად, ერთ მედალს ქართულ მედიცინაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის უცხოელ მედიცინის მუშაკს გადავცემთ ხოლმე. გერალფ კიოში ამერიკის ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტების ფოგარტის საერთაშორისო ცენტრის დირექტორია. მან ბევრ ქართველ სტუდენტს მისცა შესაძლებლობა, სტაჟირება საზღვარგარეთ გაევლოთ. მეორე მედალი საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ ექიმებს ეკუთვნით. წელს ეს მედალი გერმანიის "ჰარდცენტრუმის" ბავშვთა კარდიოქირურგს, პროფესორ ლადო (ალექსი) მესხიშვილს მივაკუთნეთ. მესამე მედალი სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტის დირექტორმა ფრიდონ თოდუამ დაიმსახურა, "** – განაცხადა "24 საათთან" ამირან გამყრელიძემ.

საპატიო მედლები სხვადასხვა რეგიონის 36-მა მედიცინის მუშაკმა მიიღო; საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაწესებული "ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენი" - ერთმა, "ღირსების ორდენი" – ხუთმა, პრეზიდენტის მადლობა კი მედიცინის ათმა მუშაკმა დაიმსახურა.

## რეალიზებული ოცნება

### ნინო ბურჯანაძის ვიზიტი ეროვნულ სამედიცინო ცენტრში

*ემორის უნივერსიტეტის პროფესორმა კენეტ უოკერმა ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრს რეალიზებული ოცნება უწოდა. ეს მოხდა გუშინ, როცა ჯანდაცვის მუშაკთა დღესთან დაკავშირებით კლინიკას ნინო ბურჯანაძე და გიგი წერეთელი სტუმრობდნენ.*





*გიგი წერეთელი, ნინო ბურჯანაძე და მარინა ღუდუშაური*

ზაზა ფაჩუაშვილი

მაღალ სტუმართა ვიზიტი ეროვნული სამედიცინო ცენტრის დათვალიერებით დაიწყო, რამაც ექიმთა პროფესიულ დღესასწაულთან დაკავშირებული საზეიმო განწყობილება კიდევ უფრო აამაღლა და კიდევ ერთხელ გახდა თანამედროვე კლინიკით აღფრთოვანების საბაბი.

შემოვლის შემდეგ მისასალმებელი, მისალოცი და სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ. მანვე წაიკითხა ნინო ბურჯანაძის საზეიმო მიმართვა ექიმებისადმი.

კლინიკა სტუმრებს ოფიციალურად წარუდგინა ეროვნული სამედიცინო ცეტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მარინა ღუდუშაურმა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ცენტრის პრობლემებზეც.

ორივე გამომსვლელმა ისაუბრა დაფინანსების სიმწირეზე, რაც, საბოლოო ჯამში, საფრთხის ქვეშ აყენებს ეროვნული ცენტრის იდეას - ანუ ქვეყნის უმწეო მოსახლეობის უმაღლესი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას. ეს არის ერთადერთი კლინიკა, სადაც პაციენტს არც წამლის მოტანას სთხოვენ, არც სპეციალისტის მოყვანას და არც ზედმეტი ანაზღაურების გადახდასო, - აღნიშნა მარინა ღუდუშაურმა.

შემდეგ კენეტ უოკერის დროც დადგა. "საქართველოში 1992 წელს ჩამოვედი. მას შემდეგ ქვეყნის მრავალი საავადმყოფო ვნახე და ახლა გახსენებაც კი არ მსურს იმ მდგომარეობის. ეს საავადმყოფო დაიწყო, როგორც ოცნება, რომელიც შემდეგ რეალური გახდა. ეს არის მრავალი ქვეყნისა და სპეციალისტის დიდი შრომის შედეგი და მე მადლობას ვუხდი მათ.

ემორის უნივერსიტეტში ჩვენ 42 ქართველი ექიმი მოვამზადეთ, რომლებიც დღეს წარჩინებული სპეციალისტები არიან და სწორედ ეს საავადმყოფოა მათი ცოდნის რეალიზების საშუალება. მომავალში ეს საავადმყოფო გახდება ცენტრი ინტელექტუალური მედიცინისა, ტელემედიცინისა და დისტანციური სწავლებისა, უწყვეტი სამედიცინო განათლებისა. ეს არის ქვეყნის თანამედროვე სამედიცინო მიმართულების საწყისი. თქვენ დღეს აშენებთ ახალ ნაციას და მე ჩემს კოლეგებთან ერთად ყოველმხრივ დაგეხმარებით ამ საქმეში," – განაცხადა პროფესორმა უოკერმა.

ეროვნული სამედიცინო ცენტრით აღფრთოვანება ვერ დამალა გიგი წერეთელმაც, რომელმაც თქვა, რომ ასეთ შესაძლებლობებზე ცოტა ხნის წინათ - ანუ მაშინ, როცა ის ექიმად მუშაობდა, მხოლოდ ოცნება შეეძლო. სიტყვის ბოლოს კი მან პირობა დადო, რომ პოლიტიკოსები ეროვნულ ცენტრს ყოველმხრივ გვერდში დაუდგებოდნენ.

ნინო ბურჯანაძემ დიდი მადლობა გადაუხადა ამირან გამყრელიძეს, მარინა ღუდუშაურსა, ექიმებსა და ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ეროვნული სამედიცინო ცენტრის შექმნაში და აღნიშნა, - ამ მონაპოვარს არა მარტო შევინარჩუნებთ, არამედ ქვეყანაში რამდენიმე ანალოგიურ ცენტრსაც გავხსნითო; ჯერჯერობით პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა მხოლოდ ორი ქალაქი დაასახელა – ქუთაისი და სოხუმი.

ასეთი კარგი დღესასწაული გაუთენდათ გუშინ ეროვნული სამედიცინო ცენტრის ექიმებს, რომლებიც სრულ ბედნიერებას იმ კვირაში ელოდებიან – წინასწარი ინფორმაციით, მათ ორი თვით დაგვიანებული ხელფასი უნდა მიიღონ.

## ჯანდაცვის სისტემის განვითარების მეტრეველისეული ფორმულა

*საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე ლევან მეტრეველი ახალ ხელისუფლებას, კოპენჰაგენში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიერ მოწონებული ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის ნაცვლად (აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოში ჯანდაცვის სისტემის განვითარებას 2010 წლამდე), საკუთარ პლატფორმას სთავაზობს. "ჩვენი პროგრამა საზოგადოების მსჯელობის საგანი გახდება, ამიტომ მას 1995 წელს დაწყებული ჯანდაცვის სისტემის რეფორმის ბედი არ ელის," – აცხადებს მეტრეველი.*

ნანა ქადაგიშვილი

მსმენელისთვის ჯანდაცვის სისტემის ცვლილების აუცილებლობა რომ უფრო ნათელი გაეხადა, მეტრეველმა საკუთარი პროგრამის პრეზენტაცია სისტემაში არსებული პრობლემების შეხსენებებით დაიწყო: **"საქართველოს მოსახლეობის 75 პროცენტისთვის სამედიცინო დახმარება მიუწვდომელია; საშუალო ქირურგიული ოპერაციის ღირებულება 7-ჯერ აღემატება სიღარიბის ზღვარს; ამ დროს კი უმწეოთა პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხები მდიდარი ადამიანების კურორტებზე დასვენებას ხმარდება; უამრავი ჰუმანიტარული პროგრამის კვალი ჯანდაცვის სიტემას ოდნავადაც არ ემჩნევა; დაბალი შობადობა და ახალშობილთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი; მომწამლავი გარემო - ეს ყველაფერი უნდა შეიცვალოს".**

მეტრეველმა საზოგადოებას საკუთარი პროგრამის პრინციპებიც გააცნო. აღნიშნული პროგრამა იყოფა ორ ბლოკად - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო გარანტიების შექმნა; და ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარება. პირველი ბლოკის მთავარ საკითხს ჯანდაცვის შესახებ კანონის მესამოცე მუხლის გაუქმება წარმოადგენს. ამ მუხლში აღნიშნულია, რომ, თუკი პაციენტი კრიტიკულ მდგომარეობაში არ იმყოფება და მკურნალობის საფასურის გადახდაზე უარს აცხადებს, ექიმს უფლება აქვს, მკურნალობაზე უარი უთხრას. **"კრიტიკული მდგომარეობა რას ნიშნავს, კიდევ გასარკვევია,"** – აცხადებს მეტრეველი. პროგრამის პირველ ნაწილში მეტრეველი ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური სფეროსგან განცალკევებასაც მოითხოვს, თუმცა თვითონვე ხვდება, რომ ამ საკითხში ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდება.

პროგრამის მეორე ნაწილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამით იწყება. მეტრეველი არსებული პროგრამებით უკმაყოფილოა. მისი თქმით, სასწრაფო დახმარების სისტემა ბევრ რაიონში მოშლილია. პლატფორმის მეორე ნაწილი, ასევე, ითვალისწინებს საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფის, ჯანდაცვის ომბუდსმენის ინსტიტუტის, ნაციონალური ჰოსპიტალური პროგრამისა და აუცილებელ მედიკამენტებზე უმწეოთათვის შეღავათების დაწესებასაც. უმთავრესი კი მეტრეველის საყვარელი თემაა - საავადმყოფოების რესტრუქტურიზაციის შეჩერება და კრედიტ-საათების გაუქმება.

ესე იგი, აღნიშნული პროგრამის მთავრი მიზანი გახლავთ: საავადმყოფოებისა და ექიმების რაოდენობა არ შემცირდეს, ექიმების ხელფასი გაიზარდოს და პაციენტისთვის სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი გახდეს. ამ ყველაფრის მისაღწევად კი მეტრეველს უმარტივესი ფორმულა მოუძებნია – პროფესიონალიზმს + პატიოსნება + საზოგადოებრივი კონსესუსი = ჯანმრთელ პაციენტს, მალალანაზღაურებად ექიმსა და საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობით კმაყოფილ სახელმწიფოს.

ჯანდაცვის სისტემის ხელმძღვანელობამ 8 წლის განმავლობაში უამრავი პროგრამა და კანონი შექმნა, მაგრამ პაციენტიც უკმაყოფილოა, ექიმებიცა და სახელმწიფოც, არადა, რა მარტივი ყოფილა ყველაფერი.

## სტაბილურობითა და ნოვატორობით - "საქართველოს ბანკი" 2004 წელს 10 წლის ხდება

საააქციო საზოგადოება
საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY

2003 წელი "საქართველოს ბანკისათვის" მრავალმხრივი წარმატებებით დასრულდა. კლიენტებისა და მოსახლეობის გაზრდილი ნდობა, გაღრმავებული საერთაშორისო ურთიერთობები, მკაფიოდ ჩამოყალიბებული საიმიჯო სტრატეგია, გაუმჯობესებული მომსახურება, ახალი პროდუქტები და სხვა მრავალი ფაქტორი, რომლებიც 2003 წლის მანძილზე კიდევ უფრო დაიხვეწა და განვითარდა, მტკიცე საფუძველს ქმნის, რათა მე-10 საიუბილეო წელი "საქართველოს ბანკისათვის" კიდევ უფრო წარმატებული იყოს.

ბანკის მენეჯმენტის, მისი პრეზიდენტის ვლადიმერ პატეიშვილის უშუალო ხელმძღვანელობითა და ძალისხმევით დასახული კურსი - "საქართველოს ბანკი" იყოს მყარი, საიმედო თანამედროვე საბანკო დაწესებულება, რომელიც მუდმივად ცდილობს დანერგოს სიახლეები, აამაღლოს კლიენტთა და თანამშრომელთა კმაყოფილების დონე და შეინარჩუნოს წამყვანი ბანკის პოზიციები - შენარჩუნებული იქნება და განვითარდება.

2003 წელს ბანკის აქტივები გაიზარდა 32,9%-ით, წმინდა სესხები - 48%-ით, ვალდებულებები - 38,3%-ით, დეპოზიტები - 25,1%-ით, კაპიტალი კი - 17,4%-ით.

უცხოელ პარტნიორებთან წარმატებული თანამშრომლობის შედეგად შესაძლებელი გახდა საკრედიტო პორტფელის კიდევ უფრო დახვეწა და გაფართოება. ივნისში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასა (IFC) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) ახალი საკრედიტო ხაზების გამოყოფასთან დაკავშირებით გაფორმებულმა ხელშეკრულებებმა შესაძლებელი გახადა მცირე და საშუალო ბიზნესის, ასევე იპოთეკური დაკრედიტების მხრივ არსებული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება.

მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს გერმანიის ექსპორტის ხელშემწყობ AKA ბანკთან ხელშეკრულების ხელმოწერა. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში გერმანული ბანკის მიერ თანხების გამოყოფა მოხდება საქართველოში გერმანიიდან ძირითადი საშუალებების იმპორტის დასაფინანსებლად. საკრედიტო ხაზი შეადგენს 5 მილიონ ევროს.

უკვე გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები აშშ-ს "ექსიმბანკთან" პარტნიორობის ჩამოყალიბების კუთხით. 2004 წელს მოლაპარაკება უფრო ინტენსიურად გაგრძელდება, რაც შექმნის წინაპირობას იმისათვის, რომ "საქართველოს ბანკსა" და ამერიკულ "ექსიმბანკს" შორის გრძელვადიანი თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდეს.

2003 წელი "საქართველოს ბანკისათვის" ერთნაირად წარმატებული აღმოჩნდა როგორც იურიდიული პირების, ისე ფიზიკური პირების დაკრედიტების მხრივ. საანგარიშო პერიოდში კვლავ გაგრძელდა ფიზიკური პირების დაფინანსების წილის ზრდა, რაც აღნიშნულ სეგმენტზე არსებულის დახვეწითა და ახალი პროდუქტების დანერგვით გახდა შესაძლებელი. გარდა სხვადასხვა სახის სამომხმარებლო კრედიტებისა, რომლებსაც ბანკი ფიზიკურ პირებს სთავაზობს, წარმატებით მიმდინარეობს იპოთეკური და მიკროდაკრედიტების პროგრამების რეალიზაციაც. განვლილ პერიოდში დაინერგა ახალი სამომხმარებლო დაკრედიტების პროგრამა, დაიხვეწა მიკროდაკრედიტების პირობები, შემუშავდა კომერციულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთის დადგენის ახალი, უფრო მოქნილი სისტემა.

გაიზარდა "საქართველოს ბანკის" აქტივობა მოკლე და გრძელვადიანი დაკრედიტების მიხედვითაც. დარგების მიხედვით გაცემულ სესხებში ლიდერობენ ვაჭრობა, მრეწველობა, ამაღლდა კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის სფეროს დაკრედიტების ნაწილიც. აქტიური მუშაობა მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის დარგების დაკრედიტების პროგრამის განვითარებისთვისაც, რასაც ადრე თითქმის არ ექცეოდა ყურადღება. საანგარიშო პერიოდში 51%-იანი ზრდის შედეგად საკრედიტო პორტფელი 153,896 ათას ლარს გაუტოლდა. მოიმატა მსესხებელთა რაოდენობამაც და ეს მაჩვენებელი 80 ათასს გაუტოლდა.

"საქართველოს ბანკის" დახვეწილი საკრედიტო პოლიტიკის შედეგად 2003 წელს თბილისსა და რეგიონებში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ დავით ტატიშვილის ულტრასონოგრაფიის ცენტრი, რომელიც ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტით აშენდა და უახლესი აპარატურით აღიჭურვა, რითაც შესაძლებელი გახდა სხვადასხვა დაავადების ეფექტიანი მკურნალობა.

განვითარდა და დაიხვეწა ფაქტობრივად ყველა საბანკო პროდუქტი. ამასთან, ტექნოლოგიური სიახლეების შემოსვლასთან ერთად დაინერგა არაერთი სრულიად ახალი მომსახურება, რომელიც "საქართველოს ბანკმა" პირველად შესთავაზა მომხმარებლებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ელექტრონული მომსახურების განვითარებისთვის გაწეული სამუშაოები. 2003 წელს შეიქმნა სისტემა, რომლის მეშვეობითაც პირველად ქართული ბანკების ისტორიაში "საქართველოს ბანკის" კლიენტებს საშუალება მიეცათ აკონტროლონ საკუთარი ანგარიშები ელექტრონულ ფორმატში - როგორც ინტერნეტით, ისე მობილური ტელეფონების მეშვეობით. ამასთან, აქტიური ღონისძიებები გატარდა ახალი ტიპის პლასტიკური ბარათების დანერგვის კუთხითაც, რამაც ხელი შეუწყო ამ პროდუქტის პოპულარობის ზრდასა და მომხმარებელთა კმაყოფილების დონის ამაღლებას. ტექნოლოგიური განვითარება და თანამედროვე საბანკო პროდუქტების კლიენტებისათვის შეთავაზება მომავალ წელსაც სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დარჩება.

ფიზიკური პირების მომსახურებასთან ერთად განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდა კორპორატიული კლიენტურის მომსახურებაც. განვლილი წელი ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან "საქართველოს ბანკმა" უშუალოდ დაიწყო ისეთი დიდი რეგიონალური მნიშვნელობის პროექტების მოსმახურება, როგორებიცაა "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენი და კომპანია BP-ის სხვა პროექტები. უმაღლესი ხარისხის სერვისის შეთავაზებით ბანკმა კიდევ უფრო განიმტკიცა ავტორიტეტი მრავალ უცხოურ წამყვან კომპანიას შორის, რომლებმაც უკვე გამოთქვეს "საქართველოს ბანკთან" თანამშრომლობის სურვილი.

2003 წლის მანძილზე გაფართოვდა მოსახლეობის მომსახურების ქსელიც. დღეს ქვეყანაში მოქმედ საფინანსო ინსტიტუტებს შორის "საქართველოს ბანკს" ფილიალებისა და სერვის - ცენტრების ერთ-ერთი უმსხვილესი ქსელი აქვს (50-ზე მეტი), რომელთა მართვის პრინციპებიც სრულად შეესაბამება დასავლეთის ბანკების მოდელს. 2003 წელს "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენის კომპანიის მომსახურებისთვის ნავთობსადენის მარშრუტის გასწვრივ სპეციალურად შეიქმნა 7 მომსახურების ცენტრი, რომლებიც 2004 წელს ფილიალების სტატუსს შეიძენენ, რაც კიდევ უფრო გაზრდის "საქართველოს ბანკის" მომსახურების ქსელს. ფილიალების ქსელის გაფართოება ბანკის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული გეგმის ფარგლებში მიმდინარეობს, რაც ასევე ითვალისწინებს ელექტრონული საბანკო მომსახურების სრულყოფას როგორც სათავო ოფისში, ისე "საქართველოს ბანკის" ყველა ფილიალსა და მომსახურების ცენტრში. ყველა არსებული და ახლად გახსნილი ფილიალი შესაბამისი რაიონის მოსახლეობისთვის ადვილად ხელმისაწვდომ ადგილებზეა განთავსებული, აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული სისტემით და დაკომპლექტებულია ახალგაზრდა, მაღალკვალიფიციური კადრებით.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საკადრო პოლიტიკის განვითარების მხრივაც. დღეისათვის "საქართველოს ბანკის" თანამშრომელთა 70 პროცენტს ახალგაზრდა, პროფესიონალი კადრები შეადგენენ, რომლებსაც ახლებური, თანამედროვე ხედვით მიჰყავთ საქმიანობა. 2003 წლის მანძილზე ბანკში აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა საკადრო რესურსების ოპტიმიზაციისა და თანამშრომელთა მოტივაციის ახალი სისტემის დასანერგად. ამ მიზნით მაღალ დონეზე იქნა ორგანიზებული ბანკის თანამშრომელთა ატესტაციები, რომლის შედეგებმაც ნათლად აჩვენა სისტემაში დასაქმებულთა მაღალი კვალიფიკაცია. ტესტირების ორგანიზებამ შესაძლებელი გახადა თანამშრომელთა რანგირების მოდელის შექმნა, რაც თვისებრივად ახალი სისტემაა საკადრო რესურსების მართვის საქმეში. შედეგად, თანამშრომელთა შესაძლებლობების შეფასების ახალმა მოდელმა ბანკის მენეჯმენტს საშუალება მისცა პერსონალისათვის გაეზარდა ხელფასები.

ბანკის სოლიდური, რეალური იმიჯის შესაქმნელად მეტად შედეგიანი აღმოჩნდა თანამედროვე მოთხოვნილებებზე აგებული რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ფორმირება. მისი აქტიურობისა და მენეჯმენტის მხარდაჭერის შედეგად 2003 წელს ბანკმა განახორციელა მრავალი პროექტი, რომელთაც დიდი რეზონანსი მოჰყვა საზოგადოებაში. ამ მხრივ საკმარისია აღინიშნოს თუნდაც "პენ მარათონი 2003" - ლიტერატურული კონკურსი, რომელიც "საქართველოს ბანკის" პატრონაჟით თითქმის თვენახევარი გრძელდებოდა და რომლის დახურვის საზეიმო ცერემონიალიც "საქართველოს ბანკის" განახლებულ ისტორიულ დარბაზში გაიმართა. გარდა ამისა, მთელი წლის მანძილზე ბანკის ეგიდით განხორციელდა არაერთი საქველმოქმედო თუ საიმიჯო აქცია, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს განვითარების საქმეში.

წელს დასრულდა "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისის შენობის აღდგენა-გამაგრების ხანგრძლივი სამუშაოებიც. ეს ისტორიული ნაგებობა 2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრამ ფაქტობრივად დანგრევის პირას მიიყვანა. ბანკის ხელმძღვანელობის ინტენსიურმა მცდელობამ გადაერჩინათ შენობა, რომელიც არა მარტო ბანკის, არამედ თავისი ისტორიული მნიშვნელობით საზოგადოების საკუთრებასაც წარმოადგენს, შედეგი გამოიღო და დღეს ეს ისტორიული ნაგებობა აღდგენილი და ფეხზე მყარად მდგომი აგრძელებს არსებობას.

მიღწეულის პარალელურად ყოველწლიურად იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტში "საქართველოს ბანკის" მიერ შეტანილი თანხების რაოდენობა. 2003 წელს ამ თანხამ 7 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც კომერციული ბანკების მიერ ბიუჯეტში გადარიცხულ თანხებთან შედარებით ერთ-ერთი დიდი მაჩვენებელია.

ახალ 2004 წელს, რომელიც "საქართველოს ბანკისათვის" საიუბილეოა, მუშაობის ძირითადი მიმართულებები კვლავ იქნება დინამიური ზრდა, რეგიონალური პოლიტიკის განვითარებისა და საქმიანობის ხარისხობრივი სრულყოფის ხარჯზე თანამედროვე ტექნოლოგიებზე დამყარებული საბანკო პროდუქტების განვითარება და საიმედო პარტნიორის იმიჯის შენარჩუნება ქვეყნის, აქციონერებისა და თანამშრომლების წინაშე.

**მამუკა კახნიაშვილი**
"საქართველოს ბანკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი

## დაკავებულ სპეცრაზმელთა საქმეს გენერალური პროკურატურა სწავლობს

უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის - "ალფას" ყოფილი მეთაურის კოტე შავიშვილის ახლობლები უკანონოდ მიიჩნევენ ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ბრალდებულთათვის [illegible] პატიმრობის შეფარდების შესახებ. გუშინ საოლქო სასამართლოში დაკავებულთა ადვოკატმა საჩივარი შეიტანა და, გარდა ვაკე-საბურთალოს სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა, ადვოკატი დაკავებულთა გათავისუფლებას ითხოვს.

[illegible]

... ის გაწევა ედება ბრალად..

დაკავებულები დაცვის კერძო სააგენტო "GGK"-ის წევრები არიან და პანტიკო თორდიას დაცვას ახორციელებდნენ. დაკავების მომენტში მათ სახლში მიაცილეს თორდიას ქალიშვილი.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "სამხედრო მოქმედებების, ნარკოვაჭრობის, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის შესახებ მასალების შეგროვებისას 83 ჟურნალისტი მოკლეს," — ნათქვამია ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ კომუნიკეში. ორგანიზაციის მონაცემებით, მხოლოდ ერაყში ომის დროს დაიღუპა 18 რეპორტიორი და ოპერატორი. შვიდი ჟურნალისტი მოკლეს კოლუმბიაში, სამი — ფილიპინებზე. ბრიუსელში მდებარე ფედერაცია, რომელიც მსოფლიოს 100 ქვეყნის ჟურნალისტურ ორგანიზაციას აერთიანებს, მოუწოდებს კოლეგებს, გააძლიერონ ზემოქმედება ხელისუფლებაზე, რათა შესწავლილი იქნეს ჟურნალისტთა დაღუპვის მიზეზები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსთავის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლის დირექტორის ირინა იმერლიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ქვემო ქართლის სამხარეო პროკურორის მამუკა ცაავას განცხადებით, საქმე 333-ე, "სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების" მუხლით აღიძრა. იმერლიშვილს ბრალი ედება არასრულწლოვანთა ცემაში. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით დაკითხულია 17 ბავშვი. ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურა ბავშვთა სახლში საფინანსო-სამეურნეო რევიზიასაც ჩაატარებს. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდება 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. იმერლიშვილის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხზე სასამართლო უახლოეს დღეებში იმსჯელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** „თბილწყალკანალმა" ნაძალადევის რაიონის ორი ქუჩის საკომუნიკაციო ქსელის სრული მონტაჟი დაიწყო. ქალაქის მერმა ვანო ზოდელავამ, რომელმაც გუშინ ზაქარიაძისა და ახტალის ქუჩები მოინახულა, აღნიშნა, რომ, მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, მსოფლიო ბანკისა და თბილისის მერიის თანადაფინანსებით, ნაძალადევის რაიონის რამდენიმე ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები ერთდროულად დაიწყო. „წყალკანალის" გენერალური დირექტორის იუზა ცარციძის ინფორმაციით, ორივე ქუჩაზე, დაახლოებით, ათკილომეტრიან მონაკვეთზე მთლიანად გამოიცვალა კომუნიკაციები. სამუშაოები კი გაისად პირველი კვარტლის ბოლოს დასრულდება. აღნიშნულ სამუშაოებზე, დაახლოებით, 3.5 მილიონი ლარი დაიხარჯება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შარშან გამოცხადებულ კონკურსში „ბიბლიოთეკა - №1 კაბინეტი", რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბიბლიოთეკების დაუსწრებელ დათვალიერება-კონკურსს ითვალისწინებდა, საქართველოს მხოლოდ 70 სკოლა მონაწილეობდა. როგორც ამ განყოფილების ხელმძღვანელმა დავით ჯალაღანიამ განაცხადა, კონკურსის მიზანი იყო სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ბიბლიოთეკების როლის გამოვლენა. ყველაზე მეტი ინფორმაცია სასკოლო ბიბლიოთეკების შესახებ წყალტუბოს რაიონიდან (24) მივიდა. პირველი ადგილი დაიმსახურა: ფოთის №5 საშუალო სკოლის, მეორე – ბაღდათის რაიონის სოფელ დიმის №1 საშუალო სკოლისა და თბილისის 149-ე სკოლის ბიბლიოთეკებმა. მესამე ადგილი რუსთავის მე-17 სკოლის ბიბლიოთეკას ერგო. ქების სიგელებით დაჯილდოვდა 14 სკოლა (მათ შორის, წყალტუბოდან სამი სკოლა). **მედია-ნიუსი**

# აკაკი ჩხაიძის გარემოცვიდან კიდევ ორი პიროვნება დააპატიმრეს

*რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის აკაკი ჩხაიძის წინააღმდეგ რამდენიმე თვის წინ შეკრული სამართლებრივი ჯაჭვი თანდათან ვიწროვდება. გენერალური პროკურატურის და თბილისის პროკურატურების შემდეგ ჩხაიძის სავარაუდო ბრალეულობაზე მინიშნებები საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურაშიც გაკეთდა, თუმცა საბოლოო დასკვნისათვის, ისევე როგორც სხვა პროკურატურები, სატრანსპორტო პოლიციის საგამოძიებო ნაწილიც, სადაც ახალი საქმე აღიძრა, რკინიგზის დაპარტამენტის ყოფილი უფროსის დაკითხვას ელოდება. ჩხაიძეს ამჯერად წლების განმავლობაში "ყბადაღებული" ვაგონების ჯართის სახით გაყიდვაზე მოუწევს პასუხის გაცემა.*

თამარ კაციტაძე

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ტრანსპორტის ახალი პროკურორი დევი გოგუა სწორედ 1146 სატვირთო ვაგონის ინვენტარიდან უკანონოდ ამოღების, ჯართის სახით დაჭრის და რეალიზაციის ფაქტზე საუბრობდა. სისხლის სამართლის საქმე სატრანსპორტო პოლიციის საგამოძიებო ნაწილშია აღძრული.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პრობლემაზე საქართველოში დიდი ხანია სხვადასხვა ტრიბუნიდან განცხადებებს აკეთებენ და, ჩვენი ინფორმაციით, ამასთან დაკავშირებით სამართალდამცავ ორგანოებში გარკვეული მასალებიც არსებობდა, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მხოლოდ მიმდინარე წლის 5 დეკემბერს მოხერხდა. საქმის აღძვრიდან ორიოდე კვირაში კი შესაძლებელი გახდა დამნაშავეების გამოვლენა და დაკავება. 22 დეკემბერს სატრანსპორტო პოლიციამ რკინიგზის დეპარტამენტის სავაგონო-სამეურნეო სამსახურის უფროსი ავთანდილ თომაძე და მისი მოადგილე თამაზ გრიგალაშვილი სხვისი ქონების განადგურება-გაფლანგვისა და სამსახურებრივი სიყალბის ბრალდებით დააპატიმრა.

პროკურორი დევი გოგუას განცხადებით, წინასწარ გამოძიებას საკმარისი მასალები და მტკიცებულებები გააჩნია იმის სათქმელად, რომ ათასზე მეტი სატვირთო ვაგონი ინვენტარიდან უკანონოდ იქნა ამორიცხული, რის შემდეგაც ისინი დაიჭრა და ჯართის სახით თურქეთის ტერიტორიაზე კაპიკებად გაიყიდა. ყოველ შემთხვევაში დოკუმენტებში ასეა ნაჩვენები.

**"იმ დროს, როდესაც ტონა ჯართის ფასი ბაზარზე 130 დოლარზე მეტი ღირდა, დეპარტამენტიდან ამოღებული დოკუმენტების თანახმად, რკინიგზის დეპარტამენტმა იგი 30 დოლარად გაყიდა. გამოძიება მუშაობას ამ კუთხითაც აგრძელებს და უახლოეს მომავალში იმასაც დავადგენთ, სად წავიდა ჯართის გაყიდვით რეალურად მიღებული თანხა",** - ამბობს გოგუა.

რკინიგზის დეპარტამენტი რომ აშკარად იყო დაინტერესებული ვაგონების გაყიდვით, ისიც მეტყველებს, რომ ამისათვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა აშკარა კანონდარღვევებსაც არ ერიდებოდა და უამრავი დოკუმენტი გააყალბეს კიდეც. იმისათვის, რომ ვაგონების საექსპლუატაციო ვადა გასულად ჩაითვალოს, ისინი 30-32 წლის წინ უნდა იყოს გამოშვებული. გამოძიების მასალების თამახმად კი, სადავო ვაგონები, ძირითადად, 10-12, მაქსიმუმ კი 19 წლის იყო. ამიტომ, გოგუას მტკიცებით, დეპარტამენტში მოხდა მათი ტექნიკური პასპორტების გაყალბება. დღეს სატრანსპორტო პოლიციას, ვაგონების გაყალბებულ პასპორტებთან ერთად, რეალური პასპორტებიც გააჩნია.

**"რკინიგზის დეპარტამენტი იმდენად იყო დაინტერესებული ვაგონების დაძველებით, რომ ამისათვის მოსკოვში ჩავიდნენ და ცვლილებები შეიტანეს კომპიუტერის საერთო ქსელში, სადაც ყველა ვაგონის გამოშვების თარიღია დაფიქსირებული. ამასთან, ზოგიერთებს დიდი სურვილი ჰქონდათ, დეპარტამენტიდან საჭირო დოკუმენტები გაექროთ, რისი საშუალებაც არ მივეცით და გამოძიებამ შეძლო რეალური პასპორტების მოპოვება",** – განაცხადა დევი გოგუამ.



ტრანსპორტის ახალი პროკურორი აკაკი ჩხაიძის დაკითხვას ელის.

როგორც გამოძიებით ირკვევა, ჯართის ბიზნესი რკინიგზის დეპარტამენტს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ კარგად ჰქონდა ორგანიზებული. ისინი დაჭრილ ვაგონებს სოლიდურ ფირმებზე ყიდდნენ, რომლებსაც ჯართი თურქეთში გაჰქონდათ. მართალია, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, პროკურორი ამ ეტაპზე აღნიშნული ფირმების სახელებს არ აკონკრეტებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ მათ უკან ცნობილი ადამიანები დგანან, რომლებიც ცოტა ხანში დაიკითხებიან.

ერთი სიტყვით, გამოძიება გრძელდება და როგორც დევი გოგუა ირწმუნება, უახლოეს მომავალში, ჯართად ქცეულ ვაგონების რაოდენობასთან ერთად, დაკავებულ დამნაშავეთა რაოდენობაც გაიზრდება. პროკურორი არ გამორიცხავს, რომ შესაძლებელია მათ რიცხვში იყოს რკინიგზის ყოფილი შეფიც, რომელიც გამოძიებამ დასაკითხად რამდენჯერმე უკვე დაიბარა.

**"ჩხაიძე ურეკიდან გამოგზავნილი ვიდეოფირებით რომ გვესაუბრება, ურჩევია, თბილისში ჩამოვიდეს და გამოძიების მიერ დასმულ კითხვებს გასცეს პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულნი ვიქნებით იძულების წესით წარმოვადგინოთ".** – ამბობს ტრანსპორტის პროკურორი.

სათქმელი კი ჩხაიძეს გამოძიებისთვის აშკარად ბევრი უნდა ჰქონდეს, რადგან, როგორც გამოძიება ირწმუნება, მარტო აღნიშნული საქმიდან სახელმწიფომ ოთხ მილიონ დოლარზე მეტი იზარალა; არადა, გავრცელებული ინფორმაციით, რკინიგზის დეპარტამენტში კაკო ჩხაიძის დაუკითხავად მეისრის დანიშვნაც არ ხდებოდა.

# შიდა ქართლის გუბერნატორი ფართომასშტაბიან ანტიკრიმინალურ ოპერაციებს აგრძელებს

პირველი გვერდიდან

და სწორედ ამიტომაც მისი ინიციატივით გუშინ, გასაიდუმლოებულ ვითარებაში ჩატარებული სპეცოპერაციის "ანკესს" სამი მოქმედი და ერთი ყოფილი პოლიციელი "წამოეგო". რეგიონში ირაკლი ოქრუაშვილის თხოვნის საფუძველზე ჩავიდნენ უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლები. რწმუნებულის რისხვა ამჯერად ხაშურთან მდებარე არალეგალურ ბორდელებს დაატყდა.

არალეგალურ ბორდელში მხარის გუბერნატორის სტუმრობას სერიოზული სკანდალი მოჰყვა. გამთენიისას, ხაშურის სასტუმროში, რომელიც არაოფიციალურად საროსკოპოს ფუნქციას ასრულებს, მოულოდნელად შესულ გუბერნატორს, რომელსაც თან სპეცრაზმი ახლდა, წინააღმდეგობა გაუწიეს ბორდელში "სტუმრად მყოფმა" შეიარაღებულმა პოლიციელებმა.

განიარაღების შემდეგ ხაშურის პოლიციის სამივე თანამშრომელი, რომლებიც ღამის პატრულირებაზე უნდა ყოფილიყვნენ, შიდა ქართლის უშიშროების სამინისტროს რეგიონალურ სამმართველოში გადაიყვანეს. ოპერაციის შემდეგ შიდა ქართლში ჩავიდა შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსი დავით ჯინჯოლავა. **"ადგილზე გავეცანი სიტუაციას, მაგრამ მანამდე, სანამ მოკვლევა არ დასრულდება, კონკრეტულად რაიმეს თქმა არ შემიძლია, თუმცა ერთი რამ უნდა ითქვას: იმ დაწესებულებაში ფორმიანი, შეიარაღებული პოლიციელის ყოფნა დაუშვებლად მიმაჩნია, რადგან, წესით, ის უნდა ებრძოდეს ამგვარ დანაშაულს; ბოლოს და ბოლოს, ეს მუნდირის ღირსების შელახვაა,"** – აცხადებს დავით ჯინჯოლავა, რომელიც ხაშურელ პოლიციელებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას შს მინისტრთან შეხვედრის შემდეგ მიიღებს.

სასტუმრო-საროსკიპოს, სადაც გუშინ ოპერაცია ჩატარდა, ძირითადად, თურქი მძღოლები სტუმრობენ, თუმცა იგი შიდა ქართლში მოქმედი ნარკომაფიის თავშეყრის ადგილიცაა. გავრცელებული ინფორმაციით, ირაკლი ოქრუაშვილმა სპეცოპერაცია სწორედ ნარკომოვაჭრეთა ასაყვანად დაგეგმა. მართალია, ნარკობარონებს სასტუმროში ვერ ჩაავლეს, მაგრამ მათი დაჭერა მაინც მოხერხდა. სპეცოპერაციის მეორე ნაწილი სოფელ ტყვიავში ჩატარდა, სადაც დააკავეს პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი, "უხალისოს" მეტსახელით ცნობილი ელგუჯა ჩოხელი. მისი საცხოვრებელი სახლიდან ამოღებულია დიდი რაოდენობით ავტომატის ვაზნები, ოქროულობა და ასევე დიდი რაოდენობით მანქანის სანომრე ნიშნები. ელგუჯა ჩოხელი ამჟამად შიდა ქართლის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება. შიდა ქართლის გუბერნატორის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, სოფელ ტყვიავში დაკავებული პიროვნება ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოქმედ კრიმინალურ დაჯგუფებებსა და კონტრაბანდისტებთან ალიანსში იმხილებოდა.

უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმმა მორიგი ოპერაცია გუშინ, გვიან ღამით ჩაატარა. გორის ცენტრში დააკავეს ე.წ. "ერგნეთის საძმოს" ერთ-ერთი აქტიური წევრი დავით ბერიძე, მეტსახელად - "ლაწა". დაკავებისას ბერიძეს დიდი რაოდენობით ფული, რამდენიმე ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო ტყვიები აღმოაჩნდა. ოპერაციის დაწყებამდე შიდა ქართლის გუბერნატორმა თბილისიდან გამოძახებულ ძალოვნებს მნიშვნელოვანი მითითებები მისცა და მათგან ერგნეთის ბაზრობის ტერიტორიაზე მოქმედი ბანდის წევრების დაკავება მოითხოვა. ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, ადგილობრივ პოლიციას სწორედ ეს ბანდა – "ერგნეთის საძმო" აკონტროლებს, ამიტომაც მან კორუმპირებული ჩინოვნიკებისა და ერგნეთის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედი დაჯგუფების განიარაღებისთვის რეგიონში დამატებითი ძალები შეიყვანა.

**"ადგილობრივი პოლიციელები ცდილობენ, დამანახონ, რომ თითქოსდა ნარკობიზნესის წინააღმდეგ იბრძვიან, სხვათა შორის - ყაყაჩოს თესლიც კი დაწვეს, მაგრამ ეს კურიოზია, რადგან ჰეროინისა და ოპიუმის მსხვილი გამყიდველები რეგიონში დღესაც თავისუფლად დასეირნობენ და საქმიანობას აგრძელებენ. ჩვენ ვსწავლობთ, ჰქონდათ თუ არა დაკავებულ ჩოხელსა და ბერიძეს კავშირი ნარკობიზნესთან, თუმცა ერგნეთის ბაზრობას რომ აკონტროლებდნენ, ფაქტია,"** – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა და საგანგებოდ ჩატარებულ თათბირზე სამართალდამცველებს ყოფილი გუბერნატორის დავით ქობლიანიძის კუთვნილი საკოლმეურნეო ბაზრის გაკონტროლება მოსთხოვა. ხოლო სამხედრო კომისარიატს ერთდღიანი ვადა მისცა გორელი ჩინოვნიკების შვილებისა და მათ გარემოცვაში მყოფი დეზერტირების ჯარში გაწვევისთვის.

უშიშროების სამინისტროს სპეცრაზმი შიდა ქართლს კიდევ რამდენიმე დღე არ დატოვებს. უშიშროების მინისტრის მოადგილე ირაკლი კოტეტიშვილი, რომელიც შიდა ქართლის ანტიკრიმინალურ ოპერაციებს ხელმძღვანელობს, აცხადებს, რომ უახლოესი დღეების განმავლობაში კიდევ რამდენიმე სპეცოპერაციაა დაგეგმილი რეგიონში, თუმცა იგი არ აკონკრეტებს გეგმას, რომლის საფუძველზეც ოპერატიული ღონისძიებები განხორციელდება.

# კორუფციულ გარიგებებში მონაწილე მოსამართლეები პასუხს აგებენ

*უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლადო ჭანტურიას გადაწყვეტილებით, ამიერიდან სასამართლოების თავმჯდომარეები ყოველთვიურ პატაკს ჩააბარებენ იუსტიციის საბჭოსა და მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულ კომიტეტს. ამ გადაწყვეტილების მიზეზი გახდა მოსამართლეთა საქმიანობის შესწავლისას აღმოჩენილი დარღვევები. ამ დარღვევებს ორი დღის წინ რვა მოსამართლის მანტიაც შეეწირა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

საქმე ისაა, რომ მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტისა და საკოორდინაციო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე გამოქვეყნდა საერთო სასამართლოების დეპარტამენტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ აღმოჩენილი კონკრეტული დარღვევები. ჯგუფმა დაახლოებით სამასამდე სამოქალაქო საქმე შეისწავლა.

სამოქალაქო საქმეთა განხილვისას კანონმდებლობით დადგენილ საპროცესო ვადებთან დაკავშირებული წესები და სასამართლოებში შესულ საქმეთა არასწორად განაწილება – ეს ის ძირითადი დარღვევებია, რომლებიც მოსამართლეებს აღმოუჩინეს.

**"საქმეების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მეტად შემაშფოთებელი მდგომარეობაა საპროცესო ვადების დაცვის თვალსაზრისით. ძალიან ბევრი საქმე განხილულია ვადების დარღვევით, არ არის დაცული სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესიო ნორმები, ხშირია საქმეთა უსაფუძვლოდ შეჩერების, გადადების შემთხვევები. პრაქტიკულად, სასამართლოების მიერ მხარეთა არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო არ ხდება დაუსწრებელი გადაწყვეტილებების მიღება",** - აცხადებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. სამოსამართლო სისტემაში არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად ლადო ჭანტურია დახმარებას იმ მოქალაქეებს სთხოვს, რომელთაც მართლმსაჯულებასთან აქვთ კავშირი. **"მოგვმართეთ ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში! არც ერთი თქვენი წინადადება, არც ერთი საჩივარი, მოკვლევისა და რეაგირების გარეშე არ დარჩება",** - პირობას იძლევა იგი და ამ სიტყვების დამადასტურებლად ორი დღის წინ რვა მოსამართლის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის ფაქტი მოჰყავს. ჭანტურიას განმარტებით, რვავე მოსამართლის საქმიანობის შესწავლა სწორედ მოქალაქეების მიერ მათ მიმართ გამოთქმული პრეტენზიების საფუძველზე განხორციელდა და რეაგირების გარეშე არ დარჩა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არ მალავს, რომ ქართულ სამართალწარმოებაში მართლაც ბევრი პრობლემაა; ხშირად მარტივად გადასაწყვეტი დავები მარტივადვე არ წყდება და მართლმსაჯულებას მუდმივად ჰყავს მომჩივანი მოქალაქეები.

**"მოსამართლეების მიერ საქმეების გაჭიანურება, ძირითადად, უპასუხისმგებლობის გამო ხდება, არ გამოირიცხება კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობის შემთხვევებიც. გარდა ამისა, ხშირად სამოქალაქო საქმეთა გაჭიანურება მოსამართლის მხრიდან საქმეთა არასათანადო მომზადებას უკავშირდება",** - აცხადებს ლადო ჭანტურია და მოსამართლეთა პასუხისგებაში მიცემასაც არ გამორიცხავს.



ლადო ჭანტურია არ მალავს, რომ ქართულ სამართალწარმოებაში მართლაც ბევრი პრობლემაა.

**"ძალიან ძნელია კორუმპირებული მოსამართლის გამოვლენა და მისი დაკავება. კორუფციული სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში, მოქალაქეების გარდა, სამართალდამცველი სტრუქტურების წარმომადგენლებიც უნდა დაგვეხმარონ",** - ასეთი პოზიცია აქვს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. მისივე განცხადებით, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მოსამართლეთა მიერ განხორციელებული კანონდარღვევების გამო დაკავებული თანამდებობებიდან 16 მოსამართლე გათავისუფლდა.

ცნობისათვის, იუსტიციის საბჭოში და დეპარტამენტში სპეციალური სატელეფონო ნომრები იმუშავებს, რომელთა მეშვეობით მოქალაქეებს მოსამართლეთა მიერ ნებისმიერი კანონდარღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შეეძლებათ. "24 საათი" გათავაზობთ ამ ნომრებს: 92 09 37; 899 41 60 78; 95 14 23.

# ორ დღეში ჭიჭიაშვილს გაძლიერებული ბადრაგით თბილისში ჩამოიყვანენ

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, სამართალდამცველების მიერ წლების განმავლობაში ძებნილ ქისტ კრიმინალს მევლუდ ჭიჭიაშვილს, რომლის სახელსაც პანკისის ხეობაში მომხდარი ყველა გახმაურებული გატაცება უკავშირდება და რომელიც ექვსი თვის წინ, მოსკოვში დააკავეს, თბილისში ორ დღეში ჩამოიყვანენ.

26 დეკემბერს, დილით, უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია სპეცრეისით მოსკოვში გაფრინდება და ამავე სპეცრეისით (გაძლიერებული ბადრაგით) მევლუდ ჭიჭიაშვილს ჩამოიყვანს.

შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ ორდღიანი ვიზიტით მოსკოვში მყოფმა ვალერი ხაბურძანიამ რუს კოლეგასთან, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელთან ნიკოლაი პატრუშევთან ჭიჭიაშვილის საქართველოში ექსტრადირების შეთანხმებას მიაღწია. აქამდე დარჩენილი იყო მხოლოდ ექსტრადიციასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები და ფორმალური მხარე, რომელთა მოსაგვარებლადაც უშიშროების მინისტრმა მოსკოვში საკუთარი მოადგილე ირაკლი კოტეტიშვილი დატოვა.

ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, ცნობილი კრიმინალის რუსეთის ციხიდან ქართულ ციხეში გადმოყვანასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა უკვე მოგვარებულია. მევლუდ ჭიჭიაშვილი ახალ წელს თბილისის ორთაჭალის იზოლატორში შეხვდება.

ქვეყნის უშიშროების ხელმძღვანელის განცხადებით, ჭიჭიაშვილის საქართველოში გადმოყვანის შემდეგ მაქსიმალურად დაიცავენ ბრალდებულის პირად უსაფრთხოებას, რათა არ მოხდეს მისი ლიკვიდაცია; გაძლიერებული იქნება საპყრობილის დაცვა, რათა ჭიჭიაშვილმა ვერ შეძლოს ციხიდან გაქცევა.

*24 საათი*

# "სადახლოს" დირექტორის წინააღმდეგ კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

*იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარების ბრალდებით დაპატიმრებულ თამაზ სუპატაშვილს სამართალდამცველებმა კიდევ ერთი ბრალდება წაუყენეს. განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების სახელმწიფოსთვის დამალვა – ეს ის ბრალდება გახლავთ, რომელიც წინასწარ სამთვიან პატიმრობაში მყოფ "სადახლოს" ბაზრობის დირექტორს დაემატა. თამაზ სუპატაშვილის წინააღმდეგ აღძრული ორივე სისხლის სამართლის საქმე, სავარაუდოდ, ერთ საქმედ გაერთიანდება.*

**"გამოძიების მიერ შპს "საზღვრისპირა სავაჭრო ცენტრში" ჩატარებული შემოწმების მასალებით დგინდება, რომ აღნიშნული ობიექტის ხელმძღვანელი თამაზ სუპატაშვილი და მთავარი ბუღალტერი ნანა სულაბერიძე ყალბი დოკუმენტების შედგენის გზით უმალავდნენ სახელმწიფო ბიუჯეტს დიდი ოდენობით გადასახადებს",** - აცხადებს შს სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი აკაკი ჩხენკელი. მისივე განმარტებით, "სადახლოში" ჩატარებული შემოწმებისას გაირკვა, რომ 2001 წლის პირველი დეკემბრიდან 2003 წლის პირველ დეკემბრამდე სუპატაშვილი და სულაბერიძე საგადასახადო ორგანოებში გადაგზავნილ დოკუმენტებში ყალბი მანაცემების შეტანის გზით უმალავდნენ სახელმწიფოს დიდი რაოდენობით გადასახადს. მათ მიერ ბიუჯეტისთვის დამალულმა თანხამ 834 886 ლარს მიაღწია და მიყენებულმა ზარალმა საურავებით, მთლიანად 2 მილიონ 118 764 ლარი შეადგინა.

**"სუპატაშვილის მიერ მარნეულის საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილ ანგარიშფაქტურებში ბაზრის მუშაობის დღეები შემცირებული იყო და აღნიშნული თანხის დამალვაც სწორედ ამის ხარჯზე მოხერხდა",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ქვემო ქართლის ახლად დანიშნულმა პროკურორმა მამუკა ცაავამ.

შპს "სადახლოს" მთავარი ბუღალტერი ნანა სულაბერიძე, ჯერჯერობით, არ დაუკავებიათ.

რაც შეეხება თამაზ სუპატაშვილს, იგი კვლავ საავადმყოფოშია. ჩვენი ინფორმაციით, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო წინასწარი პატიმრობიდან მისი გათავისუფლების საკითხი სასამართლოში, შესაძლოა, კიდევ ერთხელ დადგეს. **"მზადდება ექიმ-ექსპერტის დასკვნა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, რომლის მიღებისთანავე გადავწყვეტ სასამართლოსთვის მიმართვის საკითხს",** - აცხადებს თამაზ სუპატაშვილის ადვოკატი ალეკო ალადაშვილი. ადვოკატისვე მტკიცებით, გამოძიებას სუპატაშვილისთვის წაყენებული ბრალდებების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ გააჩნია.

*24 საათი*

# აფხაზური მხარე ქართველ პარტიზანებს ტერორიზმში ადანაშაულებს

*ქართული და აფხაზური მხარეების შეთანხმების თანახმად, ჭუბურხინჯის ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა ხუთშაბათის ნაცვლად გუშინ გაიმართა. შეხვედრაზე იმსჯელეს კვირას მომხდარი მორიგი კრიმინალური შემთხვევის შესახებ. საუბარია გალის რაიონის სოფელ გაგიდის ქართველი გამგებლის აბელ გოგუას გატაცებასა და მკვლელობაზე.*

აფხაზური მხარის განცხადებით, გოგუა მოკლა გალის რაიონში მოქმედმა ქართულმა კრიმინალურმა დაჯგუფებამ, რომლის დისლოკაციის ადგილიც და ბაზაც ზუგდიდის ტერიტორიაზეა. მათივე ინფორმაციით, დამნაშავეებმა მკვლელობის შემდეგ თავი ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიას შეაფარეს.

აფხაზური მხარის წარმომადგენელთა მტკიცებით, აბელ გოგუამ რამდენჯერმე მიმართა სამართალდამცველებს იმის გამო, რომ მას ემუქრებოდნენ.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორის მოადგილის მებრძოლი ჭკადუას თქმით, ერთობლივი ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფი უკვე იყო გასული შემთხვევის ადგილზე. **"ისინი შეხვდნენ თვითმხილველებს და იმყოფებოდნენ აბელ გოგუას სახლში, საიდანაც მისი გატაცება მოხდა, თუმცა რაიმე კონკრეტული შედეგი ერთობლივ გასვლას არ მოჰყოლია. უნდა ითქვას, რომ ის ადგილი, საიდანაც აბელ გოგუა გაიტაცეს, საკმაოდ მიუდგომელია და მიუწვდომელია, როგორც აფხაზი, ისე ქართველი სამართალდამცველებისა და გაერო-ს წარმომადგენლებისთვის,"** – აცხადებს მებრძოლი ჭკადუა. ქართველი სამართალდამცველები მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით ორ ვერსიაზე მუშაობენ. ერთ-ერთი ვერსიით - მკვლელობა უკავშირდება მის სამსახურებრივ საქმიანობას, მეორე ვერსიით კი - თხილისა და ციტრუსის ბიზნესს.

მეორე საკითხი, რომელიც ქართულმა მხარემ დააყენა, ქართველი და აფხაზი სამართალდამცველების ერთობლივ, კოორდინირებულ საქმიანობას შეეხებოდა. მებრძოლი ჭკადუას განცხადებით, გუშინდელ შეხვედრაზე დასახელდა ქართველი და აფხაზი სამართალდამცველების პირველი შეხვედრის ზუსტი თარიღი და ადგილი. კოორდინირებული მოქმედების გეგმა ითვალისწინებს გალის რაიონში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული კრიმინოგენული მდგომარეობის ქართველი და აფხაზი სამართალდამცველების მიერ ერთობლივ კონტროლს.

აფხაზ სამართალდამცავთა ინფორმაციით, 12 დეკემბერს გატაცებული სოხუმელი თამაზ გოგოხია ქართული პარტიზანული დაჯგუფების წევრებმა ტყვეობიდან გაათავისუფლეს.

სოხუმის ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრის აბესალომ ბეიას განცხადებით, აფხაზი სამართალდამცველები ადგენენ იმ პირთა ვინაობას, რომლებაც 25 წლის თამაზ გოგოხია ტყვარჩელის რაიონიდან გაიტაცეს. აბესალომ ბეია აცხადებს, რომ გოგოხიას გამტაცებელთა ვინაობის დადგენა გამოძიებას იმ მოსაზრებითაც აინტერესებს, რომ გამტაცებლებმა ადგილზე მოკლეს ნანავას მეგობარი ბიზნესმენი, ხოლო თამაზ ნანავა იმის გამო გაათავისუფლეს, რომ იგი ეროვნებით ქართველი იყო. ბეია უკმაყოფილებას გამოთქვამს, გალის რაიონში ქართული პარტიზანული დაჯგუფებების გააქტიურების გამო და ქართველ სამართალდამცველებს დივერსიული ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებისაკენ მოუწოდებს.

სოხუმის ხელისუფლების უშიშროების სამსახურის უფროსი გივი აგრბა ოჩამჩირელი ბიზნესმენის მკვლელობაში და მისი მეგობრების - თამაზ გოგოხიასა და თამაზ ნანავას გატაცებაში ქართული პარტიზანული მოძრაობა "ტყის ძმების" მებრძოლებს ადანაშაულებს. მისი ინფორმაციით, 12 დეკემბერს ჭუბურხინჯში მომხდარი მკვლელობა გალის რაიონში კრიმინალებს შორის სფეროთა გადანაწილებას უკავშირდება. მათივე მტკიცებით, მოკლული გალის რაიონში ციტრუსების შესყიდვას აწარმოებდა და მკვლელობის შემდეგ ყაჩაღებმა მისი მანქანიდან 85 ათასი რუსული რუბლი გაიტაცეს.

**"გატაცებულთა ადგილსამყოფელის დადგენაზე ინტენსიურად ვმუშაობთ, მაგრამ ჩვენთვის, ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი. ვმუშაობთ ყველა ვერსიაზე, მათ შორის - ციტრუსების ბიზნესთან დაკავშირებულზეც, თუმცა ჯერ არანაირი მასალა არ მოგვეპოვება. საიდან ფლობს აფხაზური მხარე ამ ინფორმაციებს, ვერ გეტყვით,"** – ჩვენთან საუბრისას განაცხადა აფხაზეთის უშიშროების მინისტრმა ლევან კიკნაძემ.

*24 საათი*

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## გაუფრთხილდით რევოლუციას!

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, აფხაზეთის ქართული სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის დარბაზის პრესცენტრის ხელმძღვანელი, დოცენტი დავით დოლბაძე "ვარდების რევოლუციის" თავგამოდებული დამცველია და სწორედ ამ მიზნით გვთხოვა, გამოგვექვეყნებინა მისი ერთი დეპეშა, რომლის შინაარსი, ავტორის აზრით, დღესაც ძალიან აქტუალურია.*



ზვიად გამსახურდიას სახელზე 1991 წელს ქ. სოხუმიდან გამოგზავნილი დეპეშის წარსულიდან გამოხმობა, რევოლუციით მოწვეულ ხელისუფალთა შესასმენად გადავწყვიტე. დეპეშა არსებული წესების სრული დაცვით დამოწმებულია აფხაზეთის ფოსტის მიერ 1991 წლის 23 დეკემბერს. მისი ერთი ასლი 1999 წელს გადავეცი ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას.

აი ისიც:

"ბატონო პრეზიდენტო!

პუტჩისტები დამხობილ კომუნისტურ მაფიასა და კრიმინალურ ელემენტებთან ალიანსში ძალდატანების გზით ცდილობენ, ქართველი ხალხის მიერ კანონიერი გზით არჩეული პარლამენტისა და პრეზიდენტის დამხობას.

ასეთ კრიტიკულ მომენტში მოძალადეების მიმართ ლიბერალიზმსა და ლოიალობას პრეზიდენტსა და პარლამენტს ქართველი ხალხი არ გაპატიებთ – მან თავისი მომავალი თქვენ ჩაგაბარათ და თქვენ ვალდებული ხართ და საამისო უფლებით აღჭურვილიც, კანონიერი მთავრობის ძალდატანებით დამხობის ცდა ძალის გამოყენებით აღკვეთოთ."

დეპეშის შინაარსი მიგვანიშნებს, რომ "ვარდების რევოლუციის" მონაპოვარს, არსებული რეალობიდან გამომდინარე, ძლიერი დაცვა სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ულმობლად მოაშთობს კონტრრევოლუცია. ასეთი საშიშროება "ვარდების რევილუციას" აშკარად ემუქრება. ყური დაუგდეთ, რა გააფთრებული ღმუილი ისმის რევოლუციის მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ახლო საზღვარგარეთიდან. თუ ხელები ჩამოუშვით, თქვენს ხელისუფლებას იგივე ბედი მოელის, რაც დაემართა საქართველოს პირველ პრეზიდენტსა და მის პარლამენტს. თქვენი ხელისუფლების მტრების ხელშია მილიარდები, მილიონები და ახლო საზღვარგარეთის სრული მხარდაჭერაც. გაუფრთხილდით რევოლუციას!!!

## ახალ ხელისუფალთა განცხადებებს აფხაზები სერიოზულად შეუშფოთებია

ზაზა ფარჯაშვილი

*"თქვენმა აფხაზეთმა" წინა ნომერში შემოგთავაზათ დიალოგი ქართულ-აფხაზური შეხვედრების ყველაზე ცნობილ ორგანიზატორთან, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორთან პოლა გარბთან, რომელიც აღნიშნული ინტერვიუს შემდეგ სოხუმში გაემგზავრა. ამჟამად იგი სოხუმში მიღებულ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს.*

**- როგორ არიან სოხუმში?**

- სოხუმში შეშფოთებულები არიან. შეხვედრები მქონდა ყველა სამშვიდობო პროექტის ხელმძღვანელთან და ყველგან დიალოგის მთავარი თემა თბილისში განვითარებული მოვლენები იყო. "ვარდების რევოლუციასთან" დაკავშირებით სოხუმში ნამდვილად არ არიან ოპტიმისტურად განწყობილნი. აქცენტი კეთდება ბურჯანაძისა და სააკაშვილის ორ მოკლე განცხადებაზე, რომლებსაც სოხუმში აფხაზეთის ომით დაბრუნების მოწოდებად აღიქვამენ და ყველა შეხვედრაზე იმეორებენ.

აფხაზები ასე მსჯელობენ: თუ ეს არასერიოზული განცხადებებია და მხოლოდ წინასაარჩევნო რიტორიკაა (ანუ საარჩევნოდ ქულების მიღების საშუალებაა), მაშინ ქართულ საზოგადოებაში არაფერი შეცვლილა და კვლავ ყოფილა აფხაზეთის ომით დაბრუნების განწყობა.

ამ შეშფოთებას ვერც ის ფაქტი



თორნიკე ბერიშვილი, პაატა ზაქარეიშვილი და პოლა გარბი "24 საათის" რედაქციაში.

შველის, რომ უცხოური ორგანიზაციების მიერ გაკეთდა სოციოლოგიური გამოკითხვა, რომლის თანახმად საქართველოს მოსახლეობის 80% აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრეა.

აფხაზთა შეშფოთების მეორე მომენტი სააკაშვილის აშშ-ზე ორიენტაციაა. მათი აზრით, აშშ კონფლიქტებს ძალისმიერი მეთოდებით აგვარებს. იგულისხმება ერაყი. ასეთია დღევანდელი განწყობილება აფხაზეთში.

ახლა მივფრინავ მოსკოვში, სადაც მოვაწყობთ შეხვედრას ქართველებსა და აფხაზებს შორის, რომელსაც მოსკოველი პოლიტიკოსებიც დაესწრებიან. ასეთი რამ პირველად მოხდება და, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანიცაა, ვინაიდან ჩვენ განვიხილავთ რუსეთის როლს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში.

**- თქვენი, ამერიკელი მოქალაქის აზრით, რამდენად გამართლებულია აფხაზთა შეშფოთება სააკაშვილის ამერიკული ორიენტაციით?**

- მე, როგორც ამერიკელ მოქალაქეს, მჯერა იმის, რომ ჩემი ქვეყნის პოლიტიკა ამ რეგიონში ომს არ ითვალისწინებს და ამას ხმამაღლა ვაცხადებ კიდეც; მაგრამ როცა წარმოვიდგენ თავს აფხაზების ადგილზე, სავსებით მესმის მათი შეშფოთების. სოხუმში ყოფნის დროს მსოფლიოს სხვანაირად იგრძნობა.

**- იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში არჩევნები მშვიდობიანად ჩაივლის და აღარც შემაშფოთებელი განცხადებები გაკეთდება, აფხაზები მზად იქნებიან ქართველ დევნილთა დაბრუნების პროცესისათვის?**

- ჩემი აზრით, სამშვიდობო მოლაპარაკებების ოფიციალური პროცესი გაგრძელდება და იმის იმედიც გაჩნდება, რომ ნელნელა საქმე რეალურ გადაწყვეტილებამდეც მივა. ამასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, სხვა არაფრის თქმა შემიძლია.

**ოფიციალური კომენტარი:** ამასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის პრესმდივანს გიორგი არველაძეს, რომელმაც გვითხრა:

**"საქართველოს ახალი ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არ გაუკეთებია ომისკენ მოწოდება. პირიქით, ჩვენ მზად ვართ, გამოვიყენოთ აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების ყველა რესურსი და მთლიანად ამოვწუროთ ეს შესაძლებლობა."**

## დავით პაკელიანის ღია წერილის პასუხად

თავს უფლებას მივცემ, დავით პაკელიანს შენობით მივმართო, რადგან ის, ძალიან პატარა, სოხუმში ჩემს მეზობლად იზრდებოდა ერთ კარგ ქართულ ოჯახში. მე გულწრფელი სურვილი მაქვს, დათო ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბდეს, თუმცა მისი ხელმოწერით გამოქვეყნებულმა ღია წერილმა თამაზ ნადარეიშვილისადმი ოდნავ სკეპტიკურად განმაწყო, რადგან, ერთი მხრივ სამწუხაროდ, მეორე მხრივ საბედნიეროდ, მისი მოსაზრებები თავიდან ბოლომდე სიყალბეზე აგებული აღმოჩნდა. სიყალბეს კი სიკეთე არავისთვის და არანაირი საქმისთვის არ მოუტანია. თუმცა, მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ დათო შეგნებულად ცრუობს. როგორც ჩანს, მას ასე მიაწოდეს და დათომაც ალბათ დაიჯერა. როგორც იტყვიან, დაღვინდება და სიმართლეს თავად გაიგებს. თუმცა მის წერილში არის ერთი შეგნებული უზუსტობაც: დათოს განმარტებით, თითქოს ჩემსა და მას შორის შედგა დაუგეგმავი საუბარი და მე ვცდილობდი მის გადარწმუნებას. სინამდვილეში იყო შემთხვევითი, რამდენიმეწამიანი სატელეფონო გამოცნაურება, როცა ტელეფონში მისი ხმა შევიცანი. ამას კი აზრთა სერიოზული ურთიერთგაცვლა ნამდვილად არ შეიძლება ეწოდოს, მით უმეტეს, არც მიცდია. ისე კი გამიკვირდა დათოს მცდელობა - ბედი ამჯერად პოლიტიკაში ეცადა, მაშინ, როდესაც ჩემი ინფორმაციით, არც ისე დიდი ხნის წინ მან საკმაო ნიჭი და ფხა გამოიჩინა ჰუმანიტარული ორგანიზაცია "ჰელიოსის" შექმნაში, რომელიც ჰუმანიტარული ტვირთებით იყო დაინტერესებული.

ვინაიდან აღნიშნულ ღია წერილში აბსოლუტურად ყველა ბრალდება მოგონილია, პასუხის გაცემა არასერიოზულიც კი მეჩვენა, მაგრამ რადგანაც ბოლო დროს ამან ტენდენციური ხასიათი მიიღო, სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიცრუეში მათივე უკეთური სახე, ქმედება და ზნე-ჩვეულება იკითხება, ანუ საკუთარი თვალსაწიერიდან ზომავენ სხვასაც. თუკი ვინმეს მიაჩნია, რომ აფხაზეთის პრობლემის უკეთ მოგვარების მიზნით თამაზ ნადარეიშვილის გადადგომაა საჭირო, ამ მოსაზრების განსამტკიცებლად მყარი და მართალი არგუმენტები უნდა მოეპოვებოდეს. თუ არადა, პრიმიტიული იგავების შეთხზვას სჯობს, ერთმანეთს გვერდით დავუდგეთ და ის აქტივებიც არ გავუშვათ ხელიდან, რისი მოპოვებაც თამაზ ნადარეიშვილმა თავისი ურყევი და რადიკალური პოზიციით შეძლო მთელი ამ წლების განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და თანამეგობრობის მხრიდან, როგორც დევნილი ლეგიტიმური ხელისუფლებისა და მოსახლეობის ლიდერმა.

ხოლო სხვადასხვა გზით იმდაგვარი ჭორების გავრცელების მცდელობამ, თითქოს ომის დროს ნადარეიშვილი გაგრის სასახლიდან ანტიკვარიატის ტრანსპორტირებით იყო დაკავებული, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. აფხაზეთიდან მის ოჯახს მხოლოდ საგვარეულო ალბომი შემორჩა. ისიც გაგრის დაცემის შემდეგ ნათესავმა აფხაზებმა გადაურჩინეს დაწვას და მოგვიანებით ბატონ თამაზის დედას გამოუგზავნეს.

ასეთივე უსუსური სიცრუეა იმის მტკიცება, რომ აფხაზეთის ომის დროს ნადარეიშვილი თბილისში დასახლდა. ყველამ კარგად იცის, რომ 1993 წლის 18 ივლისს თბილისში, საავადმყოფოში ორი-სამი დღით ჩამოსულმა ნადარეიშვილმა, დაკავებული თანამდებობიდან მისი გათავისუფლების შესახებ იქვე შეიტყო, ისე, რომ ამის თაობაზე მისი წინასწარ საქმის კურსში ჩაყენება არც მის გამთავისუფლებელს და არც ვინმე სხვას უცდია. ეს ის დროა, როცა 27 ივლისისთვის ქართველთა განიარაღების შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერა იგეგმება, რასაც ნადარეიშვილი, როგორც აფხაზეთის თავდაცვის საბჭოთა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მთელი თავისი შესაძლებლობებით ეწინააღმდეგებოდა. ასეთი პოზიციის მაღალი თანამდებობის პირი კი იმ დროის სოხუმში აშკარად ზედმეტი იყო და ავადმყოფობის საბაბით ის ტექნიკურად მოაშორეს კიდეც იქაურობას. ეს იცის ყველამ, ვისაც სურს სიმართლეს თვალი გაუსწოროს. რაც შეეხება ნადარეიშვილის კაბინეტში შევარდნაძის პორტრეტის ბურჯანაძის სურათით ჩანაცვლებას, ესეც მტკნარი სიცრუეა. ჯერ ერთი, ნადარეიშვილის კაბინეტში შევარდნაძის გადიდებული პორტრეტი ცალკე არასოდეს ეკიდა. მსოფლიოში ცნობილ პოლიტიკოსებთან ნადარეიშვილის შეხვედრის ამსახველ ფოტოებს შორის თავისი ადგილი ეკავა შევარდნაძესთან ერთად ომის დროს სოხუმში გადაღებულ ფოტოს, ისევე, როგორც ბურჯანაძესთან ერთად გადაღებულ სურათს. ამ უკანასკნელმა ნადარეიშვილის კაბინეტში, გაზეთ "რეზონანსის" პირველ გვერდზე მისი გამოქვეყნების დღიდან, დიდი ხნის წინ დაიდო ადგილი. უბრალოდ, პარლამენტის სხდომაზე გადაღებული ბურჯანაძე-ნადარეიშვილის ფოტო, გასაგები მიზეზის გამო, ახლა გახდა ოპერატორთა მსხვილი პლანით გადაღების საგანი. ესეც იცის ყველამ, ვინც ნადარეიშვილის კაბინეტში ვარდების რევოლუციამდეა ნამყოფი. იმის მტკიცება, რომ თითქოს "აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ სააკაშვილის ხუთჯვრიანი დროშა ახლა დაიდგა კაბინეტში", მორიგი აბსურდია, რადგან ამ დროშას, როგორც საბრძოლოს, 2002 წლის 14 მაისიდან მიეჩინა ადგილი ბატონი თამაზის სამუშაო კაბინეტში. სწორედ ამ დღეს გამართულ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს გაფართოებულ სესიაზე ამ დროშის ქვეშ, ღვთის მსახურებთან ერთად, დაიდო გახმაურებული ფიცი აფხაზეთის დასაბრუნებლად. ესეც ცნობილი ამბავია და ამის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა უმაღლესი საბჭოს აპარატში ინახება. კიდევ ერთი, მართლაც გასაკვირი ტყუილი: თამაზ ნადარეიშვილი თითქოს დეზერტირებს უწოდებს ნაომარ ხალხს. მავანის მიზანი თუ ყველა ამქვეყნიური ცოდვის მის სახელთან დაკავშირებაა, ამ უკანასკნელისაგან მაინც უნდა შეეკავებინა თავი, რადგან ყველამ კარგად უწყის, თუ ვინმე პატივს სცემს მეომარ კაცს, ერთ-ერთი პირველი სწორედ თამაზ ნადარეიშვილია.

მოკლედ, წვრილმან სიცრუეთა ისეთი "ბუკეტით", სიმართლე რომ არსაიდან ჩანს, ვარდების რევოლუციის მოლოდინი ნურავის ექნება. ბევრს რატომღაც მოუნდა ნადარეიშვილი შევარდნაძის ტყუპისცალად წარმოეჩინა, მაგრამ სურვილი ერთია, რეალობა მეორე. ისიც ყველამ იცის, რომ შევარდნაძე და ნადარეიშვილი განსხვავებული პრინციპების, ზნე-ჩვეულებების და ბუნების ადამიანები არიან. შევარდნაძე ფიქრობს ერთს, ამბობს მეორეს, აკეთებს მესამეს, ან სულაც მრავალმნიშვნელოვნად დუმს. ნადარეიშვილი კი არასოდეს დუმს და ახმოვანებს იმას, რასაც ფიქრობს, რისიც სჯერა. რაც შეეხება აფხაზეთთან მათ დამოკიდებულებას, შევარდნაძე საკმაოდ უმტკივნეულოდ შეელია მას. ნადარეიშვილი კი მიიჩნევს, რომ მისი ცხოვრების ერთადერთი მიზანი აფხაზეთის დაბრუნებაა, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდეს.

და მაინც, არასერიოზული ბრალდებები ნაკლებად ყურადსაღებია, სერიოზული საზოგადოების უკმაყოფილების მიზეზი კი აფხაზეთის პრობლემის მოგვარების უსასრულოდ გაჭიანურებაა. ამიტომაც გაუმართლებელი ამბიციების დასაკმაყოფილებლად ენერგიის უსარგებლოდ ხარჯვას სჯობს ერთ მუშტად შევიკრათ, ურთიერთსასარგებლო კონსტრუქციული დიალოგებისათვის მზადყოფნა გამოვაცხადოთ და ქვეყნისათვის, აფხაზეთიდან დევნილთათვის პერსპექტიული საქმე უანგაროდ ვაკეთოთ.

*დალი ჯონჯუა*
*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პრესსამსახურის უფროსი*

### ორი სიტყვით

#### ბარციცის მეცადინეობა

"საქართველოში 4 იანვარს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დროა, შევუდგეთ აფხაზეთის ტერიტორიაზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას," - განაცხადა 22 დეკემბერს "აფხაზეთის რკინიგზის" უფროსის მოადგილემ მერტიხ ბარციცმა. "სოხუმში მიაჩნიათ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა გამორიცხულია რუსეთის რკინიგზის საჯარისო ნაწილების მონაწილეობის გარეშე," - თქვა მან. მისივე ინფორმაციით, აფხაზეთის მხარემ უკვე გააგზავნა სათანადო მიმართვა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და რუსეთის რკინიგზის ხელმძღვანელობასთან. ბარციცმა აღნიშნა, რომ მარტის თვეში, სოჭში, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინისა და საქართველოს უკვე ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრის შემდეგ რუსეთის რკინიგზის წარმომადგენლები იყვნენ აფხაზეთში და წინასწარ გაეცნენ სიტუაციას. სოხუმში ირწმუნებიან, რომ 1992-1993 წლებში კონფლიქტის შედეგად დაზიანებული აფხაზეთის რკინიგზის 190 კილომეტრიანი მონაკვეთის აღდგენას 90 მილიონი დოლარი დასჭირდება. **ინტერ-ფაქსი**

#### საგანგებო შეხვედრა

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შექმნილი დაძაბული კრიმინოგენული ვითარების გამო, დღეს გალში ქართველი და აფხაზი სამართალდამცავების საგანგებო შეხვედრა გაიმართება. მასში გალის, ზუგდიდის, წალენჯიხისა და ტყვარჩელის რაიონების პოლიციის განყოფილებებისა და პროკურატურების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. შეხვედრაზე ვითარების გაუმჯობესების მიზნით ერთობლივი მოქმედებების გეგმას შეიმუშავებენ. **ინტერ-პრესი**

#### სეპარატისტული რეკორდი

უკვე ექსპლუატაციაში შევიდა რუსეთისა და აფხაზეთის დამაკავშირებელი ხიდი, რომელიც 232 მეტრია და მდინარე ფსოუზე გადის. როგორც კრასნოდარის მხარის ადმინისტრაციის პრესსამსახურში აცხადებენ, მსოფლიო პრაქტიკაში ერთ-ერთი რეკორდული პრეცედენტია ასეთი ხიდის ასეთ მოკლე დროში, 7 თვეში მშენებლობა. 11 დეკემბერს ამ ხიდის გახსნაზე საზეიმო ლენტი გაჭრეს კრასნოდარის მხარის გუბერნატორმა ალექსანდრ ტკაჩოვმა და სეპარატისტთა ვიცე-პრემიერმა, ვალერი არშბამ. „ეს ხიდი ერთმანეთთან აკავშირებს არა მხოლოდ ორ ნაპირს, არამედ ორ მეგობარ ქვეყანას და ხალხებს. რა თქმა უნდა, ეს ხელს შეუწყობს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებასაც“, — განაცხადა გახსნაზე ტკაჩოვმა. **მედია-ნიუსი**

### ანონსი

**რადიო "მწვანე ტალღა"**

**ამიერიდან ყოველ ორშაბათს 11.00-დან 12.00 საათამდე პროექტი "თქვენი აფხაზეთი" რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში წარმოგიდგენთ დიალოგს, პირდაპირ ჩართვებს, კითხვა-პასუხს.**

***FM 107,4***

### ცხოვრებისეული ისტორიები

*ეს არის აუდიოჩამწერებთან მარტოდ დარჩენილი ადამიანების ისტორიები, მათი წარსული თუ დღევანდელობა, რაც რადიოეთერით 2002 წლიდან გადაიცემა. ეს რადიოპროექტი ხორციელდება ინგლისური საერთაშორისო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მიერ, რომელიც დიდი ხანია მუშაობს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე.*
*დღეიდან ამ ამბებს ჩვენი გაზეთის მკითხველიც გაეცნობა. ისტორიები მოგვაწოდა ინგლისურ პროექტში მონაწილე რადიოპროგრამა "პოსტფაქტუმმა".*

## რატომ მოხდა ასე?!

მე, დარეჯან ოკუჯავა, დავიბადე 1925 წელს, ძველ გაგრაში, ქალაქ - ბაღნარში, რომელშიც თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ედემის ბაღში. იქ გაიარა ჩემი ბავშვობის და ახალგაზრდობის ყველაზე ბედნიერმა წლებმა. იქ ადამიანები მეგობრულად და ბედნიერად ცხოვრობდნენ. ერთად ვიყავით ქართველები, აფხაზები, ბერძნები, სომხები...

მალე 78 წლის გავხდები, თორმეტი წელია, არ მინახავს მშობლიური გაგრა... მოსაგონებელი ბევრი მაქვს, მაგრამ ახლა მაგონდება 1941 წლის დიდი სამამულო ომი, როგორც მას, საბჭოთა კავშირის არსებობის დროს ვეძახდით.

ომი ახალი დაწყებული იყო, როდესაც გაგრაში ალდენბურგის სასახლე სამხედრო ჰოსპიტალად გადააკეთეს და პირველი დაჭრილები ჩამოიყვანეს. მაშინ მეცხრე კლასში ვიყავი და კონცერტს ვმართავდით დაჭრილი მეომრებისთვის.

უცებ მოირბინა ჩემთან აფხაზმა ბიჭმა, კოსტია ინალ-იფამ. მას მე ვუყვარდი. მოირბინა, მომიტანა ძალიან ლამაზი თაიგული და მითხრა, რომ მოხალისედ მიდიოდა ფრონტზე, ჩემთან კი გამოსამშვიდობებლად მოვიდა. კოსტიამ გადმომცა თავისი ქისა, რომელშიც იდო მისი ჯაყვა, სავარცხელი და ფოტოსურათი. გადმომცა ეს ყველაფერი და მთხოვა, შემინახე ესენი და თუ ცოცხალი დავბრუნდები, მაშინ დამიბრუნეო. მითხრა და წავიდა...

სამწუხაროდ, ის ველარ დაბრუნდა ცოცხალი...

მაგრამ დაბრუნდა ჩემი ძმა, რომლის შესახებ ხუთი წლის განმავლობაში არაფერი ვიცოდით და უგზო-უკვლოდ დაკარგული გვეგონა. დაბრუნდა და დაქორწინდა აფხაზ ქალიშვილზე, ზინა ბაგაფშზე, რომელიც ახლაც გაგრაში ცხოვრობს. ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ ის აქეთ ვერ ჩამოდის, მე კი გაგრაში ვერ ჩავდივარ.

რატომ მოხდა ასე, არ ვიცი?!

მე დარეკვაც კი არ შემიძლია მასთან, რადგან მითხრეს, ტელეფონები ისმინებაო და არ ღირსო ტელეფონით საუბარი...

ახლა სხვა ომს გავიხსენებ. მე მგონი, ეს ომი უფრო სასტიკი და დაუნდობელი იყო, მორალურად უფრო ძნელი, რადგან ამ ომში ერთმანეთს ესროდა ის ხალხი, ვისაც ცოტა ხნის წინ ერთმანეთი უყვარდა, ვინც ერთმანეთის მეგობარი იყო.

ამ ომის დროს იყო ძალიან ბევრი ტკივილი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველა ტკივილი და იარა შუშდება.

მე იმედი მაქვს, რომ ქართველები დაუბრუნდებიან თავის სამშობლოს და ალბათ, გაგრძელდება ისეთივე ცხოვრება, როგორც ადრე იყო – სიყვარულსა და მეგობრობაში.

*ლელა მარგიანი*

## ჩვენ ვიცავთ ოზონის შრეს!



საინიციატივო პროგრამა კომერციულ/სამეწარმეო და სატრანსპორტო საშუალებების სექტორების სამაცივრო ტექნიკის საბოლოო მომხმარებლებისთვის"– GEO/02/G61 დაიწყო 2002 წლის 1 იანვარს და დასრულდება 2004 წელს. პროგრამა არის საქართველოში ოზონდამშლელი მაცივარაგენტების რეგულირების გეგმის შემადგენელი ნაწილი და გათვალისწინებულია ოზონდამშლელ მაცივარაგენტებზე მომუშავე სამაცივრო დანადგარების მომხმარებელთათვის.

პროექტის მიზანს წარმოადგენს სამრეწველო, სავაჭრო და ტრანსპორტის მაცივრების იმ მფლობელთა ფინანსური მხარდაჭერა, რომლებიც საკუთარი ხარჯებით განახორციელებენ თავიანთი სამაცივრო დანადგარების გადაყვანას ოზონდამშლელიდან ალტერნატიულ ნივთიერებებზე. ასეთ დაწესებულებებს უნაზღაურდებათ გაწეული ხარჯების 50%.

პირველი ორგანიზაცია, რომელმაც სრულად შეასრულა დაგეგმილი სამუშაოები, იყო ქ. ქუთაისში არსებული შპს "ლინკი". აღსანიშნავია, რომ სამუშაოების წარდგენა მოხდა "ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღეს" - ამა წლის 16 სექტემბერს.

ამ დროისათვის ოზონუსაფრთხო მაცივარაგენტებზე გადასვლა შესრულებულია 5 ობიექტზე, მათ შორის სააქციო საზოგადოება "საქაგრობიომრეწვში". ეს ორგანიზაცია ითვლებოდა ოზონდამშლელი ნივთიერებების ყველაზე მსხვილ მომხმარებლად პროგრამის მონაწილეთა შორის. კერძოდ, აქ მომქმედ სამაცივრო დანადგარებში ცირკულირებდა 1500 კილოგრამზე მეტი ოზონდამშლელი ნივთიერება ფრეონ 12. ოზონუსაფრთხო ნივთიერებებზე გადასვლა განხორციელდა ორი გზით: რიგ სამაცივრო დანადგარებში გამოცვლილი იყო მთლიანად კომპრესორ-კონდენსატორული აგრეგატები, ხოლო ერთ დანადგარში შესრულდა ე.წ. "რეტროფიტი", ანუ არსებულ სამაცივრო სისტემაში გარკვეული ცვლილებების შემდეგ ამოღებული ძველი მაცივარაგენტის ნაცვლად, სისტემის გასუფთავების შემდეგ შეშვებული იყო ალტერნატიული მაცივარაგენტი.



შესრულებული სამუშაოების წარდგენა მოხდა 22 დეკემბერს. ამ დღეს ს/ს "საქაგრობიომრეწვს" ეწვივნენ ქ-ნი ნინო ჩხობაძე - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი, ბ-ნი ლანს კლარკი - გაეროს თბილისის ოფისის ხელმძღვანელი, ქ-ნი ნინო ნადირაძე - გაეროს განვითარების პროგრამის გარემოსდაცვითი კოორდინატორი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ატმოსფერული ჰაერის დაცვის მთავარი სამმართველოსა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლები, აგრეთვე სამინისტროსთან არსებული "ოზონის ეროვნული ჯგუფის" წევრები და საქართველოს მემაცივრეთა ასოციაციის წარმომადგენლები. მასპინძლებმა სტუმრებს დაათვალიერებინეს საწარმო და ოზონუსაფრთხო ნივთიერებებზე გადაყვანილი სამაცივრო დანადგარები, ისაუბრეს საწარმოს მუშაობის სპეციფიკაზე და პროდუქციაზე. შეხვედრის დასასრულს გაიმართა დისკუსია, რომელზეც შეჯამდა ს/ს "საქაგრობიომრეწვში" ჩატარებული ღონისძიებების შედეგები. საერთო აზრით სამუშაოები შესრულებული იყო მაღალ დონეზე და განახლებული სამაცივრო დანადგარების ექსპლუატაცია ეკონომიკურად მომგებიანი გახდა საწარმოსათვის. ს/ს "საქაგრობიომრეწვის" დირექტორმა, ბ-ნმა ლადო თვალიაშვილმა მადლობა გადაუხადა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს და გაეროს თბილისის ოფისის ხელმძღვანელს პროგრამის ფარგლებში გაწეული დახმარებისათვის.

**მიხეილ თუშიშვილი**
**სულხან სულაძე**

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# კორუფცია ან უნდა იყოს, ან - არა

*ავტომობილი ბავშვობიდან მისი ცხოვრების წესი და ჰაერივით საჭირო გარემო იყო. მძაფრი შეგრძნებებისა და დიდი სისწრაფის მოყვარული ცნობილი რალისტი, ალბათ, არ ოცნებობდა ავტოინსპექტორთა უფროსობაზე, მაგრამ შალვა ოგბაიძე საგზაო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი მაინც გახდა. მეთოდი კარგია - მისი პროფესიის ადამიანი კარგად იცნობს მძღოლის ფსიქოლოგიას და ეს მის სამსახურს დადებითად წაადგება...*
*ერთი წელი მოიპარა და 17 წლისამ აიღო მართვის მოწმობა. ავტოინსპექტორს პირველად სწორედ ამ ასაკში შეხვდა - სწრაფად მომავალმა გზა აუმტვერა და მართვის მოწმობასთან მაშინ არსებული ტალონი "გაუხვრიტეს"... მაგრამ, ეს არ ყოფილა პირველი იმედგაცრუება. მას სჯეროდა, რომ ისე, როგორც მასწავლებლები არ ჭამდნენ, პოლიციელიელებიც არ იღებდნენ ფულს... აი, ეს იყო პირველი იმედგაცრუება: ინსპექტორმა ოსტატურად ამოაცალა სამი მანეთი... იმედი ცოტათი მეც გამიცრუვდა - ერთ-ერთი პირველი, რაც ჩვენი შეხვედრისას გააკეთა, შალვა ოგბაიძემ მართვის მოწმობის წარდგენა მომთხოვა. ასე დაგემართება, რესპუბლიკის "გაიში" საკუთარი ფეხით რომ მიხვალ...*

მაია ჭალაგანიძე

**- არის თუ არა საავტომობილო გზების დეპარტამენტი სადამსჯელო სტრუქტურა?**

- სახელმწიფოს განმარტებიდან გამომდინარე, ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურა არის მაიძულებელი.

**- მხარის გუბერნატორიც იყავით და კორუფციულ ბიუროკრატიულ აპარატთან გქონდათ შეხება. რა საერთოს პოულობთ ინსპექციასა და სამხარეო ადმინისტრაციას შორის?**

- ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობისას ჩემთვის საინტერესოა ისეთი მოდელის შექმნა, რომელიც ეფექტურს გახდის ამა თუ იმ სახელმწიფო რგოლის მუშაობას.

**- 2 წლის მანძილზე იყავით გუბერნატორი, რა შეძელით?**

- ჯერ ერთი, მანამდე არ არსებობდა რეგიონი, რომელსაც მცხეთა-თიანეთი ერქვა და რომელიც ერთგვაროვანი პრობლემების მქონე 5 რაიონს აერთიანებდა. რთულია პარალელის გავლება ჩემს ამჟამინდელ სამსახურთან. უფრო შთაბეჭდილებებზე საუბარი შემიძლია.

**- ამ სამსახურში რა დაგხვდათ ისეთი, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე? გაეცანით ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციას ამ სტრუქტურაში არსებული კორუფციის სქემის შესახებ?**

- ძალიან საინტერესო პუბლიკაცია იყო. შემიძლია მასშტაბებზე ვიდაო, თორემ ეს ცალსახად რომ ასეა..

**- ანუ, ბრძანებთ, რომ 40 მილიონი ლარი შავი ფული არ კეთდება?**

- ერთხანს სასტუმრო ბიზნესი მქონდა. საგადასახადოს წარმომადგენელი მოვიდა. ფანჯრების რაოდენობა, ნომრების რაოდენობა და საწოლების რაოდენობა გადაამრავლა, მერე ეს ყველაფერი გაამრავლა 30 დღეზე, მერე - 12-ზე და დაითვალა ასე სრული დატვირთვა... ცალკეულ შემთხვევაში, ამ პუბლიკაციაში მსგავსი მიდგომა იყო, მაგრამ რეალობა აღწერილს შეესაბამება. ამ სქემაში კორუფციით დაზიანებული სხვა უბნების დამატებაც შემიძლია.

**- მაგალითად?**

- ეს ბრძანება, დაახლოებით, 4-5 წლის წინ დაიწერა და ასე ჟღერდა: "ეროვნული ვალუტის დოლართან მერყეობის გამო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს დირექტივით შს მინისტრი იძულებული გახდა (საწყალი - შ. ო.), დაეშვა ახალი ბრძანება სატრანსპორტო საშუალებების რეკვიზიტების შეცვლისთვის ახალი ფასების შემოღების შესახებ..." ამ ბრძანებამდე მართვის მოწმობის შეცვლა 18.90 ლარი ღირდა, ბრძანების შემდეგ ფასი 28.05 ლარამდე გაიზარდა, ანუ სახელმწიფომ შსს-ს მეშვეობით, ამ დარგის მონოპოლისტ შპს-ს მომსახურეობის ტარიფი გააძვირა, რითიც შპს-მ თავისი მომსახურების ინდექსაცია მოახდინა ისე, რომ ჩვენთვის, რიგითი მოქალაქეებისთვის არც პურზე, არც ხელფასზე და არც არაფერზე არ მომხდარა ინდექსაცია. ეს ნორმა, სამწუხაროდ, დღესაც მუშაობს.

**- ამ 28 ლარიდან ბიუჯეტში რამდენი შედის?**

- 28 ლარი შპს-ს მიაქვს და სამინისტროში არაფერი შემოდის... მართვის მოწმობა გაქვთ? ნუ გეშინიათ, არ წაგართმევთ... დავხედოთ თქვენი მართვის მოწმობას... საგზაო მოძრაობის შესახებ არსებობს "ჟენევის 1949 და 1968 წლის კონვენციები 1993 წლის შესწორებებით". ამ კონვენციას საქართველოს მხარემაც მოაწერა ხელი, რატიფიცირებულია პარლამენტის მიერ და ძალაშია შესული. ამ დოკუმენტის მიხედვით მართვის ეროვნული მოწმობის სტანდარტები გააჩნია (და ეს, როგორც ხელისმომწერზე, საქართველოზეც ვრცელდება). აღნიშნული უნდა იყოს გამცემი ორგანოს შტამპი და ბეჭედი, რაც არ არის. არც ის არის აღნიშნული, ვინ გასცა მოწმობა. აგრეთვე არ არის აღნიშნული ყველაზე მთავარი - სატრანსპორტო საშუალების კვალიფიკაცია, რომლის მართვის უფლებაც გაქვთ... მოკლედ, ეს მართვის მოწმობა არ არის

**- რაც არის, დამიბრუნეთ, თუ შეიძლება... შეცვლას ხომ არ აპირებთ?**

- ახლავე აღვნიშნავ, რომ არაფერი არ იცვლება.

**- რატომ მოხდა ასე?**

- ისე კითხულობთ, თითქოს აქ არ ცხოვრობდეთ...

**- მე კი ვიცი, სადაც ვცხოვრობ, მაგრამ თქვენგან ველი განმარტებას...**

- ეს იყო ფულის კეთების სააძრო, რომელმაც გასაიდუმლოებული წესით ჩატარებულ ტენდერში გაიმარჯვა. მართვის მოწმობები არის დაბალი ხარისხის პროდუქტი, რომლის თვითღირებულება კაპიკებია და საწყალი შსს იძულებული გახდა, ფასები გაეზარდა... ვინ კითხავს შსს-ს შპს-ს ფასების გაზრდას? რბილად რომ ვთქვათ, ეს მართვის მოწმობა სტანდარტებს არ შეესაბამება. აუცილებელი ატრიბუტიკის არც ერთ პარამეტრს არ აკმაყოფილებს ზომის გარდა - ზომა ემთხვევა.

**- ახლა როგორ გაიცემა?**

- ახლა ისევ შსს ატარებს - ჩვენი საგამოცდო განყოფილება, რაიონული საგამოცდო ოთახების მეშვეობით.

**- როგორც ზემოხსენებულ პუბლიკაციაშია ხსენებული, ყველა კორუფციული ხვრელიდან საგზაო ავტოინსპექცია, თუ გნებავთ - სამინისტრო - 44 მილიონ ლარს იდებდა ჯიბეში, არ ეთანხმებით ამ თანხას?**

- მცირედი ცდომილება არის, მაგრამ ამ რაოდენობას ვეთანხმები.

**- უკვე დაიწყეთ ბრძოლა კორუფციულ ხვრელებთან?**

- რა თქმა უნდა, დავიწყე. თანამდებობაზე წარდგენის დღესვე შევხვდი ტრასის უფროსებს და განვუცხადე, რომ არც ჩემთან, არც რომელიმე ჩემს მეგობართან და არც არავისთან ფული აღარ მოვა. მეორეც ვთქვი - ძვირფასო ტრასის უფროსებო და სამსახურის ხელმძღვანელებო, რადგან ამისგან თავისუფლდებით, ინსპექტორებისაგან გეგმას არ აკრეფთ (რომელიც არსებობდა). იმასაც გეტყვით, რომ სხვადასხვა ტეკზე სხვადასხვა დღიური ხარკი დაახლოებით 50 ლარიდან - 150 ლარამდე განისაზღვრებოდა. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჯადოსნური კვერთხის ერთი დაქნევით ყველაფერს მოვსპობ, მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ თავად საგზაო ინსპექტორმა ამოიღო ხმა და ტრასის უფროსსა თუ ოცმეთაურს უთხრა - მე რომ შენ ფული მოგიტანო, მაძლევ გარანტიას, რომ ოგბაიძე არ მომხსნის? რა თქმა უნდა, ისინი ამ გარანტიას ვერ აძლევენ და...

**- და ინსპექტორებიც თავად ჩაიდებენ ფულს ჯიბეში...**

- არ მომწონს, როცა საუბრობენ - აბა, რა ქნას ინსპექტორმა, ხელფასი არ აქვს და ა.შ. არაფერი არ უნდა აიღოს. თუკი ხელი წაუცდება, ეს მართლა წაცდენა იქნება და არა ის, რომ მას ვიღაც ავალდებულებს ფულის მიტანას - ამის თქმა დაბეჯითებით შემიძლია.

მესმის, რომ 70 წელი ფულს იღებდნენ, მაგრამ შეუძლებელი არაფერია - ძნელი არ იყო იმ არხების გადაკეტვა, რომლითაც სამინისტროში აქედან ფული მიდიოდა. ღვთის მადლით, მინისტრიც არ ითხოვს ფულს. ხომ არსებობს კეთილი ნება?!

**- მენტალობის შეცვლაზე ადვილი კადრების გამოცვლა ხომ არ არის?**

- კანონით, 4 იანვრამდე საკადრო გადაადგილებები აკრძალულია. რა თქმა უნდა, კადრების შეცვლა ჩემი თვითმიზანი არ არის.

დღეს შეხვედრა მაქვს სადაზღვევო კომპანიებთან, სადაც დაზღვევის სფეროს მოდელს განვიხილავთ... საჯარო რეესტრით, 22 სადაზღვევო კომპანია არსებობს, მაგრამ სინამდვილეში ამ ბაზარზე მხოლოდ და მხოლოდ სამი სადაზღვევო კომპანია დგას - "ელბი", "ნაბათი" და ბრიტანულ-ქართული კომპანია... "ალდაგი" გამოდევნილია.

ამ წუთას თქვენ გესაუბრებათ არა საგზაო პოლიციის უფროსი, არამედ - საავტომობილო ფედერაციის გენერალური მდივანი და რადგან ეს მოქალაქეს აწუხებს, მეც მაწუხებს. შარშან, მომსახურების თანხების დაბალი პროცენტით აკუმულირებისთვის, შსს-ში ჩატარდა ტენდერი, რომელშიც "სახალხო ბანკმა" გაიმარჯვა. ამ ბანკს აქვს შპს "ემ-დი-ჯი", რომელიც ამ სამი სადაზღვევო კომპანიის გარდა ლარიან ქვითარს არც ერთს არ აძლევს. სადაზღვევო კომპანიის გახსნას ნახევარი მილიონი ლარი საწესდებო კაპიტალი და კიდევ სხვადასხვა პირობები სჭირდება. სახელმწიფო კი ასეთ კომპანიებს მუშაობის უფლებას არ აძლევს. საქმე მიდგა იმ ლარიან ქვითარზე, რომელსაც ეს ბანკი ბეჭდავს და როგორც ჩანს, ეს არის ცრუმაგიერი შპს. კონკურენცია ჩამკვდარია...

მომავალი წლიდან ასეთმა სქემამ არ უნდა იმუშაოს. ამ ხვრელს ამოვქოლავ და ვინც არ უნდა მოვიდეს ჩემს შემდეგ, ვერაფერს შეცვლის. შსს-ს საფინანსო განყოფილებას ახალი გამგე ჰყავს და მასთან ამ საკითხებზე სასაუბროდ შეხვედრა მაქვს დანიშნული. კონსულტაციებისთვის არასამთავრობოებსაც ვხვდები...

მეორე პრობლემა ტექდათვალიერების სისტემაა. ალბათ, ტექდათვალიერების სადგურებში ნამყოფი ხართ და დაახლოებით ხვდებით, რა თანხები დაუჯდა ეს მეწარმეს. სადგურები ავტომანქანების 7 სახის ინსტრუმენტულ კონტროლს აწარმოებენ. ერთადერთი ოპერაცია არის ეკოდიაგნოსტიკა, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით ერთ ფირმას აქვს ხელში ჩაგდებული, და რომელიც კანონის რანგშია აყვანილი. ეს ხომ ცალსახა კორუფციაა? ახლა ვამზადებ პაკეტს საკანონმდებლო ცვლილებისთის. არანაირი ბერკეტის დატოვება, ამ თემებთან შეხება არ გვინდა.

როდესაც ეკოდიაგნოსტიკის უფლება ყველა სადგურს ექნება და კონკურენცია წარმოიქმნება, ტექდათვალიერების ფასი მაშინვე დაიკლებს. რესპექტაბელურობის ამბიციის მქონე ნებისმიერი სადგური ფასს დაუკლებს, ოღონდ კი მასთან გააკეთოთ ტექდათვალიერება.

**- ხომ არ გიფიქრიათ, რომ აქამდე არსებული ფორმალური ტექდათვალიერების, დაზღვევის სანაცვლოდ (რომელსაც დედამიწის ზურგზე არავინ ატარებდა), ნაკლებად ბიუროკრატიული და გამარტივებული რაიმე პროცედურით შეგეცვალათ?**

- ჩვენ ვსაუბრობთ მეწარმეებისა და სადაზღვევო კომპანიებისთვის მუშაობის გაიოლებაზე, რაც შედეგად მოიტანს მომხმარებლის ნაკლებ წვალებასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. ამის შემდეგ დგება სადიაგნოსტიკო სადგურების პატიოსნების საკითხი. ეს ასე უნდა მოხდეს, თორემ, ვიცი, სიბინძურეში გავეხვევი და არ ვარ განწყობილი, რომ ვიღაცამ ჩემკენ თითი გამოიშვიროს.

აუცილებელია აგრეთვე სახელმწიფო კონტროლის მექანიზმის ჩართვა - გაუმართავი მანქანის ხელმეორე გადამოწმება. გაუმართავი მანქანისთვის ტექდათვალიერების მიცემის გამო ლიცენზიის ჩამორთმევით მეწარმე ზარალდება, ამიტომ ის აღარ გაატარებს ისეთ მანქანას, დიდ სიჩქარეზე დამუხრუჭებისას უკანა მარცხენა თვალი 100 მეტრის მერე რომ დაიჭერს... ასეთ მანქანას ქუჩაში რა უნდა?

**- როგორც ავტომრბოლელს, ალბათ, თქვენც გაინტერესებთ, სად მიდის გზების შესაკეთებლად განკუთვნილი თანხები, რომელიც ტექდათვალიერების თანხებში შედის?**

- როგორც საკრებულოს დეპუტატმა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიის თავმჯდომარემ, შემიძლია გითხრათ, რომ 1998 წლის მერე ქალაქის ბიუჯეტს საგზაო ფონდიდან არაფერი მიუღია. ეს თანხები ცენტრალიზებულად მიდის კონცერნ "საქავტოგზა"-ში. ქალაქს, დაახლოებით, 5,5 მილიონი ლარი ჩამოეჭრა და ამაზე პასუხისმგებლობა მე და თქვენ, ქალაქის გადასახადის გადამხდელებს დაგვეკისრა. ეს იმის გარდა, რასაც მანქანის ტექდათვალიერების დროს ვიხდით.

ამ პრობლემების მოგვარება ერთი უწყების კომპეტენციას სცილდება. შესწავლილი მაქვს წამყვანი საავტომობილო ქვეყნების მართვის მოდელები, რომლის მიხედვითაც მოძრაობის უსაფრთხოება, რომელიც მოიცავს - გზას, გზის ინფრასტრუქტურას, საავტომობილო პარკს, მძღოლისა და ქვეითის ფაქტორს, მოძრაობის ორგანიზაციას, საკანონმდებლო ბაზას, კონტროლის მექანიზმს - ყველაფერი უსაფრთხოების ეროვნულ ბიუროებსა, სააგენტოებსა და ადმინისტრაციების მაკოორდინირებელ რგოლში იყრის თავს.

**- თავიდან ავტოინსპექცია პატრულირებაზე გადავიდა, მაგრამ დღეს ინსპექტორები ჩასაფრებულები არიან და თამასაც გაზარდეს. როგორ აპირებთ ამის გაკონტროლებას?**

- ადრე 2 ლარს იღებდნენ და ჯიბეში იდებდნენ, ახლა კი აფორმებენ...

**- არა, ისევ იღებენ და უკვე არამხოლოდ ორ ლარს.**

- როგორ, ოქმის გარეშე?

**- ისე მეკითხებით, თითქოს აქ არ ცხოვრობდეთ, რა თქმა უნდა, ოქმის გარეშე.**

- ძალიან ცუდია, თუ ეს ასეა...

**- რა თქმა უნდა, ყველა კუთხეში ინსპექტორთან ერთად ვერ დადგებით. ამის საწინააღმდეგო ბერკეტებზე გიფიქრიათ?**

- ახლა იმ საკითხებზე ვმუშაობ, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. პატრულირებას თავიდან კამპანიური ხასიათი ჰქონდა...

**- და ახალი ხელმძღვანელის მოსვლას ეძლვნებოდა.**

- ერთგვარად... სიგნალები მომდის, ვინ, სად და რამდენს იღებს. ნამდვილად არ ვისაუბრებ იმაზე, რომ კორუფციამ იკლო და ა.შ. კორუფცია ან უნდა იყოს, ან - არა.

**- ზედა ეშელონებთან ბრძოლის დაწყებას, ალბათ, ეფექტი ექნება, მაგრამ მოსახლეობის თქვენს სტრუქტურასთან შეხება ქუჩაში მდგარი ინსპექტორით იწყება და მისი ქცევა მძღოლისთვის სტრუქტურაში არსებული კორუფციის იდენტურია...**

- გეთანხმებით. მომავალი წლიდან სტრუქტურულ რეორგანიზაციას ველით... ძალიან არ მიყვარს იმის თქმა, რომ უწყებრივად თბილისი არ მეკუთვნის, მაგრამ მე ვივალებ... სტრუქტურულ რეორგანიზაციაში საზოგადოებრივი დარბაზის შექმნაა გათვალისწინებული. დარბაზი ჩვენამდე რიგითი მოქალაქის სატკივარს მოიტანს. დარბაზის სტატუსი იწევს მაშინ, როდესაც უკვე შემდეგ შეკრებაზე ისმენს ინფორმაციას დასმული პრობლემის გამოსწორების შესახებ.

გარდა ამისა, რეორგანიზაციის შედეგად იქმნება ფარული მონიტორინგის თუ სხვა სახის ინსტიტუტები, რათა საგზაო პოლიციელებს მეტი და მკაცრად მოვთხოვოთ. რადგან საგზაო პოლიციელის პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ, შემიძლია გაჩვენოთ ბოლო კვირის "ნადავლი" - თანამდებობის პირთა მძღოლების და თავად მათ მიერ ჩადენილი დარღვევებისთვის შედგენილი ოქმები. აგრეთვე შემიძლია წარმოგიდგინოთ ჩამორთმეული AAA და UUU ნომრები... მე უბრალო მოქალაქისგან კი არ დავიწყე, არამედ იმათგან, ვის გამოც რიგით მოქალაქეს ებადება განცდა, რომ ის საზოგადოების მეორეხარისხოვანი წევრია.

**- მალე გაიზრდება თუ არა პოლიციელთა ხელფასები, ეცმევათ თუ არა ფორმა, ექნებათ თუ არა საწვავი სამსახურებრივ (და არა საკუთარ) მანქანებში ჩასასხმელად?**

- საგზაო პოლიციელები ერთგვარი შიშით უყურებენ ხვალინდელ დღეს, და არ დაგიმალავთ - მეც. თუ შსს-ს ახალმა შემადგენლობამ მინისტრის მეთაურობით, თქვენმა მონა-მორჩილმა და არჩეულმა პრეზიდენტმა ინსპექტორისთვის მინიმალური ხელფასის დანიშვნა მაინც ვერ მოვახერხეთ - უნდა წავიდეთ. მე, პირადად, ასე მოვიქცევი.

არ დაგიმალავთ, რომ სხვადასხვა ქვეყნის საელჩოები შსს-ს საქმიანობით დაინტერესდნენ და დახმარებისთვის მზადყოფნა გამოთქვეს. ჩვენს სფეროში აგრეთვე პრობლემაა - განათლება, რომლის მეთოდიკაც მთლიანად შესაცვლელი გვაქვს. ჩვენი დასავლელი პარტნიორები მზად არიან მასტერ-კლასების ჩასატარებლად...

**- თემურ ჩხეიძის მასტერ-კლასი გამიგია, რეზო გაბრიაძისაც... ავტოინსპექტორებზე არაფერი მსმენია...**

- დიახ, ასეთიც არსებობს. ჩემთვის საინტერესოა არა მართვის მოწმობა, არამედ - ის, თუ როგორ ფლობს საჭეს ავტოინსპექტორი ექსტრემალურ ვითარებაში... ჩვენი პარტნიორები გვპირდებიან, რომ თეორიული ცოდნისა და მართვის ოსტატობის პირველ ტრენინგს უფასოდ ჩაატარებენ.... დანარჩენ მოვლენებს კი წინ აღარ გავუსწრებ...

**- მოძრაობის უსაფრთხოების პირველ დამრღვევზე - სამარშრუტო ტაქსებზე ვისაუბროთ. თუ მათ რიცხვს ვერ ამცირებთ სხვადასხვა სუბიექტური მიზეზების და გავლენიანი მეპატრონეების გამო, არ შეიძლება, რომ ამ ტრანსპორტს სავალი გზის მარცხენა მხარეს სიარული აუკრძალოთ?**

- თბილისში არსებობს 62 გადამზიდავი ფირმა, რომელთაც ჯამში 3 800-ზე მეტი სამარშრუტო ტაქსი ჰყავთ, ეს - ოფიციალურად. თბილისში კი ყოველდღიურად, 5000-ზე მეტი სამარშრუტო მანქანა მოძრაობს და მათ შორის, რუსთავიდან-მუხიანამდე...

მინდა გითხრათ, რომ ახლოვდება ტენდერი...

***- რიგით რომელი?***

- ეს უკანასკნელია. როდესაც საკრებულოს დეპუტატი გავხდი, ამომრჩეველს დავპირდი, რომ არსებულს არც ერთი სამარშრუტო ტაქსი აღარ დაემატებოდა. ეს პროცესი შევაჩერე და ჩემს ამომრჩეველთან პირნათელი ვარ. 1993-1995 წლებში ქალაქის ვიცემერიც ვიყავი...

**- სწორედ "მარშრუტკების" ბუმის დროს...**

- ...მახსოვს ის პერიოდი, როდესაც ჯიხურების მფლობელებთან ქალაქის მერიამ ადმინისტრაციული მეთოდებით ვერაფერი გააწყო. მაგრამ, დღეს გაჩნდა სუპერმარკეტები და მომხმარებელმაც ეს უკანასკნელი არჩია.

ქალაქის გაძვალტყავებული ბიუჯეტის მიუხედავად, იმას მივაღწიეთ, რომ 25 ახალი საშუალო ტევადობის ავტობუსების შესაძენი თანხა ჩავდეთ და შევიძინეთ კიდეც ავტობუსები. მათ ექნებათ რეგულარული გაჩერებები და დაბალი ფასი. ამავე დროს ერთი ავტობუსი 4-5 მიკროავტობუსს შეცვლის. ეს არის სწორი ნაბიჯებით მავალი, მაგრამ დროში გაწელილი პროცესი. ტრანსპორტის მთელი ნაკადის რუსთაველზე სიარული იმას ჰგავს, ფეხი რომ 45 გქონდეს და 37 ზომა ფეხსაცმელს იცმევდე.

**- ვისი იდეა იყო თქვენი ამ თანამდებობაზე დანიშვნა?**

- ვარაუდით შემიძლია ვთქვა - ალბათ იმიტომ დამნიშნეს, რომ პროფესიით ვარ ავტომობილისტი, ვხელმძღვანელობდი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიას, ვარ მექანიკოსი, ამ სფეროში ბევრი ნაშრომი მაქვს და კანონშემოქმედებაშიც ბევრი შრომა გამიწევია... ალბათ, ამის გამო დავინიშნე...

**- დაიხურა თუ არა თქვენს წინააღმდეგ იარაღის ტარებისთვის აღძრული სისხლის სამართლის საქმე?**

- ალბათ დაიხურა. ოფიციალურ სტრუქტურებში ამით არ დავინტერესებულვარ.

**- როდის ახერხებთ ავტოთი ქროლვას, გცალიათ ამისთვის?**

- როცა სამსახურიდან გავდივარ, დილის 5-6 საათისთვის... მაგრამ ამბობენ, რომ 3-4 საათი ძილი ავტომობილისტებსაც სჭირდებათ... ასე რომ, განსაჯეთ, რას ვახერხებ...

ჩემთვის საინტერესოა ის, თუ როგორ ფლობს საჭეს ავტოინსპექტორი ექსტრემალურ ვითარებაში.

თანამდებობაზე წარდგენის დღესვე შევხვდი ტრასის უფროსებს და განვუცხადე, რომ არც ჩემთან, არც ჩემს რომელიმე მეგობართან და არც არავისთან ფული აღარ მოვა.

ძნელი არ იყო იმ არხების გადაკეტვა, რომლითაც სამინისტროში აქედან ფული მიდიოდა.

კორუფციულ ხვრელებს ამოვქოლავ და ვინც არ უნდა მოვიდეს ჩემს შემდეგ, ვერაფერს შეცვლის.



შალვა ოგბაიძე

# ბავშვობაში დაბრუნება


საშობაო სუვენირები

თეონა ჭაფარიძე

ბავშვი, მეტ-ნაკლებად, ყოველ მხატვარშია ჩასახლებული. ეს შეგრძნება, განსაკუთრებით, შობა-ახალი წლის მოახლოებისას კიდევ უფრო მატულობს. გალერეებიც არ აყოვნებენ და ყოველი წლის ამ დროს საახალწლო ექსპოზიციებს გვთავაზობენ. ამ დროს გაყინული არტ-ბიზნესიც ცოტათი დნება ხოლმე; ძვირად შეფასებულ სურათს თუ ვერ შესწვდებით, შეგიძლიათ, იმავე ავტორის მიერ შესრულებული საშობაო ბარათი მაინც შეიძინოთ. ჩვენი არტ-ბაზარი ხომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სწორედ ამ ფორმით არსებობს.

საშობაო გამოფენების ტალღას გალერეა "კოპალამ" დაასწრო. ექსპოზიციას "საჩუქარი" ჰქვია. "ბავშვობაში დაბრუნება" კი იმიტომ ვახსენე, რომ "კოპალაში" წინასაახალწლოდ მხატვარ სოფო კოპალეიშვილის მიერ შექმნილი ნაძვის ხის სათამაშოები გამოიფინა. კოლექციას ავტორმა სწორედ "ბავშვობაში დაბრუნება" უწოდა და ის მეტად ორიგინალურად - აბრეშუმის, ხავერდის, მძივების, ბეწვეულისა და ბებიის მაქმანებისაგანაა შესრულებული. სოფო პროფესიით მეთოჯინეა და მან ეს ხელობა მოსკოვის თეატრალურ-სამხატვრო სასწავლებელში, ცნობილი პედაგოგის ლენა იაზიკოვის სახელოსნოში შეიძინა. მოსკოვში მან რამდენიმე გამოფენა მოაწყო თავის პედაგოგთან ერთად. დეკორატიული ხელოვნების გარდა, სოფო კოპალეიშვილი ზეთისა და აკვარელის საღებავებითაც ხატავს. სწორედ მისი ერთ-ერთი ფერწერული ტილო შეუძენია 1997 წელს აშშ-ს პრეზიდენტს ბილ კლინტონს მოსკოვში, ქართულ რესტორან "ფიროსმანში" სტუმრობის დროს. ზემოთ კომერციასა და საახალწლო გამოფენა-გაყიდვაზე გესაუბრებოდით, მაგრამ სოფო კოპალეიშვილის კოლექცია არ იყიდება, ის, უბრალოდ, გალერეაში საახალწლო განწყობას ქმნის. არ იყიდება გოგი ალექსი-მესხიშვილის "წელიწადის დრონის" სამი ესკიზიც, რომლებიც ცნობილ სცენოგრაფს მეტროპოლიტენ ოპერისათვის შეუქმნია. სამაგიეროდ, მხატვრობის მოყვარულები აქ დიდი არჩევანის წინაშე აღმოჩნდებიან, როცა გემოვნებით შერჩეულ ნამუშევრებს იხილავენ. ექსპოზიცია, ერთი შეხედვით, გადატვირთული არ არის, მაგრამ გრაფიკის, ფერწერისა და მცირე ქანდაკების საკმაოდ საინტერესო არჩევანია.

# დი-ჯეი ჰაუსის ნავსაყუდელიდან

**მოსკოვის Zeppelin-დან თბილისის "მიუზიკ ჰოლში"**

*ამაღამ "აჭარა მიუზიკ ჰოლის" სტუმარი მოსკოვიდან მოწვეული დი-ჯეი ივან რუდიკი იქნება. რუსეთის ყველაზე პრესტიჟული ღამის კლუბის Zeppelin Club-ის ადგილობრივი დი-ჯეი თბილისელებს ჰაუს-მუსიკის საკუთარ პროგრამას შესთავაზებს.*

ვერა ნეფარიძე

13 დეკემბერს დი-ჯეი სპილერის თბილისში მეორედ სტუმრობას თუ არ ჩავთვლით, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო დროს თბილისის მეგაკლუბს მოწვეული სტუმრები შემოაკლდა. თბილისური საკლუბო ცხოვრების (ჩვენს დედაქალაქში კი ამას "აჭარა მიუზიკ ჰოლი," თითქმის, მარტო განსაზღვრავს) ასეთი პასიურობა, ალბათ, უფრო უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასაც უნდა დავაბრალოთ. მაგრამ, რევოლუცია დამთავრდა და, იმედია, მისი შედეგები სასიკეთოდ წაადგებათ საკლუბო ცხოვრების მოყვარულებსაც. დეკემბრის ბოლომდე დარჩენილ დღეებში დაგეგმილი თითო-ოროლა მუსიკალური საღამო ამის იმედს გვაძლევს.

31-ში ღამით "აჭარა მიუზიკ ჰოლში" საახალწლო განწყობას Supermen Lovers შეგვიქმნის, მანამდე კი კლუბის სტუმარი რუსეთის ერთ-ერთი საუკეთესო დი-ჯეი ივან რუდიკი ესტუმრება. მოგეხსენებათ, რუსეთი დიდი ქვეყანაა, მოსკოვს კი, კარგა ხანია, აწუხებს პრეტენზია, რომ თანამედროვე ევროპული ტიპის ქალაქია, სადაც საკლუბო ინდუსტრიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. რუსეთში და, განსაკუთრებით, მოსკოვში, საკმაოდ ბევრი ღამის კლუბია, მაგრამ Zeppelin Club მათ შორის განსაკუთრებულია. "ცეპელინი" დღეს მოსკოვში ხარისხის ნიშანია", - ამაყად ამბობენ მოსკოველები. Zeppelin Club-მა თავისი არცთუ ხანგრძლივი არსებობის განმავლობაში რუსეთის დედაქალაქის საკლუბო ცხოვრებაში ყველა სასურველ მწვერვალს მიაღწია. კლუბი 1999 წლის ბოლოს გაიხსნა, თუმცა მოსკოველთა, და არა მხოლოდ მათი, ცხოველი ინტერესი კლუბის განახლების შემდეგ, 2003 წლის აპრილში გამოიწვია. ძვირფასი და პრესტიჟული კლუბი დღეს მოსკოვში საკლუბო ცხოვრებას განსაზღვრავს და მუსიკალური მოდის კანონმდებლადაც კი მიიჩნევენ. კლუბში არსებობს ერთადერთი ყველაზე უკომპრომისო შეზღუდვა – არავითარი რეპი, ჰიპ-ჰოპი და რიტმ-ენ-ბლუზი. Zeppelin Club რჩება ჰაუს-მუსიკის ნავსაყუდელად.

Zeppelin Club-ის ასეთი მცირედი დახასიათება ნებას გვაძლევს, გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ ივან რუდიკზე, რომელიც "ცეპელინის" ყველაზე გამოცდილი და ერთგული დი-ჯეია.

ივან რუდიკი ქალაქი ნოვოსიბირსკიდანაა. ადრეული ბავშვობიდან მის საყვარელ სათამაშო საგანს ძველი ფირსაკრავი წარმოადგენდა. მასზე ჯერ ზღაპრებს, შემდეგ კი საბავშვო სიმღერებს უსმენდა, ხუთი წლიდან კი "ბითლზის" ფირფიტას - Come Together. "განუწყვეტლივ ვუსმენდი ამ ფირფიტას და ზუსტად არც ვიცოდი, რა მხიბლავდა. მოგვიანებით, როდესაც ეს ჩანაწერი გავაანალიზე, მივხვდი, რომ ყველაზე მეტად მასში ბას-გიტარა მიზიდავდა. მთელ ჩემს კოლექციაში ამ კომპოზიციას განსაკუთრებული ადგილი უკავია – სწორედ მისით ვიხსენებ ჩემს პირველ შეხებას ხარისხიან მუსიკასთან", - ამბობს დი-ჯეი ივან რუდიკი. 13 წლის ასაკში, როდესაც პირველ მუსიკალურ საღამოზე მოხვდა, რუდიკმა საკუთარი მომავალი მკაცრად განსაზღვრა. "ეს იყო მანამდე ჩემთვის აბსოლუტურად უცნობი განცდები. ამის შემდეგ ჩემი თავი, დი-ჯეის გარდა, სხვაგვარად ვერ წარმომედგინა", - იხსენებს დი-ჯეი საცეკვაო მუსიკასთან დაუვიწყარ პირველ შეხებას. მას მერე ეს მუსიკა რუდიკის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

დი-ჯეობა ნოვოსიბირსკის ადგილობრივი ღამის კლუბებიდან დაიწყო - რადიოსადგურ "ევროპა პლუსის" ეთერში მიჰყავდა ყოველკვირეული შოუ საცეკვაო მუსიკის შესახებ. საცხოვრებლად დედაქალაქში გადასვლის შემდეგ მუშაობდა ორ ღამის კლუბში. "არ შემეძლო, დამეჯერებინა ის ყველაფერი, რაც ჩემს გარშემო ხდებოდა. მოსკოვში ძალიან ბევრი კარგი დი-ჯეი მუშაობდა, მე კი საკმაოდ იოლად ვხდებოდი სხვადასხვა კლუბის საკუთარი დი-ჯეი", - ამბობს საკუთარი წარმატებული კარიერის შესახებ ივან რუდიკი. რუდიკი ახალგახსნილი "ცეპელინის" რეზიდენტი (ადგილობრივი) დი-ჯეიც გახდა. 2003 წლის აპრილში მსოფლიოში სახელგანთქმული ამსტერდამის კლუბიდან (IT) მიიღო მიწვევა. მაისში იგი რუსეთის საუკეთესო დი-ჯეების ათეულში შეიყვანეს; ივან რუდიკი, მოსკოვის გარდა, პერიოდულად ამსტერდამშიც მოღვაწეობს. მისი მუსიკალური სტილი კი ჰაუსით, პროგრესივითა და ტრანსით განისაზღვრება.

# საქართველო, სადაც არ ღამდება

ნინო ყიფიანი

*ფართობი - 92 კვადრატული მეტრი; ძირითადი ფერი – ულტრამარინი; მასალა – აკრილი, ტილო; თემა – ინტელექტუალურად, ეკონომიკურად, ტექნიკურად, ტექნოლოგიურად, ენერგეტიკულად ძლიერი საქართველო; მუშაობის ხანგრძლივობა – 2 თვე და 10 დღე.*

ასეთია გია ბუღაძის ახალი კედლის მხატვრობა, რომლის პრეზენტაციაც გუშინ "საქართველოს ბანკში" გაიმართა. საქართველოს ბანკის საოპერაციო დარბაზში შესასვლელის მოხატვის იდეა გია ბუღაძეს რამდენიმე თვის წინ გაუჩნდა. მხატვრის ინიციატივა სიამოვნებით მიიღო "საქართველოს ბანკის" პრეზიდენტმა ვლადიმერ პატეიშვილმა. გუშინდელი პრეზენტაცია ბანკის პრეზიდენტმა გახსნა და მხატვარს "საქართველოს ბანკის" ლოგო - მინიატურული ოქროს ლომიც გადასცა საჩუქრად.

"ეს გახლავთ იდეა, რომელიც ერთი წლის წინ გამიჩნდა. ეს იყო ჩემი ოცნება ინტელექტუალურად, ეკონომიკურად, ტექნიკურად, ენერგეტიკულად ძლიერი საქართველო დამეხატა - ისეთი საქართველო, სადაც არ ღამდება," – ამბობს მხატვარი.

მოხატულობის ძირითადი ფერი, რომელსაც გია ბუღაძემ დიორამა უწოდა, ულტრამარინია, რომელზეც მოყვითალო-მოოქროსფროდ არის აკიაფებული საქართველოს ძეგლები – ჯვარი, სვეტიცხოველი, ხახული, ოშკი, ბიჭვინთის საკათედრო ტაძარი და და თავად "საქართველოს ბანკის" ისტორიული შენობა. მთელი მოხატულობა ღამის პანორამას მოგვაგონებს. აქ მთელი საქართველო გაკაშკაშებული გზებით არის დაკავშირებული. როცა "ვარდების რევოლუციის" მოსახდენად ღამის თბილისისკენ მანქანების კოლონა მოემართებოდა, გია ბუღაძეს ღამით განათებული საქართველო უკვე დახატული ჰქონდა.


ვლადიმერ პატეიშვილი და გია ბუღაძე ახალი პანოს ფონზე

როგორც მხატვარი იგონებს, მას "კედლომანია" ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს შეეყარა. "მაშინ, როცა მეგობრებს რემონტის საშუალება არ ჰქონდათ, მე მახატინებდნენ". მას შემდეგ გია ბუღაძემ საქართველოს არაერთი სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი მოხატა. მოხატული აქვს ეკლესიაც - 1989 წელს დასავლეთ ბერლინის ლუთერანული ეკლესია მოხატა. უახლოეს მომავალში კი იგი ამერიკაში მიემგზავრება. გია ბუღაძე ლუიზიანას უნივერსიტეტის კედლებს ამერიკელ მხატვართან ერთად მოხატავს. ამასთან გია ბუღაძე საგანმანათლებლო სფეროდან სოციალურ სფეროში გადართვასაც აპირებს და ამბობს, რომ სიამოვნებით მოხატავდა თბილისის ბაზარს.

"საქართველოს ბანკის" კოლექციაში დღეისათვის სულ რაღაც ოცდაათი ხელოვნების ნიმუშია, რომლებიც სხვადასხვა დარბაზშია გამოფენილი. მათ შორისაა ირაკლი ფარჯიანის "ათენას გასეირნება"; ელგუჯა ამაშუკელის "ვეფხვი და მოყმე"; გია ბუღაძის "მეცნიერება" და დათო გუჯაბიძის ფოტონამუშევრები. "უცხოეთის ბანკებში ასობით, ათასობით ხელოვნების ნიმუში აქვთ, რომლებიც არამარტო გამოიფინება, მათ უმეტესობას საცავებშიც ინახავენ - ეს მათთვის კაპიტალდაბანდებაა. ჩვენი ბანკი კი ჯერ ახალგაზრდაა და ამას ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ," – ამბობს ბანკის პრეზიდენტი ვლადიმერ პატეიშვილი.

# შეჩერებული წამით დანახული საქართველო

თინათინ ასათიანი

"ცხოვრების საქმე" – ასე უწოდებს ავტორი თავის ფოტოალბომს - "საქართველო". ერთი შეხედვით, ადამიანს შეიძლება მოეჩვენოს, რომ კარგი საქმის გაკეთება არცთუ ისე ძნელია. ქართველებმა, რომლებსაც თავიანთი სამშობლოს ბუნებაზე, კულტურაზე, ისტორიაზე ბევრი ლაპარაკი უყვართ ხოლმე, სინამდვილეში შეიძლება არც კი იცოდნენ, რაზე საუბრობენ. აღმოჩნდა, რომ, მრავალი წელია, საქართველოზე ფოტოალბომი არ გაკეთებულა და, საერთოდ, უკანასკნელ ხანებში სულ ორი ალბომი ყოფილა გამოცემული: 22 წლის წინ "საბჭოთა საქართველო", ოდნავ მოგვიანებით კი - "სიმღერა საქართველოზე". ამ ხანში არა მარტო წიგნები ძველდება. ბუნებაც კი, რომელიც მას შემდეგ, ალბათ, არც შეცვლილა, ძველ წიგნებში აშკარად სხვანაირად ჩანს. საქართველოს მშვენიერებათა წარმოჩინების სურვილი, მეტ-ნაკლებად, ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ეს მხოლოდ ბადრი ვადაჭკორიამ მოახერხა თავის ალბომში "საქართველო".



წიგნის გარეკანი

გუშინ "წიგნის სახლში" ჟურნალისტისა და ფოტოხელოვანის ბადრი ვადაჭკორიას ფოტოალბომის ხალხმრავალი პრეზენტაცია გაიმართა. იქ მყოფები ალბომის დათვალიერებისას აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ - საღამოზე სიტყვით გამომსვლელები, ჩვეულებრივ, რამდენიმე სიტყვას რომ ამბობენ ხოლმე, საათზე მეტ ხანს საუბრობდნენ; ზოგი ფოტოალბომის პოეტურ ალბომად მოხსენიებას ითხოვდა, ზოგი მას გაცოცხლებულ ფერწერას უწოდებდა, ზოგიც ამ ფოტოების ფსიქოთერაპიულ თვისებას ამტკიცებდა. ბ-ნი ბადრი თვლის, რომ ეს ალბომი მისი საუკეთესო ნამუშევარია. არადა, მას არაერთი ალბომი გაუკეთებია. "ჩემთვის მთავარი იყო, უპირველეს ყოვლისა, ქართველისთვის შემეყვარებინა სამშობლო, - ამბობს ავტორი, - მხოლოდ ამის შემდეგ მიეჩნიათ ის ქვეყნის პოპულარიზაციად, ჭეშმარიტ ხელოვნებად, ან რამე სხვად. საქმე ისაა, როგორ გამომივა ეს ყველაფერი", - ამბობს ავტორი, მაგრამ, გამოფენაზე გაკეთებული შეფასებების მიხედვით, მისი ჩანაფიქრი უდავოდ უნდა გამართლდეს. ალბომს ქართული, ინგლისური და რუსული ტექსტები ერთვის; პოლიგრაფიული დონე მაღალია; ფოტოების დიზაინი შთამბეჭდავია.

ბ-ნი ბადრი ალბომს მაინც არასრულს უწოდებს, რადგან იქ აფხაზეთი და ოსეთი შეტანილი არ აქვს. "აქ ერთი ფრაზაა ნათქვამი – ის, რომ აფხაზეთის ადმინისტრაციული სტატუსი ბოლო ათი წლის განმავლობაში კამათის საგანია, და როგორც კი ეს საკითხი მეტ-ნაკლებად გადაიჭრება, მე აუცილებლად ერთ ტომს მას მივუძღვნი". მანამდე კი ბ-ნი ბადრი მეორე ტომის შექმნას შეუდგება, რომლის თემაც გახლავთ "ქართული კულტურის ძეგლები საზღვარგარეთ". ავტორის თქმით, ეს რთული სამუშაოა, მაგრამ წიგნის გამოცემამ, რომელიც საკმაოდ სოლიდური გამოდგა, მას სტიმული მისცა, პროექტი ამოუწურავი იდეებით შეევსო. ამასობაში "საქართველო" 2003 წლის სახელმწიფო პრემიაზეა წარდგენილი და ავტორს დიდი იმედი აქვს, რომ მას ფართო საზოგადოება ღირსეულად შეაფასებს.

312-გვერდიანი ალბომის - დაახლოებით, 300 ფოტო, სქელი ყდით, ასევე, სქელი და სოლიდური ყუთით - 500-მდე ეგზემპლარი თურქეთში დაიბეჭდა. "ალბომის ფასი ჯერ დადგენილი არ არის, მაგრამ, მაღალი თვითღირებულების გამო, წიგნის ფასიც საკმაოდ მაღალი იქნება, - ამბობს ბ-ნი ბადრი, - მაგრამ, არაუმეტეს იმ თანხისა, რაც ორ კაცს ქეიფში დაეხარჯება".

როგორც შევიტყვეთ, ბ-ნ ბადრის წიგნის გამოცემად ბევრი უშრომია - ფოტომასალის შეგროვება, მერე კი სპონსორის შოვნა. სამწუხაროდ, მისი თქმით, საქართველოში ამ ალბომის ღირებულება ვერ შეაფასეს. ამიტომ, ავტორს თურქეთში მოუწია წასვლა იმისთვის, რომ სურვილი რეალობად ექცია. ის თავის სპონსორებად "ჯეოსელ"-ს, თავის მეგობრებს და შეგნებულ თურქ ხალხს მოიხსენიებს, რომლებმაც ქართველ ფოტოგრაფს შანსი მისცეს, ვალით გამოეცა საქართველოსთვის, მართლაც, საჭირო "საქართველო".

# ვინ გადაარჩენს ქართველ ჩელისტებს

მადი სერებრიაკოვა

საახალწლო კონცერტების ციკლი, რომელსაც კონსერვატორიის დიდი დარბაზი ყოველწლიურად მასპინძლობს, ფრანგი მუსიკოსების ანსამბლმა – ჟერომ პერნომ, ჟერომ დიუკრომ და პოლ მეიერმა გააგრძელეს. ფესტივალის საპატიო სტუმრები საქართველოსთან სერიოზული საქველმოქმედო პროგრამებით არიან დაკავშირებულები. მუსიკოსებმა არაერთი მასტერკლასი გამართეს ქართველი სტუდენტებისთვის გასულ წლებში, უხელმძღვანელეს კონკურსებს და სპეციალური ფონდიც შექმნეს – ჩელოს სკოლა, რომელიც საქართველოში, თითქმის, გაქრობის გზაზე დამდგარი ჩელოს სპეციალობის გადარჩენას შეეცდება. ამჯერადაც - პერნოს, დიუკროსა და მეიერის ანსამბლი სასიამოვნოსა და სასარგებლოს შეთავსებას აპირებს - კონცერტამდეც და კონცერტის შემდეგაც პერნო ქართველ სტუდენტებთან ერთად უკვე მუშაობდა მომავალი წლისთვის დაგეგმილი შონბერგის "გასხივოსნებული ღამის" შესასრულებლად.

პერნოსა და დიუკროს დუეტს თბილისში, განსაკუთრებით, კონსერვატორიაში ძალიან კარგად იცნობენ. **"ძალიან თბილი ადამიანები არიან და არაჩვეულებრივი პედაგოგები. ყოველი მათი რჩევა და ინტერპრეტაცია იდეალურია,"** – აღნიშნავენ სტუდენტები, რომლებსაც მათთან მუშაობა მოუხდათ.

მართალია, მათ მასტერ-კლასებზე დასწრება არ მომიწია, მაგრამ კონცერტიც უკვე დიდი გაკვეთილი იყო. ანსამბლის დახვეწილი ბგერით გამოწვეულ იდეალურ შეგრძნებაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. არსებობს მითი იმის შესახებ, რომ კამერულ მუსიკაში ემოციებისა და ვნებების ადგილი არ არის და იგი მოჭარბებული ინტელექტის მქონე შემსრულებლების პრეროგატივაა. გუშინდელმა კონცერტმა, განსაკუთრებით კი, პერნოს მძფრმა შესრულებამ ბევრი მსმენელისთვის ეს მითი დაანგრია. ჩელისტის გუშინდელმა შესრულების ემოციურობამ შესანიშნავად დაგვანახა, თუ როგორ შეიძლება, ერთდროულად შეინარჩუნო კამერული მუსიკისთვის დამახასიათებელი წონასწორობა, სიბრძნე და ამ ყველაფერს სიმძაფრეც ახლდეს.


პოლ მეიერი, ჟერომ დიუკრო და ჟერომ პერნო

მუსიკოსების მიერ შემოთავაზებული პროგრამა, ძირითადად, შუმანისა და ბრამსის ნაწარმოებებისგან შედგებოდა. ამ კომპოზიტორების რეპერტუარის დიაპაზონი ძალიან ფართოა: ბაროკოს მუსიკიდან თანამედროვეთი დამთავრებული. სხვადასხვა ეპოქის მუსიკისადმი პერნოს ინტერესი, ალბათ, მის მიერ ჩელოს რამდენიმე სახეობის ცოდნითაც აიხსნება. ის უკრავს ბაროკოს ჩელოზე, ძველ იტალიურ პიკოლო ჩელოზე და ფრანკ რავატისის თანამედროვე ჩელოზეც. ლა სკალას პირველი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული პიანისტი ჟერომ დიუკრო კი შუბერტის და რომანტიკოსების ღრმა მცოდნედ ითვლება. 2001 წელს მის მიერ ჩაწერილი შუბერტის ნაწარმოებებისაგან შემდგარი ალბომი "ოქროს დიაპაზონის" პრემიით აღინიშნა. პოლ მეიერზე საუბრისას განსაკუთრებულად ხაზს უსვამენ მის მრავალმხრივ მუსიკალურ შესაძლებლობებს. კლარნეტისტის ამპლუაში იგი მსტისლავ როსტროპოვიჩს, ბარბარა ჰენდრიკსს, იო-იო მასა, თუ ისააკ სტერნს უწევდა პარტნიორობას; ბოლო დროს კი სულ უფრო ხშირად ჩნდება დირიჟორის ამპლუაში. 25 დეკემბერს მეიერი საახალწლო კონცერტების ციკლის ფარგლებში მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს უდირიჟორებს.

მეიერი, პერნო და დიუკრო ძველი მეგობრები და პარტნიორები არიან. **"ჩვენ დიდი ხნის ნაცნობები ვართ და სცენაზე ერთმანეთის დიდებულად გვესმის, თუმცა ერთად დაკვრის საშუალება მაინც იშვიათად გვაქვს,"** – განაცხადა კლარნეტისტმა და დირიჟორმა პოლ მეიერმა. ასეთი იშვიათი შანსი მათ საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და ფრანგული ხელოვნების განვითარების ასოციაციის დახმარებით მიეცათ. **"ძალიან მიყვარს თბილისში ჩამოსვლა, აქაური ატმოსფერო, უპირველეს ყოვლისა - კონსერვატორია, რომელთანაც უკვე ამდენი დადებითი ემოცია გვაკავშირებს,"** – აღნიშნავს ჟერომ პერნო, - **რაც შეეხება ჩვენს საქველმოქმედო პროექტს, ამჯერად ვცდილობთ, სპონსორები ქართველი ჩელისტებით დავაინტერესოთ. ახალგაზრდებს, რომლებთანაც ჩვენ გვიწევს მუშაობა, ძალიან დიდი გული აქვთ – ეს კი მუსიკოსისთვის ძალიან მნიშვნელოვანია".**

კონსერვატორიის საახალწლო ფესტივალზე უკვე ტრადიციად დამკვიდრდა, რომ სტუმრები ორჯერ მაინც უნდა გამოიძახონ "ბის"-ზე. არ ვიცი, რამდენად გულწრფელია ქართველი მსმენელის ასეთი აქტიურობა სხვა შემთხვევაში, მაგრამ ამჯერად ეჭვი არავის შეპარვია. ფრანგი მუსიკოსების ანსამბლმა ბოლოს ექსპრომტად შეასრულა ნაწარმოები, რომლის ნოტები სულ ერთი საათის წინ მიიღეს საფრანგეთიდან. შემსრულებელსა და მაყურებელს შორის დამყარებული ძალზედ უშუალო კონტაქტი მცირე კურიოზითაც აღინიშნა: ის იყო ანსამბლი ერთ-ერთი ნაწარმოების დასაკრავად მოემზადა, რომ მოულოდნელად პერნომ საკუთარი ნოტები ვერ აღმოაჩინა. პიუპიტრზე ხანგრძლივი ძებნის შემდეგ იგი ტაშისა და საყოველთაო მხიარულების ფონზე კულისებისკენ დაიძრა. კონცერტის შემდეგ კი, თითქმის, ყველა მსმენელმა პერსონალურადაც მოიწადინა საკუთარი ემოციების გამოხატვა და პერნოს, დიუკროსა თუ მეიერთან მისაღწევად კულისებთან უშველებელ რიგში დგომა დაგვჭირდა.

საახალწლო ფესტივალის შემდეგი კონცერტიც ფრანგ მუსიკოსებს (ქართულ ორკესტრთან ერთად) ეთმობათ – ამჯერად უკვე მათ თაყვანისმცემლად ქცეული ქართველი მსმენელის წინაშე.


ბოლომდე მიიყვანე დაწყებული საქმე!
მოიპოვე ხმის უფლება
და
გაიარე რეგისტრაცია
ერთი ნაბიჯი
შენი
მომავლის შეცვლამდე
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
საია
GYLA
Georgian Young Lawyers' Association
ამომრჩეველთა რეგისტრაცია გრძელდება 25 დეკემბრამდე
დარჩა 2 დღე

მოკლედ

## გაუჩის ქალის მოძებნა მოუწევს


ლუჩანო გაუჩი ახირებული კაცია

ლუჩანო გაუჩი "პერუჯას" პრეზიდენტია. მან გადაწყვიტა, რევოლუციური ნოვაცია შეიტანოს ფეხბურთში. გაუჩის აზრით, ურიგო არ იქნებოდა, თუ მის გუნდში ქალებიც ითამაშებდნენ. ამ მიზნით, მან გადაწყვიტა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ბრიჯიტ პრინცი კლუბში მიეწვია. ბრიჯიტმა, როცა მიწვევის შესახებ შეიტყო, განმარტა, რომ არ ესმის, რატომ უნდა ითამაშოს ვაჟთა გუნდში და "პერუჯაში" გადასვლაზე უარი განაცხადა. ლუჩანო გაუჩი იმედგაცრუებული დარჩა. მას ქალის ძებნა თავიდან მოუწევს.

პრინცმა სწორედ განსაჯა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფიფა ხუმრობას გადაწყვეტს და ქალს უფლებას დართავს მამაკაცთა გუნდში ითამაშოს, ძირითად შემადგენლობაში მაინც ვერ მოხვდება. გაუჩის ყველა ოინი იმიტომ არის საინტერესო, რომ "პერუჯა" სერია A-ში თამაშობს. სერია B-ში კი "პერუჯა" ალარავის დააინტერესებდა. თუმცა, თუ პრინცი მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს, მაშინ დიდია ალბათობა, რომ "პერუჯა" სერია A-ს წელსვე დაემშვიდობება. სათადარიგოთა სკამზე ჯდომა კი პრინცს თავის სახლთან ახლოსაც შეუძლია, თან - უფრო ნაკლები გასამრჯელოს ფასად. გაუჩი ფეხბურთელს წელიწადნახევარში მილიონ დოლარს სთავაზობდა.

პრინციპში, ვინც გაუჩის იცნობს, დარწმუნდება, რომ ქალს "პერუჯას" შეფი მაინც მოძებნის. ბოლოს და ბოლოს მისთვის ხომ სულ ერთია, გუნდში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ეყოლება, თუ დიასახლისი. გაუჩისთვის მთავარია, მისი გუნდი ყურადღების ცენტრში იმყოფებოდეს.

"მე გადაწყვეტილება მივიღე - ჩემთვის ყველაფერზე მაღლა დგას სპორტული ინტერესი. ძალიან მიყვარს ფეხბურთი, ვაჟთა გუნდში გადასვლა და მინდორზე მხოლოდ დიდ დღესასწაულებზე გამოსვლა კი სულ არ მხიბლავს," – განაცხადა ბრიჯიტ პრინცმა.

## რაფტერი ბრუნდება

აშშ-ს ღია ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებული, ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი, რომელმაც იანვარში სპორტული კარიერის დასრულების შესახებ განცხადება გააკეთა, კორტზე დაბრუნებას აპირებს. მან განაცხადი გააკეთა წყვილთა ტურნირზე - AAPT Championships, რომელიც ადელაიდაში გაიმართება. მოგვიანებით რაფტერი ერთეულთა ტურნირებშიც აპირებს მონაწილეობის მიღებას.

ადელაიდას ტურნირზე, რომელიც 5 იანვარს დაიწყება, რაფტერი ავსტრალიელ ჯოშ იგლთან წყვილში ითამაშებს. რაფტერმა ამ ტურნირისთვის wild card-ი ითხოვა. მან განაცხადა, რომ სახელგანთქმულ მათს ვილანდერთან საჩვენებელ მატჩამდე პრაქტიკა სჭირდება.

"ავსტრალიელებს უნიკალური შანსი ეძლევათ, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება თავისი დიდი თანამემამულის მიმართ. მისი მონაწილეობა ტურნირს წონას შეჰმატებს", – განაცხადა ტურნირის დირექტორმა კოლინ სტაბსმა. ერთეულთა ტურნირში ითამაშებენ დავიდ ნალბანდიანი, უეინ ფერეირა და გრეგ რუსედსკი.

რაფტერმა იანვარში სპორტული კარიერა იმ მიზეზით დაასრულა, რომ სურდა, გარკვეულიყო, რას ეკეთებინა მომავალში. პატრიკ რაფტერმა უკანასკნელი შეხვედრა გამართა 2001 წლის დეკემბერში დევისის თასზე.

## "მინარდიმ" ბაუმგარტნერს კონტრაქტი გაუფორმა

"მინარდიმ" საბოლოოდ დაასახელა შემადგენლობა. გუშინ იტალიურმა საჯინიბომ კონტრაქტი გააფორმა ახალგაზრდა უნგრელ მრბოლელ ზოლტან ბაუმგარტნერთან. მეორე პილოტი იტალიელი ჯანმარია ბრუნი იქნება. ბაუმგარტნერს ფორმულა 1-ში რბოლის გამოცდილება, პრაქტიკულად, არ აქვს. ამ სეზონში მან გრან-პრიში მხოლოდ ორჯერ მიიღო მონაწილეობა. უნგრეთსა და იტალიაში მან ტრავმირებული რალფ ფირმანი შეცვალა.

"ჩემთვის საახალწლო დღესასწაული უკვე დადგა. ყოველ შემთხვევაში, საჩუქარი უკვე მივიღე. ამ სეზონის ორი რბოლის შემდეგ მივხვდი, რომ ფორმულა 1-ში მოხვედრაზე ვოცნებობდი. ჩემი ოცნება ასრულდა. თუმცა, დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს ფაქტი ბოლომდე ალვიქვი. ჯერჯერობით მსურს, რაც შეიძლება, სწრაფად დავიწყო "მინარდისთან" მუშაობა, რათა მომავალი სეზონისთვის სათანადოდ მოვემზადო," – თქვა ბაუმგარტნერმა.

უნგრეთის მთავრობამ მრბოლელის თანადგომისთვის 4 მილიონი დოლარი გამოჰყო. ამდენივე თანხის მიღებას ვარაუდობენ კერძო სპონსორებისგანაც. "ეს გიჟური თანხაა, თუმცა ჩვენ დიდ ტალანტზე ვსაუბრობთ," – განაცხადა უნგრეთის სპორტის მინისტრმა ფერენც გიურკსანიმ.

TV–სპორტი

### ოთხშაბათი. 24 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები
15:00 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი
16:50 თავისუფალი დარტყმა
17:05 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:00 "ცხრიანი"
18:15 "პოსტსკრიპტუმი"
18:45 იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები
20:30 "დარტყმა გოლისთვის"
20:45 თავისუფალი დარტყმა
21:00 სახვალიო ტელეპროგრამა
21:05 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
22:50 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:45 თავისუფალი დარტყმა
00:00 იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები
02:20 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
03:15 "დარტყმა გოლისთვის"
03:30 03:30-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. დღიური
04:30 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
05:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2001. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. MELWAUKEE BUCKS - CHARLOTTE HORNETS. მე-7 თამაში

**НТВ+СПОРТ**
11:00, 14:00, 17:10, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. WASHINGTON CAPITALS - MONTREAL CANADIENS
14:15 "ვარსკვლავური სამშაბათი"
15:15 ბრძოლა წესების გარეშე. Ultimate Fighting Championship
17:30 "ყველაზე ძლიერი ადამიანი" ფინეთში. ნაწილი მეორე
18:00 NHL – პლიუსი
18:15 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ვაჟები. სწრაფდაშვება
19:10 საბილიარდო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი პულში. ინგლისი. დღე მეორე. შესვენებისას (20:00) პრეს-ცენტრი
21:00 ათენის გზაზე
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 Power week – NHL-ის კვირა
23:00 "მუზარადის გარეშე"
23:45 NHL – პლიუსი
00:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. WASHINGTON CAPITALS - MONTREAL CANADIENS. შესვენებისას (01:15) ახალი ამბები

**EUROSPORT**
11:30 ექსტრემალური სპორტი
12:00 ფეხბურთი. ევროგოლები
13:00 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი თურქეთში
14:00 სპორტული ცეკვები. გერმანიის ღია ჩემპიონატი
15:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა
16:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა
17:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
18:30 მულტისპორტი
19:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა
00:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი შვედეთში
02:00 მულტისპორტი
03:00 ექსტრემალური სპორტი. 2003 წლის ექსტრემალური თამაშები
04:00 მულტისპორტი

ფეხბურთი

# "დინამო" 2K-ს ეკიპირებით


ამიერიდან "დინამო" ასეთი ფორმით ითამაშებს

მიხეილ აბაიშვილი

იტალიური JAKO წარსულს ჩაბარდა: თბილისის "დინამოს" ახალი ტექნიკური სპონსორი ჰყავს – ამერიკული კომპანია 2K.

გუშინ "დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა კლუბის ხელმძღვანელებისა და ფირმის წარმომადგენლების კონტრაქტზე ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალი, რასაც წინ უძღოდა მცირეხნიანი საინფორმაციო ბრიფინგი. კომპანია 2K-ს წარმოადგენდნენ - გენერალური დირექტორი სერგეი კოლომიეცი და აღმასრულებელი დირექტორი გენადი გალუბინი. ხელშეკრულების თანახმად, მომდევნო წელიწადნახევრის განმავლობაში "დინამო" ამ ფირმის სპორტული ეკიპირებით იასპარეზებს. კლუბის ადგილობრივი გულშემატკივრები "დინამოს" ახალი ფორმებით მხოლოდ გაზაფხულზე, სეზონის განახლების შემდეგ იხილავენ. თუმცა, საქართველოს ჩემპიონი ამ ფორმას გაცილებით ადრეც მოირგებს - თანამეგობრობის თასის ტურნირზე, რომელიც 17 იანვარს მოსკოვში აიღებს სტარტს.

პრეზენტაციაზე სპორტული ეკიპირების წარმოდგენის პატივი ერგოთ "იმიჯცენტრის" გოგონებს, "დინამოს" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს ლადო ბურდულს.

კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია თბილისის "დინამოსთან" საქმიანი ურთიერთობების დაწყება, რაც შედარებით ახალი სავაჭრო ბრენდის – 2K-ს პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

"სპორტული ინვენტარის მწარმოებელი კომპანია 2K ძალიან ახალგაზრდაა – 1997 წელს შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამჟამად ჩვენი მთავარი სტრატეგია აღმოსავლეთ ევროპის სპორტული ეკიპირების ბაზარზე შეღწევაა და, ამ თვალსაზრისით, "დინამოსთან" კონტრაქტი სერიოზული წარმატებაა. ამჟამად ჩვენ ურთიერთობა გვაქვს რუსეთის მსაჯთა კოლეგიასთან და რუსული პრემიერლიგის ყველა მსაჯი ჩვენი ეკიპირებით სარგებლობს. ამას გარდა, გასულ სეზონში ჩვენ ვიყავით მოსკოვის "ტორპედო-მეტალურგის" ტექნიკური სპონსორები. ამჟამად მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ სხვა რუსულ და, ასევე, უკრაინულ კლუბებთან", - აღნიშნა სერგეი კოლომიეცმა.

როგორც აღმოჩნდა, 2K სერიოზულ იმედებს ამყარებს ქართველ პარტნიორებზე და, "დინამოს" გარდა, სხვა ქართულ გუნდებთანაც ცდილობს ურთიერთობების დამყარებას.

"ვიმედოვნებთ, რომ ქართულ ბაზარზე შემოღწევას და გარკვეული სეგმენტის დაკავებას შევძლებთ. ეს ჩვენი სერიოზული მიზანია. საქართველოში ფეხბურთი ძალიან უყვართ -არ მეგულება ქართველი კაცი, სამოყვარულო დონეზე მაინც რომ არ ირთობდეს თავს სპორტის ამ სახეობით. ამჟამად რამდენიმე სხვა ქართულ კლუბთანაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, თუმცა ჯერ მათი დასახელებისგან თავს შევიკავებ", - განაცხადა გენადი გოლუბინმა.

აღსანიშნავია, რომ ახალი ტექნიკური სპონსორი გულშემატკივრებზეც ზრუნავს. ეს ფირმა თბილისის მაღაზიების ქსელში შეიტანს თავის პროდუქციას და "დინამოს" ფანებს თავისი კლუბის სპორტული ეკიპირების შეძენა მიზერულ ფასებში შეეძლებათ.

ახალი პარტნიორებით "დინამოს" ხელმძღვანელობაც კმაყოფილია. "ასეთი პირობები ჩვენთვის ჯერ არავის შემოუთავაზებია. 2K-ს სპორტულ ეკიპირებას მიიღებს არა მხოლოდ მთავარი გუნდი, არამედ ფარმკლუბებიც. ტექნიკური სპონსორის ინსტიტუტი ქართულ რეალობაში შედარებით ახალი ხილია და მოხარული ვარ, რომ "დინამომ" აქაც არავის დაუთმო პირველობა. კონტრაქტის დეტალებზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ. გეტყვით, რომ ეს თანამშრომლობა "დინამოს" ხელს აძლევს", - ასეთია "დინამოს" მმართველი დირექტორის დავით პეტრიაშვილის პოზიცია.

აქვე გამცნობთ, რომ "დინამო" ეროვნული ჩემპიონატის საშინაო მატჩებს სწორედ 2K-ს ბურთებით ჩაატარებს. ამ ბურთებს ანიჭებენ უპირატესობას თანამეგობრობის თასის ორგანიზატორებიც.

# ჟორდანიამ ადვოკატი შეცვალა

## უცხოელი მწვრთნელის საკითხი კვლავ დღის წესრიგშია

აკა ტონია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი, ვალერი ჩოლარია გუშინ ჟურნალისტებს შეგვხვდა და უკანასკნელი ინფორმაციები მოგვაწოდა, მათ შორის, ცხადია, მერაბ ჟორდანიაზეც გვიამბო.

სფფ-ს გენერალურმა მდივანმა მადლობის სიტყვები არ დაიშურა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის, ირაკლი განუგრავას და მისი მოადგილის, ვალერი გორგოძის მისამართით, რადგან მათ ფედერაციის თხოვნა დააკმაყოფილეს და ჩოლარიას და ჩივაძეს მერაბ ჟორდანიასთან შეხვედრის საშუალება მისცეს.

მაშ ასე, სფფ-ს გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე, მეხუთე იზოლატორში გუშინ მერაბ ჟორდანიას შეხვდნენ. ჩოლარიას თქმით, შეხვედრამ ერთ საათს გასტანა და სხვა საკითხებთან ერთად, საუბარი ეროვნული ნაკრების მწვრთნელზეც იყო. ჟორდანიას უთქვამს, რომ ფედერაციამ კვლავინდებურად უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ჩვენს ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი ჩაუდგეს სათავეში. იმის გამო, რომ შესაძლო კანდიდატთან შეხვედრას თავად ვერ მოახერხებს, მომავალ მწვრთნელთან მოლაპარაკებები სფფ-ს სხვა ხელმძღვანელმა უნდა გამართოს, თუ, რასაკვირველია, საქმე მოლაპარაკებამდე მივიდა. ვალერი ჩოლარიამ არც იმის ალბათობა გამორიცხა, რომ ჟორდანიას საქმესთან დაკავშირებული გამოძიება ახლო მომავალში დასრულდეს და რომ სფფ-ს პრეზიდენტმა საკუთარი მოვალეობის შესრულება გააგრძელოს. თუმცა, ამჟამად საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ნაკრების მწვრთნელის მოძიებისა და სხვა საკითხებით, დროებით, ფედერაციის სხვა ხელმძღვანელები უნდა დაკავდნენ. მერაბ ჟორდანიამ მასთან შესახვედრად მისულ ჩოლარიას და ჩივაძეს სფფ-ს აღმასკომის სხდომის გამართვა მომავალ პარასკევს, 26 დეკემბერს დაავალა. სწორედ აღმასკომის სხდომაზე გადაწყდება, თუ ვინ ითავებს ნაკრების ახალი მწვრთნელის მოძიების საქმეს და ვინ წარმართავს მოლაპარაკებებს. აღმასკომის სხდომაზე იმასაც გაარკვევენ, გააგრძელონ მწვრთნელობის უცხოელ კანდიდატებზე მუშაობა, თუ ნაკრებს ისევ ადგილობრივი სპეციალისტი შეურჩიონ.


ვალერი ჩოლარია - უცხოელ მწვრთნელზე კვლავ ვფიქრობთ

ჟორდანიასთან შეხვედრისას "თანამეგობრობის ქვეყნების თასის" შესახებაც იყო საუბარი. ამ ტურნირზე წელს თბილისის "დინამო" იასპარეზებს, თუმცა, როგორც წესი, იქ ფედერაციის ხელმძღვანელებიც მიემგზავრებიან. საქმე იმაშია, რომ "თანამეგობრობის თასს", ტრადიციულად, FIFA-ს პრეზიდენტი ზეპ ბლატერი სტუმრობს და თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების ხელმძღვანელებს ხვდება. იმისა გამო, რომ სფფ-ს პრეზიდენტი მოსკოვში წელს ვერ გაემგზავრება, ჟორდანიას ნაცვლად, ბლატერს სწორედ ვალერი ჩოლარია შეხვდება. ჟორდანიას დაკავების ფაქტით FIFA მეტად შეშფოთებულია და ჩვენი ფედერაციისაგან ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას მოითხოვს. ვალერი ჩოლარიასა და ზეპ ბლატერთან პირადი შეხვედრისას კი ჩოლარიას საშუალება ექნება, რომ FIFA-ს პრეზიდენტს ჟორდანიას შესახებ დაწვრილებით უამბოს.

როგორც ჩანს, სფფ ცდილობს, რომ ჟორდანიას პატიმრობის მიუხედავად, გეგმები არ შეცვალოს. ეს ნაკრების მომავალ მატჩებსაც ეხება. თებერვალში კვიპროსზე ოთხთა ტურნირი გაიმართება, სადაც ჩვენი ნაკრების გამგზავრებაც იყო დაგეგმილი. ვალერი ჩოლარიას განცხადებით, კვიპროსის ტურნირზე მონაწილეობა კვლავინდებურად დღის წესრიგში დგას. სფფ-მ ფეხბურთელების ვიზებზე ზრუნვა უკვე დაიწყო.

გარდა ამისა, გუშინდელ შეხვედრაზე ჩოლარიამ კიდევ ერთი, მეტად საინტერესო ამბავი გვამცნო - მერაბ ჟორდანიამ ადვოკატი შეცვალა. სფფ-ს პრეზიდენტს აღარ დაიცავს ზურაბ როსტიაშვილი, რომელმაც აქამდე გამართულ ორ პროცესზე ჟორდანიას დახმარება ვერაფრით შეძლო. სფფ-ს პრეზიდენტის მომხრეები როსტიაშვილის მუშაობით უკმაყოფილონი იყვნენ, და უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკმაყოფილება არც თუ ისე უსაფუძვლო იყო. მაშ ასე, როსტიაშვილის ნაცვლად, ჟორდანიას ამიერიდან ადვოკატი შალვა შავგულიძე დაიცავს. ეს არის სწორი გადაწყვეტილება, პირველ რიგში, იმიტომ, რომ შავგულიძე სამოქალაქო საქმეების სპეციალისტია, განსხვავებით როსტიაშვილისგან, რომელიც სისხლის სამართლის საქმეების ადვოკატია. შავგულიძეს კარგი რეპუტაცია აქვს და არაერთი მნიშვნელოვანი პროცესი აქვს მოგებული. იმედია, ახალი ადვოკატი უფრო დეტალურად გაერკვევა ჟორდანიას საქმეში არსებული გარემოებებით და დაკისრებულ მოვალეობებს თავის წინამორბედზე უკეთ გაართმევს თავს.

სხვათა შორის, შალვა შავგულიძემ გუშინვე დააყენა საკითხი მერაბ ჟორდანიას საავადმყოფოში გადაყვანასთან დაკავშირებით. ამ მოთხოვნის მიზეზი კი ჟორდანიას მიერ 1999 და 2000 წლებში თავზე გადატანილი ორი უმძიმესი ოპერაციაა. "თქვენ იცით, რომ მერაბს ორი ურთულესი ოპერაცია აქვს გადატანილი. აქამდე ყველაფერი კარგად იყო და ჯანმრთელობის გაუარესების ფაქტი არ დაფიქსირებულა. თუმცა, ციხეში არსებული მძიმე პირობების და ნერვიულობის გამო, შესაძლოა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა თავი იჩინოს", - განაცხადა ჩოლარიამ.

დაკმაყოფილდა თუ არა შავგულიძის მოთხოვნა, გუშინ ჯერ არ იყო ცნობილი. მანამდე კი მერაბ ჟორდანია საკმაოდ მხნედ არის. ჩოლარიასთან შეხვედრის ბოლოს სფფ-ს პრეზიდენტის მდგომარეობით დავინტერესდი. "მერაბი საკმაოდ კარგ ხასიათზე იყო და მხნედაც გამოიყურებოდა. ცდილობს, რომ ფორმაში იყოს და საკმაოდ ბევრს ვარჯიშობს. ყველაფერი დაწვრილებით გამოგვკითხა, აინტერესებდა, თუ რა ხდება ქვეყანაში, რა მდგომარეობაა", - გვიამბო ჩოლარიამ.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** საქართველოს ნაკრებისა და ჰოლანდიის "ტვენტეს" 28 წლის ნახევარმცველი გიორგი გახოკიძე, როგორც ჩანს, მოსკოვის ცსკასთან კონტრაქტს გააფორმებს. ქართველი ფეხბურთელი კლუბთან მოსალაპარაკებლად მოსკოვში გაემგზავრა. არმიულ კლუბში გახოკიძეს თავის დროზე ჯერ კიდევ ვალერი გაზაევი უხმობდა. 1995 წელს, გაზაევის ხელმძღვანელობით, გიორგი გახოკიძე "ალანიას" შემადგენლობაში რუსეთის ჩემპიონი გახდა. გაზაევი წავიდა, მაგრამ ცსკა, მისი წასვლის შემდეგ, ფეხბურთელის შეძენით დაინტერესებულია. თვითონ ფეხბურთელს ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია. " მე ცსკა-ში თამაში მინდა. ფინანსური და სპორტული თვალსაზრისით, აქ უკეთესია, მაგრამ ჩემს ოჯახს ენსხედეში ცხოვრება ურჩევნია, ამიტომ ვიფიქრებ," – თქვა გიორგი გახოკიძემ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანეთის "ვალენსიამ" უარი განაცხადა ლონდონის "ჩელსისთვის" არგენტინელი რობერტო აიალას მიყიდვაზე. თუმცა, კლუბის პრეზიდენტმა ჰაიმე ორტიმ არ უპასუხა კითხვას, როგორ მოიქცევა იმ შემთხვევაში, თუ აბრამოვიჩი ფასს 16 მილიონზე ზევით აწევს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "არსენალის" მცველი ფილიპ სენდეროსი სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს. ამრიგად, ახალგაზრდა შვეიცარიელი ვერ შეძლებს "მეთოფეთა" შემადგენლობაში ამ სეზონში სრულფასოვანი მატჩი ჩაატაროს. წინასასეზონო მზადების პერიოდში მან ფეხი მოიტეხა. შეიძლება მას ოპერაცია დასჭირდეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ერთი თვის განმავლობაში "ბარსელონა" გაბრის გარეშე ითამაშებს. "სელტასთან" შეხვედრაში მან ტრავმა მიიღო. ტრავმირებულია რადებეც, რომელმაც აქილევსის მყესი დაიზიანა. რადებე უეფას თასის მატჩისთვის, დანიის "ბრონდბიუს" წინააღმდეგ, გამოჯანმრთელდება. გაბრისი არ იყოს, "სელტასთან" მატჩში ტრავმა რაიციგერმაც მიიღო. ის სამ კვირას არ ითამაშებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** აქილევსის მყესის ტრავმის გამო, ორ თვეს გამოტოვებს "ლიდსის" მცველი ლუკას რადებე. ის "მანჩესტერ სიტისთან" მატჩში დაშავდა. არადა, რადებე მუხლის ტრავმის შემდეგ, რომელმაც მას ორი თვე გამოატოვებინა, ახლახან გამოჯანმრთელდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჩეხი პაველ ნედვედი არ ეთანხმება ევროპელ ჟურნალისტებს, რომლებმაც ის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. "ჩემი აზრით, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ტიერი ანრია. არ მეგონა, რომ შევძლებდი მეჯობნა ანრისთვის, მალდინისა და ზინედინ ზიდანისთვის. ჩემთვის რომ ეკითხათ, პირველობას "არსენალის" ფორვარდს მივანიჭებდი," – განაცხადა ნედვედმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ცნობილ ბრაზილიელ მწვრთნელ ტელე სანტანას ფეხი მოჰკვეთეს. ხუთი დღის წინათ ის საავადმყოფოში სისხლის ცირკულაციის პრობლემით მოათავსეს. მას ათეროსკლეროზი დაუდგინეს. ამჟამად მისი მდგომარეობა სტაბილურია. სანტანა ბრაზილიის ნაკრებს 1982 და 1986 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე ხელმძღვანელობდა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ამერიკელი ენდი როდიკი და ბელგიელი ჟიუსტინ ენინ-არდენი ITF-მა 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონებად აღიარა. ენდი როდიკამ წელს აშშ-ს ღია პირველობა მოიგო და ავსტრალიის ღია ჩემპიონატისა და უიმბლდონის ტურნირის ნახევარფინალებში გავიდა. ჟიუსტინ ენინმა კი აშშ-სა და საფრანგეთის ღია ჩემპიონატები მოიგო და "დიდი სლემის" კიდევ ორი ტურნირის ნახევარფინალში გავიდა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ზინა ჰარისონი აშშ-ს ჩოგბურთელთა ნაკრების ახალი კაპიტანია. მან სახელოვანი ბილი ჯინ კინგი შეცვალა. ჰარისონი ფედერაციის თასის თამაშებზე ნაკრებს ერთი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** "ორლანდოს" მცველი ტრეისი მაკგრეიდი და "მინესოტას" ფორვარდი კევინ გარნეტი კვირის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს. მაკგრეიდი საუკეთესო - აღმოსავლეთ კონფერენციაში გახდა, გარნეტი კი - დასავლეთში.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ამერიკული კალათბურთის ლეგენდა აიზია ტომასი "ნიუ-იორკ ნიქსის" ახალ პრეზიდენტად აირჩიეს. ამ პოსტზე მან სკოტ ლეიდენი შეცვალა. უკვე ზედიზედ ორი წელია, რაც "ნიქსი" პლეი-ოფში არ გასულა და კლუბის პრეზიდენტის ცვლილებაც სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია.

■ ■ ■

**კალათბურთი.** მუხლის მყესების დაზიანების გამო, კარლ მელოუნს, მინიმუმ, სამი თამაშის გამოტოვება მოუწევს. საინტერესოა, რომ მელოუნმა თავისი 18-წლიანი კარიერის განმავლობაში მხოლოდ 11 მატჩი გამოტოვა. "ფოსტალიონმა" ტრავმა "ფინიქსთან" მატჩში მიიღო.

■ ■ ■

**ველოსპორტი.** იტალიელი ველომრბოლელი მარიო ჩიპოლინი ICU-მ არასპორტული საქციელისთვის დააჯარიმა. მან 3000 შვეიცარიული ფრანკი იმის გამო დაკარგა, რომ აპრილში ბელგიაში რბოლის დროს ფრანგ ჟურნალისტებს წყლის ორი ბოთლი ესროლა.

■ ■ ■

**სამთო-სათხილამურო სპორტი.** მსოფლიო თასის წინა ეტაპზე ფრანგმა სამთო-მოთხილამურე ფრედერიკ კოვილიმ მუხლი დაიზიანა, რის გამოც სეზონის დარჩენილ მონაკვეთს გამოტოვებს. იანვრის დასაწყისში კოვილის ლიონში ოპერაცია ელოდება. გიგანტური სლალომის საერთო ჩათვლაში ის მესამე პოზიციაზე იმყოფებოდა.

ჭადრაკი

# 2003 წლის საჭადრაკო სვლები დათვლილია

გიგა გურასაშვილი

მნიშვნელობა არ აქვს, სპორტის რომელი სახეობის წარმომადგენლებმა მიაღწიეს წარმატებას (ოლიმპიურმა თუ არაოლიმპიურმა), მთავარია, რომ ერთმაც და მეორემაც 2003 წლის მედლებს საკუთარი შეჰმატეს. შთამბეჭდავი გამოდგა ვაჟ მოჭადრაკეთა შედეგები – მართლაც, სანიმუშო. გუშინ ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში მასპინძელმა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ნინო გურიელმა 2003 წლის საჭადრაკო პერიპეტიები და დასრულებული სეზონი მიმოიხილა: "თავს ვალდებულად ვთვლი, ჩვენი მონაგარი გაგაცნოთ, - ასე დაიწყო მისასალმებელი სიტყვა ნინო გურიელმა, – ახლა ჩვენ, მართლაც, ის თაობა გვყავს, რომელიც იმედის საფუძველს იძლევა. ჩვენმა მოზარდებმა, ათიდან ოცი წლის ჩათვლით, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე 11 მედალი დაისაკუთრეს. ნანა ძაგნიძემ კი 18 და 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატებზე საუკეთესო მოჭადრაკის სახელი მოიპოვა. ერთი სიტყვით, მოდის თაობა, რომელიც ქართულ საჭადრაკო ტრადიციებს ღირსეულად გააგრძელებს".


ნინო გურიელი - პირველობა აზმაიფარაშვილს ეკუთვნის

ათეულობით წლების განმავლობაში ჩვენი ქალი მოჭადრაკეები ერთპიროვნულად ლიდერობდნენ ნებისმიერი რანგის დაფებზე. სასიამოვნოა, რომ ახლა მათ ქართველმა ვაჟებმაც მიჰბაძეს. ქართული ჭადრაკის ისტორიაში პირველად გვყავს ევროპის ჩემპიონი - ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომელიც სტამბოლში კონტინენტის უძლიერესი მოთამაშის ტიტულს დაეუფლა. უდავოდ დიდი წარმატებაა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე პლოვდივში (ბულგარეთი) ზურაბ აზმაიფარაშვილის, ბადურ ჯობავას, მიხეილ მჭედლიშვილის, გიორგი ყაჭეიშვილისა და მერაბ გაგუნაშვილის მიერ მოპოვებული "ბრინჯაო." ევროპის სამეულში ყოფნა რასაც ნიშნავს, ვფიქრობთ, საკამათო არ უნდა იყოს – დღეს ხომ, თითქმის, ყველა უძლიერესი მოჭადრაკე ევროპელია.

"წელს ფენომენურ შედეგებს მივაღწიეთ - ვაჟთა შორის გუნდური მესამე ადგილი და ზურაბ აზმაიფარაშვილის ევროპის ჩემპიონობა. ასეთი წარმატებები ციდან არ ცვივა, - გვეუბნება ნინო გურიელი და ჭადრაკის მხარდაჭერისთვის ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს ემადლიერება, - ბატონი ედუარდი ყოველთვის მხარში გვედგა. დარწმუნებული ვარ, 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ახალი პრეზიდენტიც ასევე დაგვეხმარება".

ტრადიციულად, სეზონის დასრულების შემდეგ ეწყობა ხოლმე სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვა, რომლებმაც წლის საუკეთესო სპორტსმენი და გუნდი უნდა გამოავლინონ. გამოკითხვა წელსაც მოეწყო, მაგრამ შედეგები ჯერ ცნობილი არაა. ნინო გურიელს, როგორც ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს, მიაჩნია, რომ წლევანდელ გამოკითხვაში პირველობას ევროპის ჩემპიონატის გმირი იმსახურებს: "ეს სულაც არაა ამბიციური განცხადება. ჩვენ გვაქვს პრეტენზია იმისა, რომ ზურაბ აზმაიფარაშვილი წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდეს; გუნდურ მიღწევებში კი ვაჟ მოჭადრაკეთა ნაკრებიც იმსახურებს ადგილს სამეულში (საერთოდ, სპორტულ ჟურნალისტთა რეფერენდუმში, საქართველოში ვგულისხმობთ, მხოლოდ ერთი გუნდი სახელდება და არა სამეული. რედ.). მე არ ვამბობ, თითქოს, ელდარ კურტანიძის (თავისუფალი სტილით ჭიდაობა) ან მანუჩარ კვირკველიას (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) მსოფლიოს ჩემპიონობა მნიშვნელოვანი არ იყოს, უბრალოდ, ჩვენც გვაქვს პირველობის პრეტენზია".

აზმაიფარაშვილმა, მართალც, ბრწყინვალე შედეგს მიაღწია. უკვე გამოკითხვაც დასრულებულია. რეფერენდუმის შედეგებს კი მხოლოდ 28 დეკემბერს შევიტყობთ.

რაგბი

# რა გვაქვს და რა შეიძლებოდა გვქონოდა

## კანონზომიერი იყო თუ არა საქართველოს ნაკრების მსოფლიო თასზე ასპარეზობა?

პაატა თოთაძე

რატომ წააგო საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო თასზე ყველა მატჩი? რა იყო ამის მიზეზი და შეიძლებოდა თუ არა ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო? თვეზე მეტი გავიდა მსოფლიო თასის დასრულებიდან, მაგრამ ეს თემა კვლავაც აქტუალურია ქართულ სარაგბო საზოგადოებაში. ამასთან დაკავშირებით არაერთმა სპეციალისტმა გამოთქვა თავის აზრი, მაგრამ, ვფიქრობთ, უინტერესო არ უნდა იყოს ცნობილი ქართველი მწვრთნელის რამაზ სანებლიძის მოსაზრება ამ, და არა მარტო ამ, საკითხზე. მისი თქმით: ამ მოთამაშეებით დაკომპლექტებულ საქართველოს ნაკრებს ნამდვილად შეეძლო უკეთ გამოსვლა. ცალკე თემაა, რომ შეიძლებოდა გუნდში სხვა მოთამაშეების დამატებაც, მაგრამ ის ბირთვი, რომელიც წარმოდგენილი იყო მსოფლიო თასზე, დღეს საუკეთესოა.

**- მაშ, რა გახდა ამ წარუმატებლობის მიზეზი?**

- ჩემი ღრმა რწმენით, შეცდომები იყო დაშვებული მოსამზადებელი პერიოდისას. სათამაშო ამპლუის მიხედვით, მოთამაშეები არასწორედ იყვნენ განაწილებულნი. ბუნებრივია - ყველა არა, მაგრამ ოთხი-ხუთი. პირველ რიგში, ათი ნომერი, შემდეგ თორმეტი, ცამეტი და თხუთმეტი - ფაქტობრივად, ძირეულ, საკვანძო ადგილებზე. ისე არ გამიგოთ, თითქოს, პალიკო ჯიმშელაძე ან სხვები ნაკრების ღირსნი არ იყვნენ, უბრალოდ, პალიკოს გაცილებით უკეთ შეეძლო თამაში სხვა პოზიციაზე და, შესაბამისად, უკეთესი შედეგის ჩვენებაც. უნდა მომხდარიყო 12-13 ნომრების გადაადგილება. ისინი მზად იყვნენ, ნებისმიერ სხვა პოზიციაზე ეთამაშათ. არასწორედ იყო დაგეგმილი ნაკრების მზადების პროცესიც - გუნდს არ ჰყავდა სპარინგ-პარტნიორები. რეალურად, ჩვენი ძალა და შესაძლებლობები არ ვიცოდით. მსოფლიო თასმა გვიჩვენა, რომ ფიზიკური მომზადებითაც ჩამოვრჩებით ყველას. ეს ეხება არა ძალისმიერ თამაშს, არამედ სისწრაფეს, მოძრაობას, როგორც საერთოს, ისე დისტანციურს. ტაქტიკაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. მთელი ნაკრები ერთი კონკრეტული მატჩის მოსაგებად ემზადებოდა და სწორედ ის შეხვედრა ვერ ითამაშა. ამაში ბიჭებს ნაკლებად ვადანაშაულებ - მწვრთნელებს უნდა მოემზადებინათ გუნდი ამ თამაშისთვის.

**- ესე იგი, დამნაშავე მწვრთნელი ყოფილა...**

- დიახ, ასეა. თუმცა, კლოდს არ შეიძლება დავუკარგოთ ის, რაც გააკეთა; გზა გაჭრა ევროპისკენ - ჩვენი მოთამაშეები იქ თამაშობენ, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ უმეტესობა დაბალ ლიგის კლუბებში თამაშობს.

**- ეს ხომ იმის ბრალია, რომ აქედანვე დაბალი კლასი აქვთ?**

- დიახ. ის, რომ დაბალ ლიგებში არიან, იმის ბრალია, რომ აქ ვერ იმაღლებენ კლასს. ეს უკვე რაგბის კავშირის პოლიტიკის ბრალია - საზღვარგარეთ უშვებს ისეთ მოთამაშეებს, რომელთაც აქ არაფერი არ გაუკეთებიათ. მათ არა აქვთ საწყისი, რომ იქ თავი დაიმკვიდრონ და ამიტომაც ნებისმიერ პირობებზე თანხმდებიან, ოღონდ კი საფრანგეთში იყვნენ. ასე არ შეიძლება. უნდა დაწესდეს ასაკობრივი ცენზი. ამას, დიდი ხანია, ვამბობ, მაგრამ ან არავის ესმის, ან არ უნდათ რომ გაიგონ. მოთამაშეთა დიდი რაოდენობით მიგრაციის გამო, მნიშვნელოვნად დაიწია საქართველოს ჩემპიონატის დონემ. დღეს, რატომღაც, ცდილობენ, კლოდს შეახოცონ ხელი. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ყველაფერში კლოდია დამნაშავე. ის ახორციელებდა იმ პოლიტიკას, რომელსაც რაგბის კავშირი წარმართავდა. დღეს ბევრი სხვანაირად ალაპარაკდა, გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ ბრალი მათაც მიუძღვით.

**- ბევრი მოთამაშისგან გამიგია, რომ აუცილებელია წამყვან სარაგბო ქვეყნებში, ჩვენს შემთხვევაში საფრანგეთში, წასვლა, ადრეულ ასაკშიც კი, რადგან, ელემენტარულად, იქაური ვარჯიშებით მოთამაშე კლასს უფრო აიმაღლებს.**

- ამას არავინ უარყოფს, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს ქაოტურად. მოთამაშის წასვლა კანონზომიერად უნდა მოხდეს და არა ვინმეს სუბიექტური მოსაზრებით.

**- ნუთუ მხოლოდ მოთამაშეთა მიგრაციის ბრალია ჩემპიონატის დონის დაცემა?**

- ასე ცალსახად ვერ ვიტყვი, თუმცა 50%-ით ნამდვილად ამის ბრალია. თუკი ვინმე კარგი და საუკეთესო იყო ქართულ რაგბში, ყველა საზღვარგარეთ წავიდა. მეორე მიზეზია ქართველი მწვრთნელები. ჩვენ ჩამოვრჩით, ასე ვთქვათ, განვითარებას - არ ტარდებოდა სემინარები, არ ჩამოდიოდნენ სერიოზული უცხოელი მწვრთნელები. თუკი ვინმე მაინც ჩამოვიდოდა, ისიც ორი-სამი დღით და დღეში საათნახევარიან-ორსაათიან ვითომ სემინარს ატარებდა, რაც არასერიოზულია. ამას ემატება მსაჯების არყოლა.

**- და ვინაა ამ ყველაფერში დამნაშავე?**

- ყველაფერში დამნაშავეა რაგბის კავშირი. თავის დროზე კავშირის ხელმძღვანელობამ ყურადღება სხვა რამეზე გაამახვილა, უფრო სწორედ, არა იმაზე, რაზეც უნდა გაემახვილებინა. ჩემი და ბევრი ჩემი კოლეგის აზრით საქართველოს ჩემპიონატს უნდა მოეტანა ის, რასაც მოთამაშეთა ზრდა და წინსვლა ჰქვია და არა მათი საფრანგეთში მიგრაცია. შემდეგ ამაში ჩაერია ტრანსფერი, რამაც ძალიან ულირსი როლი ითამაშა ქართული რაგბის წინსვლასა და განვითარებაში. ამაზე საუბარს ახლა თავს ავარიდებ და საზოგადოების სამსჯავროზე არ გამოვიტან. არ მინდა, მორაგბეები, ვიღაც კონკრეტული პიროვნებების ულირსი ქცევის გამო, გაილანძღონ. კავშირში პრიორიტეტი მიეცა მსოფლიო თასზე გასვლას. თავისთავად, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ ჩვენი ავსტრალიასთან თამაში რომ არაკანონზომიერად მოხდა, ეს დადასტურდა. კანონზომიერად რომ მომხდარიყო, ჩვენ ურუგვაის უთუოდ დავამარცხებდით.


რამაზ სანებლიძე ქართული რაგბის შესახებ

**- რას გულისხმობთ კანონზომიერებაში?**

- თავის დროზე აქცენტი უნდა გაკეთებულიყო ახალგაზრდა მოთამაშეებზე – მათზე, ვინც 1992 წელს მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო ჭაბუკთა შორის. საბაზო გუნდში ისინი უნდა ყოფილიყვნენ და ყოველწლიურად დამატებოდათ პერსპექტიული მოთამაშეები. ეს რომ გაკეთებულიყო, ის გუნდი გამოივლიდა მსოფლიო ჩემპიონატებს ჭაბუკთა შორის, მსოფლიო თასის მოსამზადებელ ციკლს და სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატებს, რომელსაც ჩვენები, რატომღაც, იგნორირებას უკეთებენ. აქედან გამომდინარე, იმ გუნდს საერთაშორისო ასპარეზზე სერიოზული მატჩები ექნებოდა ნათამაშები და არა -ჩეხეთთან, ჰოლანდიასთან, გერმანიასთან და, თუ გნებავთ, იგივე პორტუგალიასთან. ვერ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ ეს გუნდი უთუოდ ითამაშებდა მსოფლიო თასზე. ადრეც ვამბობდი, რომ ამ მსოფლიო თასზე თამაში კარგი რამაა, მაგრამ ეს არ იქნებოდა ქართული რაგბის რეალობა, ეს იქნებოდა მხოლოდ ერთი კონკრეტული ფაქტის კონსტატაცია.

**- როგორია ქართული რაგბის რეალობა?**

- როგორც ვიხილეთ მსოფლიო თასზე. ახლა თუ არა, ის გუნდი უთუოდ მოხვდებოდა მომავალ მსოფლიო თასზე. ეს იქნებოდა კანონზომიერი და ჩვენ იქ აუცილებლად მოვიგებდით ერთ თამაშს მაინც. ახლა კი... ვამბობთ, მოვუგეთ რუსეთს, კიდევ ვიღაცებს, მაგრამ კოჭლთა შორის გამარჯვებული, მაინც კოჭლია. ლოგიკა არ იყო ჩვენს იქ მოხვედრაში - იყო მხოლოდ ემოცია და არა შორს გამიზნული პოლიტიკის შედეგი.

**- ძალიან ცუდი სურათი მივიღეთ. როგორ ფიქრობთ, რა უნდა შეიცვალოს მომავალში; როგორ უნდა წარმართოს რაგბის კავშირმა მუშაობა?**

- პრიორიტეტი უნდა მიეცეს საქართველოს ჩემპიონატს. თუ ყველაფერი ასე დარჩა, 2003 წლის მსოფლიო თასი სანატრელი გაგვიხდება. თუ უახლოეს მომავალში არ მოვიდა ახალი პრეზიდენტი კონკრეტული გეგმით და, მე ვიმედოვნებ, რომ რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა შეიცვლება, არაფერი არ გამოვა. რადაც უნდა დაუჯდეს რაგბის კავშირის ახალ ხელმძღვანელობას, თავისი მუშაობა გამჭვირვალე უნდა გახადოს. უნდა გაუმჯობესდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

**- კი, მაგრამ - როგორ, რის ხარჯზე?**

- ფულზე მიწევს საუბარი. ეს ბინძური თემაა. ჩვენ ყველაფერი ვიცით, რაც გააკეთა რაგბის კავშირმა - სად რამდენი და როგორ დახარჯა; სად რა ანგარიშები აქვს; სად რა იფარება. ამას უკვე ნაკრების მოთამაშეებიც ადასტურებენ. ჩვენ, უბრალოდ, არ გვინდა, ჩვენი ოჯახიდან გავიტანოთ ეს ამბავი, მაგრამ, თუ საჭირო იქნა, ხმამაღლაც ვიტყვით. ოჯახიც აქ პირობითი ნათქვამია, რადგან ასე მწამს, ოჯახის უფროსი თუ მაძღარია, ოჯახის წევრებიც მაძღრები უნდა იყვნენ, აქ კი, უფროსის გარდა, ყველა მშიერია. მთლიანად ქართულ რაგბზე ვლაპარაკობ. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება IRB-ს და FIRA-AER-ის ხარჯზე უნდა მოხდეს. იქ არის განვითარების ფონდები, რომელთაც შეუძლიათ თანხების გამოყოფა. ამაზე მუშაობაა საჭირო. ეს კავშირმაც იცის და თანხაც მიღებული აქვს, მაგრამ სად დაიხარჯა ეს თანხა, არავინ იცის. პასუხი ასეთია, რომ მოხმარდა ნაკრებს, მაგრამ, ჯერ ერთი, ამ ნაკრებს სულ უჭირს და მეორეც, რატომ უნდა დაიხარჯოს სტადიონის ასაშენებლად გამოყოფილი თანხა ნაკრებზე? მე წინააღმდეგი არ ვარ ნაკრებს თანხები მოხმარდეს, მაგრამ - არა მოედნის ფული.

**- ისევ ფულის საკითხს ვუბრუნდები. ბევრისგან გამიგონია, - კლოდი თუ წავა, სხვა, უფრო კვალიფიციური მწვრთნელის მოსაწვევად თანხები არ გვეყოფაო.**

- დამერწმუნეთ, გარკვეული თანხა მოიძებნება კვალიფიციური მწვრთნელისთვის. ასევე, მოიძებნებიან ისეთი მწვრთნელებიც მინიმალურ გასამრჯელოზე რომ იმუშავებენ. ბოლოს და ბოლოს, თანხის გამო, მთავარ მწვრთნელად შეიძლება ქართველი დაინიშნოს და ვიღაცის შედგენილი გეგმით თუ კონსულტაციით იმუშაოს. კლოდი რა, მთელ წელიწადს აქ იჯდა და მუშაობდა? ერთი ნორმალური სემინარი არ ჩაუტარებია მწვრთნელებისთვის; აკვიატებული კი არ მყავს, მაგრამ უნდა წავიდეს; ავტორიტეტიც შელახული აქვს უკვე. როცა მოთამაშე შეგაგინებს, რაღაცას გესვრის და გასალახად გამოიწევს, ვერ წარმომიდგენია მათთან როგორღა უნდა იმუშაო; თანაც, როგორც აღმოჩნდა, ღვარძლიანი პიროვნებაა. მის ხელში არაერთი მორაგბე დაიკარგა. როგორც მწვრთნელმა, მან თავისი შესაძლებლობები ამოწურა, ხოლო ის, რომ სხვის მოსაყვანად ფული არ არის, მიზეზია. IRB-ში არსებობს მწვრთნელთა დეპარტამენტი და იქ შეუძლია რაგბის კავშირს შუამდგომლობით შესვლა. ყველამ იცის, რა დონის ეკონომიკაც გვაქვს და ისეთ თანხას არავინ მოითხოვს, რომ ვერ გავწვდეთ. იმედია, ახალი ხელმძღვანელობა ამ ყველაფერს მოაგვარებს.

*P.S. გუშინ ცნობილი გახდა რომ თანამდებობიდან გადადგა საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელი. ახალი მწვრთნელის ვინაობა მოგვიანებით გაირკვევა.*

ჭორჭორი



ნინო I

## მათზე, ვინც ჩრდილში ყოფნას ამჯობინებენ

სახელგანთქმულ ადამიანებს ხშირად ერთი დიდი პრობლემა აქვთ - ვერ ახერხებენ თავის გემოზე ცხოვრებას. სადაც არ უნდა წავიდნენ, ყველგან სცნობენ და ისე აკვირდებიან, როგორც არაამაქვეყნიურ არსებებს. რატომღაც, ყველას ავიწყდება, რომ სპორტის თუ შოუბიზნესის ვარსკვლავები აბსოლუტურად ჩვეულებრივი ადამიანები არიან და ასეთი ზედმეტი ყურადღება ზოგჯერ სასტიკად აღიზიანებთ ხოლმე. ცნობისმოყვარეთაგან დამალვა ძალიან ძნელია. ბევრმა ვარსკვლავმა კარგად იცის, ვერაფერს რომ ვერ გახდება ფანების იერიშების წინააღმდეგ და იმასღა ცდილობს, როგორმე ოჯახის წევრები მაინც აარიდოს პაპარაცოების აბეზარ კამერებს. არც ეს ამოცანა გახლავთ, სხვათა შორის, იოლი.. ამის მიუხედავად, ტრამპლინიდან ხტომის დიდოსტატმა, სვენ ჰანავალდმა მაინც კარგა ხანს შეძლო საზოგადოებისთვის თავისი ახალი გატაცების დამალვა. მისი მეგობარი გოგონა მუდამ იმის ცდაში იყო, როგორმე არ მოხვედრილიყო პროფესიონალი თუ მოყვარული ფოტოგრაფების კამერის ობიექტივში. გარკვეულწილად, გამოუვიდა კიდეც. ჰანავალდის ფანებმა დიდხანს არაფერი იცოდნენ 26 წლის მომხიბვლელი სუსკა ბილეფელდის შესახებ. თითქმის, ერთი წელია, რაც სვენი და სუსკა ერთად არიან, "ბილდის" ჟურნალისტებმა კი მხოლოდ ორჯერ მოახერხეს მისგან ინტერვიუს აღება. ეს გოგონა სრულიად არ სარგებლობს იმ უპირატესობით, რაც მას ასეთ ცნობილ სპორტსმენთან ურთიერთობით შეიძლება ჰქონდეს. ოლივერ კანის ვულგარული ვერენასგან განსხვავებით, რომელიც საზოგადოების დასაინტრიგებლად ძალ-ღონეს არ იშურებდა, მოკრძალებულ სუსკას არ უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა. ის არც იმ ტურნირებზე დადის, სადაც მისი სვენი მონაწილეობს. ამ ერთი წლის განმავლობაში სუსკა მხოლოდ ორჯერ დაესწრო ტურნირს და ორჯერვე კინაღამ გული გაუსკდა შიშისგან. წელს ტრამპლინიდან მხტომელებს განსაკუთრებით რთულ კლიმატურ პირობებში უწევთ ასპარეზობა. ფინეთში ისეთი ქარი იყო, რომ ახალგაზრდა ავსტრიელი სპორტსმენი თომას მორგენშტერნი ჰაერში ამოტრიალდა და ზურგის დაზიანება მიიღო. ქარმა არც შვეიცარიის მთებში მოასვენა სპორტსმენები. ამჯერად უამინდობის მსხვერპლი 22 წლის კორეელი ჰეუნგ ჩუი ჩოი გახდა. სწორედ ამ ტურნირს დაესწრო ჰანავალდის მორცხვი სატრფო და საშინლად ინერვიულა, ვიდრე ტურნირის ორგანიზატორები ასპარეზობის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. სვენ ჰანავალდი ორჯერვე გადარჩა. მას არც ფინეთში მოუწია ძლიერ ქარში ტრამპლინზე ასვლა და არც შვეიცარიაში, მაგრამ, ამის მიუხედავად, სუსკა მაინც ძალიან შეშფოთებული დაბრუნდა გერმანიაში. " ძალიან ვღელავდი სვენის გამო. მეშინოდა, რომ მასაც მოუხდებოდა ტრამპლინზე ასვლა ასეთ უამინდობაში. მან პირობა უნდა მომცეს, რომ არავითარ შემთხვევაში არ გადმოხტება, თუ ცუდი ამინდი იქნება. ეს ძალიან სახიფათოა მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის. მე ვიცი, რომ ის გამოცდილი, პროფესიონალი სპორსტმენია, მაგრამ მაინც ძალიან მეშინია. თავად მწვრთნელი ამბობს, რომ გარკვეული ხიფათი მუდამ არსებობს, რაც უნდა კარგი დარი იდგეს,"- აღელვებული იყო სუსკა. ჰანავალდის მეგობარს ყველაზე ბედნიერი დღეები ზაფხულში უდგება, როცა სეზონი მთავრდება და მისი სვენი დროებით არდადეგებზე მიდის. მაშინ ცხოვრება მშვენიერი და საინტერესო ხდება. შეყვარებულები მუდამ ერთად არიან, საცეკვაოდ დადიან, სვენს შამპანურის დალევის უფლებაც კი აქვს. შემდეგ ახლოვდება ზამთარი და, ისევ მძიმე პერიოდი: სვენი სავარჯიშოდ მიდის, სუსკა მის დაბრუნებას ელოდება და გულში უდიერად მოიხსენიებს ზამთრის სპორტს. მაგრამ, რა გაეწყობა, თავს ზემოთ ძალა არ არის - სვენ ჰანავალდი, სიყვარულის გამო, კარიერაზე უარის თქმას არ აპირებს


ფრანცისკა და შტეფანი შერიგდნენ

## "იქნებ შობამ სიყვარული გადაარჩინოს..."

შობის ჯადოსნური ღამის დიდი იმედი აქვს ფრანცისკა ვან ალმსიკს - ცნობილ გერმანელ მოცურავეს. ცოტა ხნის წინ ყველა ბულვარული გაზეთი ჭორაობდა ფრანცისკას უღელზე დასხმულ სიყვარულზე. სამი წელია, რაც ფრანცისკა და ხელბურთელი შტეფან კრეტცშმარი ერთად არიან. ერთმანეთი სიდნეიში გაიცნეს - 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც ფრანცისკამ დიდად ვერაფრით გამოიჩინა თავი. ოლიმპიური ოქროს მოგება ფრანცის უდიდესი ოცნებაა. მის მეგობარსაც ძალიან უნდა ამ ჯილდოს მოპოვება. 2004 წლისთვის ისინი ერთად გეგმავდნენ ოლიმპიური ოქროსთვის ბრძოლას. ვინ იცის, იქნებ სწორად ოლიმპიური თამაშები იქცეს მათი სიყვარულის განადგურების მიზეზად. ფრანცისკა ბერლინში ცხოვრობს და ვარჯიშობს, შტეფანი კი მაგდებურგის გუნდში თამაშობს და ბინაც იქვე აქვს. ორივე ძალიან დაკავებულია და იშვიათად აქვთ თავისუფალი დრო. სწორედ ამიტომაც იჩინა თავი სხვადასხვა პრობლემამ. შტეფანს ისე უყვარდა ფრანცი, რომ მისი სახე მარჯვენა ფეხზეც კი ჰქონდა ამოსვირინგებული. "ეს ძალიან მოსახერხებელია, ტატუს რომ ვუყურებ, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ფრანცი მუდამ ჩემს გვერდითაა," - ამბობდა 30 წლის ხელბურთელი. არც ისე ადვილია, ასეთი სიყვარულის დავიწყება. საბრალო შტეფანს ხომ ორმაგად მოუწევს თავის შეწუხება - ფრანცისკას სახე გულიდანაც უნდა ამოიგდოს და წვივიდანაც მოიშოროს მისი პორტრეტი. ამდენი რთული პროცედურის ჩატარებას შტეფანმა ისევ ფრანცისკასთან ურთიერთობის მოწესრიგება ამჯობინა. შობის წინ ისინი შერიგებას ცდილობენ. " პრობლემები გვაქვს, მაგრამ ერთად ვცდილობთ ყველა სირთულის დაძლევას. შობას ერთად ვიზეიმებთ, იმედია, ყველაფერი კარგად იქნება", - ოპტიმისტურადაა განწყობილი ფრანცისკა. მათი საშობაო ვახშამი, მართლაც, ძალიან რომანტიკული იქნება - სანთლების შუქზე, წყნარი მუსიკის და რაინული ღვინის თანხლებით. ასეთ სიტუაციაში, მგონი, შესაძლებელია ყველაფრის თავიდან დაწყება და უკვე გაუფერულებული სიყვარულის ხელახლა გამშვენიერება...

# კათოლიკური ეკლესია კათართა ეპოქაში

1200 წლისთვის რომის ეკლესია ლამის ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეს დაემსგავსა. მის კედლებს მტერი ყოველი მხრიდან შემოხვეოდა: გერმანიის იმპერატორთა პოლიტიკური პრეტენზიები, ევროპულ ფეოდალთა ანტიკლერიკალიზმი, ზოგზე უფრო სწრაფი ინტელექტუალური განვითარება უნივერსიტეტებში. მაგრამ ყველაზე ძლიერი და საშიში მტერი მაინც ერესი იყო, რადგან ეკლესიის სამღვდელოების ავტორიტეტს აყენებდა კითხვის ქვეშ.

1205 წელს პაპმა კონსტანტინოპოლში წარგზავნა რამდენიმე პროფესორი ბერძნული ენისა და ფილოსოფიის შესასწავლად. ერთი წლით ადრე ხომ ჯვაროსნებმა ეს ქალაქი აიღეს და ისედაც საგრძნობლად შემცირებული ბიზანტიის იმპერია ლათინურ სამეფოდ აქციეს.

ესპანეთის ქალაქ ტოლედოში კი არაბულიდან ლათინურად უკვე თარგმნეს არისტოტელეს "ორგანონი" და დაიწყეს "ფიზიკისა" და "მეტაფიზიკის" კითხვა. ევროპამ აღმოაჩინა სამყაროს რაციონალური და ლოგიკური სურათი, რომელიც არ იყო შეზღუდული საღვთო წერილის ფარგლებით.

საშიში ხომ არ იქნებოდა სარწმუნოების საფუძვლებისთვის გონების ეს აღმავლობა? პირველი საშიშროება მაშინ გაჩნდა, როცა XIII საუკუნისთვის მოსახლეობის ეკონომიკურმა აღმავლობამ პიკს მიაღწია და ევროპამ ფუფუნებისკენ სწრაფვის პირველი შეტევა იგრძნო.

ეკლესიის პირამიდული სტრუქტურა ხომ უპირატესად, ანუ ამა სოფლის სიამეთა უარყოფაზე იყო დამყარებული. ეს შეხედულებები მეომართა და მიწათმოქმედთა უმდიდრესი საშუალოს წარმოიშვა, ამიტომაც კეთილდღეობის პირველივე ტალღამ წარმოშვა მათი გამოუსადეგრობა ახალ ვითარებაში. საეკლესიო სტრუქტურა სიმდიდრემ დაჯაბნა და გააქრო. საკუთარი ფუფუნების სიმძიმით დამძლეულ-დაცემული ეკლესიის განახლება იყო საჭირო. მაგრამ აქამდე ჯერ კიდევ შორს იყო: მანამდე ეკლესია რაღაც ტოტალიტარული მონარქიის მსგავს ორგანიზმად იქცა, რომლის ცენტრში პეტრეს საყდარზე დაბრძანებული პაპი **ინოკენტი III** იჯდა.

მანამდე ორასი წლის განმავლობაში პაპები წლიდან წლამდე აფართოებდნენ მათი საერო ძალაუფლების ქვეშ მყოფ ტერიტორიებს, რომაული კურიის იურისტები კი ქმნიდნენ პაპის უზენაესი ავტორიტეტის კანონიერ საფუძვლებს. ქადაგების შინაარსი უცვლელი იყო: მთელი მსოფლიო სასულიერო ძალაუფლების ქვეშ უნდა მოექცა. სწორედ ასეთ სიტუაციაში, 1198 წელს ავიდა ტახტზე 38 წლის ინოკენტი III. ეს ნაწინასწარი რომაული ინტელექტუალიზმით გამოირჩეოდა. ბოლონიაში მას იურისპრუდენცია ესწავლა (ცხოვრების იტალიური სტილი), პარიზში — თეოლოგია (ცხოვრების ფრანგული სტილი). ეს პირველი პაპი იყო, რომელიც არა მარტო პეტრეს მემკვიდრეობაზე დებდა თავს, არამედ იესო ქრისტეს ნაცვლობაზეც.

პაპად კურთხევის დღეს ინოკენტიმ განაცხადა:

"ქრისტემ მითხრა: "შე მოგცემ ზეციური სასუფევლის გასაღებს, რასაც შეკრავ მიწაზე, ზეცადაც შეიკვრება". შეხედეთ მსახურს, რომელიც ოჯახის საქმეებს განაგებს — ეს იესო ქრისტეს ნაცვალი და პეტრე მოციქულის მემკვიდრეა. იგი ღმერთსა და კაცს შორის დგას, უფალზე მცირე და ადამიანზე დიდი".

პაპი შეეცადა, ევროპის ყველა მმართველისთვის ფეოდალური მორჩილების ბადე მოეხვია თავს და ეს თითქმის გამოუვიდა. თავისი პონტიფიკატის დასასრულს, 1215 წელს მან რომში, ლატერანის სასახლეში საეკლესიო კრება მოიწვია (ლატერანის IV კრება), რომელიც თავისი ისტორიული მნიშვნელობით ალბათ მხოლოდ ტრიდენტის კრებას თუ შეედრება. ინოკენტის პროგრამაში შედიოდა "ერესების მოსპობა და სარწმუნოების განმტკიცება, ზნეობის განწმენდა და ცდომილებათა გამოსწორება". ეკლესიამ განაცხადა, რომ მშვიდობა უნდა დამყარდეს და ჭეშმარიტებამ უნდა იზეიმოს, ამის ერთადერთი გზა კი თავისუფლების შეზღუდვაა.

დამყარდა სასულიერო რეაქცია. ლატერანის კრებამდე 1179 წელს ჩატარებული საეკლესიო კრების თანახმად, ყველა, ვინც კი გადამდები სენით იყო დაავადებული, ლეპროზორიუმში უნდა მოეთავსებინათ, ყველა ფსიქიკურად დაავადებული კი ეშმაკეულად იყო გამოცხადებული. ამ პოლიტიკის გასაგრძელებლად ინოკენტიმ ბრძანა, რომ ებრაელებს განსაკუთრებული ტანსაცმელი უნდა ეტარებინათ, ან რაიმე ხილული ნიშანი, რადგან ამიერიდან ისინი საზოგადოებიდან განკვეთილებად ცხადდებოდნენ.

1209 წელს პაპმა ჩრდილოეთ საფრანგეთის რაინდებს სამხრეთის დარბევას დაჰპირდა წმიდა მიწიდან წამოღებული ინდულგენციების ფასად და კათართა მასობრივი ხოცვისკენ მოუწოდა. იგი ამბობდა, რომ თავისი დოგმატების განსამტკიცებლად ეკლესიას უკვე აღარ ჰყოფნის ბერები და მათი ქადაგება.

მართლაც, ძველმა საბერო ორდენებმა უკვე დაკარგეს თავიანთი ავტორიტეტი და რაინდთა სასაცილოდ გადაიქცნენ. XIII საუკუნეში შედგენილი ფრანგული დიდაქტიკური პოემები, რომელთა საფუძველზე რაინდთა შვილები ეცნობოდნენ რეალობას, აღსავსეა ბენედიქტელთა და კარტეზიანელთა შესახებ მწარე ხუმრობებით.

მაგრამ ინოკენტი III იმასაც გრძნობდა, რომ ეკლესიის სულიერი ავტორიტეტის შესანარჩუნებლად მარტო ხმლების ჟღარუნი არ გამოდგებოდა. საჭირო იყო ხალხისთვის ეჩვენებინათ სიყვარულისა და თავგანწირვის სულიერი მაგალითები. ახალი ორდენების მიზანი უკვე ქრისტეს მიბაძვა და ღარიბებზე ზრუნვა იყო. ამით გამოირჩეოდა სულის წმიდის ორდენი, ტრინიტარიების ორდენი. ამ უკანასკნელთა მოვალეობაში, სხვათა შორის, შედიოდა მუსლიმანი არაბების მიერ გატაცებული და დატყვევებული ადამიანების გამოსყიდვა. ამგვარ ორდენთა მოღვაწეობა გარკვეულად პასუხობდა ევანგელურ მისწრაფებებს, რომლებიც დღითი-დღე იზრდებოდა ჩვეულებრივ ერისკაცთა სულებში.

მართალია, ინოკენტი III გრძნობდა, რომ ახალი პრინციპების შემოღებით ეკლესიაში ვალდენსებისა და ზოგიერთი სხვა სექტების მოძღვრებაც შეიტანა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ მისი ავტორიტეტის ქვეშ მყოფი ხალხის მასებიდან ამას არავინ შეიმჩნევდა.

ახალ პრინციპებს ახალი წმინდანები ესაჭიროებოდა. დიდი იტალიელი პოეტი, **დანტე ალიგიერი** "ღვთაებრივ კომედიაში" წერს, რომ სწორედ ინოკენტიმ განუწესა ეკლესიას ორი წინამძღვარი: **ფრანჩესკო ასიზელი** და **დომინიკ გუსმანი**. მათგან მიიღებს თავის სახელწოდებას ორი უმნიშვნელოვანესი ორდენი — ფრანცისკელთა და დომინიკელთა.

1205 წელს ინოკენტიმ პირადად მიიღო დელეგაცია საფრანგეთის სამხრეთიდან და მათგან შეისწავლა რელიგიური სიტუაცია. აღმოჩნდა, რომ მონასტრებში მცხოვრები მოწესეები სულიერ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილიყვნენ. ერთი მხრივ, ამის მიზეზი მომძლავრებული ერესი იყო, მეორე მხრივ კი — სამრევლო სამღვდელოებისა და ეპისკოპოსთა მანკიერი წეს-ჩვეულებები. პაპმა განუცხადა მათ, რომ ნდობის აღსადგენად საჭიროა "ვემსგავსოთ კეთილ მწყემსს, ვიყოთ თავმდაბალნი და მოკრძალებულნი, ვიაროთ ფეხით, არ ვიქონიოთ ოქრო-ვერცხლი, ერთი სიტყვით, გავწიოთ მოციქულთა მსგავსი ცხოვრება".

პაპის განათლებულმა სტუმრებმა, რომელთა შორის მომავალი წმინდანი, დომინიკიც იყო სწორედ ამ სულისკვეთებით მოიარეს სამხრეთი საფრანგეთის ქალაქები. თუ ერეტიკოსებმა ადვილად დაამარცხეს ასკეტი ბერები, მათ წინააღმდეგ ახლა საუნივერსიტეტო კულტურით აღჭურვილი თეოლოგები გამოდიოდნენ. იმართებოდა საჯარო დისკუსიები, რომლებზეც ინტელექტუალები დამაჯერებლად ამარცხებდნენ კათართა მოძღვრებს.

მაგრამ ინტელექტუალები ხშირად მხოლოდ ნიადაგს ქმნიან ძალადობისათვის. საეკლესიო ხელმძღვანელობის თვალსაზრისით ეს ფილოსოფიური კამათი, თუნდაც წარმატებული, ნამდვილად არ იყო საკმარისი ნამდვილი გამარჯვებისთვის: თეოლოგიურ დისკუსიაშიც ბოლო სიტყვა გამდიდრების წყურვილით მოცული უბირი რაინდების ხმლებს ეკუთვნოდა.



პაპი ინოკენტი III

# კათართა ერესი I



საშინელი სამსჯავრო: მართალთა ნეტარება და ცოდვილთა წარწყმედა

XII საუკუნეში პროვინციულ ქალაქს უფრო პარიზი ჰგავდა. დღევანდელობისაგან განსხვავებით, კულტურული ცხოვრების ეპიცენტრი სამხრეთ საფრანგეთში იყო განლაგებული: გასკონი, ლანგედოკი, პროვანსი — აი, ადგილები, სადაც იჭედებოდა ახალი ფრანგული კულტურა და იქიდან ვრცელდებოდა დანარჩენ ევროპაში. ნარბონი, მონპელიე, არლი, მარსელი — აი, ქალაქები, რომელთა სახელები უკვე მთელ იმდროინდელ მსოფლიოში იყო ცნობილი გაცხოველებული ვაჭრობის წყალობით.

სხვათა შორის, სამხრეთი საფრანგეთის ნაყოფიერი და მზიანი მიწა — მოცინარი, როგორც მას უწოდებდნენ — საკმაო რელიგიური შემწყნარებლობითაც გამოირჩეოდა. მართალია, რვაასი წლის წინათ ტოლერანტობა სულაც არ ყოფილა შეგნებული სოციალური და ზნეობრივი ღირებულება, როგორც ეს ახლაა განვითარებულ საზოგადოებებში: მისი განხორციელება სტიქიურად და შეუმჩნევლად ხდებოდა. უბრალოდ, არავინ არბევდა უმდიდრეს ებრაულ სათემოებს და ზემოხსენებულ ქალაქებში სწორედ ის ვითარება სუფევდა, რომლითაც უყვართ თავის მოწონება დღევანდელ თბილისელებს: XII საუკუნის სამხრეთ საფრანგეთშიც საკათედრო ტაძრები და სინაგოგები ხშირად ძალიან ახლოს იყო განლაგებული. საკვირველი არაფერი იყო: ეპისკოპოსი სად იშოვიდა ებრაელზე უფრო პატიოსან და გამოცდილ საქმეთა მწარმოებელს ან ეკონომოსს?

მაგრამ საქონლის მოძრაობა და ფულის ბრუნვა ყოველთვის გულისხმობს ახალ იდეათა გაცვლას. იმხანად თითქმის ყოველი იდეა რელიგიურ სფეროს განეკუთვნებოდა, ამ სფეროში კი თითქმის ყველა სიახლეს ერესის კვალიფიკაცია ეძლეოდა. თუმცა სამხრეთ საფრანგეთში, სადაც შეძლებულად ცხოვრობდნენ, ერესებს არავინ უფრთხოდა. XIII საუკუნის ცნობილი და სანდო მემატიანე, **გიომ დე პიუილორანი** წერს, რომ ლანგედოკელ რაინდებს არავინ უკრძალავდა ნებისმიერ სექტაში შესვლას, თვით სექტების ხელმძღვანელებს კი არავინ სდევნიდა: მათ მიწების შესყიდვისა და სალოცავი სახლების მოწყობის უფლებაც ჰქონდათ. ზოგიერთ ქალაქში ერეტიკოსებს მუნიციპალური ხელისუფლება სამხედრო სამსახურისა და გადასახადებისაგან ათავისუფლებდა. მრავალი მდიდარი მოქალაქე სიკვდილის შემდეგ სექტანტებს უანდერძებდა თავის ქონებას.

ქრონიკამ შემოინახა სიკვდილის პირას მყოფი ერთი მდიდარი მოქალაქისა და ქალაქ ალბის ეპისკოპოსის დიალოგი:

**ეპისკოპოსი**: რომელ მონასტერში ინებებთ დაკრძალვას.

**მოქალაქე**: ნუ შეწუხდებით. მე ვუბრძანე, რომ ჩემი ცხედარი კეთილ ადამიანებთან წაასვენონ.

**ეპისკოპოსი**: ეს შეუძლებელია, ერეტიკოსები არ ცხოვნდებიან.

**მოქალაქე**: ამაოდ ნუ გაირჯებით, რომ დამაბრკოლოთ, ოთხზე დავდგები და მაინც მათთან გავხოხდები.

მაგრამ ზოგჯერ ორთოდოქს კათოლიკეთა და სექტანტთა შორის თუმც ცხარე, მაინც ცივილური კამათი იმართებოდა. ალბის მახლობლად ცხოვრობდა ერთი ავტორიტეტული ერეტიკოსი, **სიკარდ კელარიუსი**. ალბის ეპისკოპოსს მოქალაქეებმა სთხოვეს მისი კამათში გამოწვევა. ეპისკოპოსი ჯერ უარზე იყო, ამბობდა, ეს ცოდვილი არასოდეს აღიარებს თავის დამარცხებასო. მაგრამ მოქალაქეთა დაჟინება იმდენად ძლიერი იყო, რომ კამათი მაინც გაიმართა.

პირველი შეკითხვით ეპისკოპოსმა მიმართა: "სიკარდ, გწამთ თუ არა, რომ აბელი, ნოე, მოსე და ძველი აღთქმის სხვა მართალი ადამიანები ცხოვნდნენ?". "არც ერთი მათგანი არ ცხონებულა", — მიუგო სიკარდმა. "მაშ, ჩემს ნათესავზე, **გიომ-პიერ დე ბრანზე** რაღას იტყვით?" — კვლავ იკითხა ეპისკოპოსმა. — "ის ცხოვნდა, რადგან ჩვენს სარწმუნოებაში განისვენა".

აქ კი ეპისკოპოსმა მშვენივრად გამოიყენა თავის სასარგებლოდ ერეტიკოსის პასუხები: "თქვენ მე ერთი სალერნოელი ექიმი მომაგონეთ. იგი ორ სნეულთან მიიყვანეს და მან თქვა, რომ ერთი მათგანი მოკვდება, მეორე კი მომჯობინდება. ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა. მაშინ ექიმმა თქვა, რომ უნივერსიტეტში ბრუნდება, რადგან, როგორც ეტყობა, ცუდად წაუკითხავს წიგნები. თქვენც ასევე დაგემართათ, სიკარდ: თქვენ წარწყმედას ქადაგებთ მათთვის, ვისაც ღმერთმა და საღვთო წერილმა შეუნდო, და აღიარებთ, რომ ცხოვნდება კაცი, რომელიც ყოველთვის ძალადობითა და ძარცვა-გლეჯით ცხოვრობდა. კვლავ სკოლაში უნდა დაბრუნდეთ, რომ კითხვა ისწავლოთ".

სიკარდი დარცხვენილი და ენაჩავარდნილი დარჩა, მაგრამ ეპისკოპოსის ავტორიტეტს მისთვის ქალაქში მშვიდი და დაუბრკოლებელი ცხოვრება არ აღუკვეთია. თეოლოგიურ კამათს მოსახლეობისთვის ინტელექტუალური გართობის მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთივე გართობა იყო სარაინდო ტურნირები. ამისგან განსხვავებით, ჩრდილოეთ საფრანგეთში ეპისკოპოსები კი არ ეკამათებოდნენ ერეტიკოსებს, არამედ მათ დახოცვას ჩქარობდნენ.

სამხრეთში 1167 წელს ერეტიკოსებმა ერთგვარი საერთაშორისო "კონგრესიც" გამართეს: აქ ბიზანტიის იმპერიიდან ჩამოსული "სამონიტორინგო ჯგუფის" დახმარებით მათ წარმატებით გადაჭრეს შინაგანი დისციპლინის საკითხები.

სამხრეთ საფრანგეთში ორი სახის ერესი ყვაოდა: ადგილობრივი წარმოშობისა და უცხოეთიდან შემოტანილი. ადგილობრივ ნიადაგზე წარმოშობილ ერეტიკულ მოძღვრებებს საფუძვლად აზროვნების ბუნებრივი განვითარება, ასკეტიზმისა და სულიერი სრულყოფილების წყურვილი ედო. ადამიანებს სურდათ, თანხმობაში მოეყვანათ თეოლოგია და ზნეობა. ეს ოცნება ამოძრავებდა, მაგალითად, ლიონელ ვაჭარს, **პიერ ვალდოს**. მის მიერ დაარსებული ვალდენსური ეკლესია დღესაც არსებობს საფრანგეთში, იტალიასა და გერმანიაში. ვალდენსები ქადაგებდნენ ზომიერ ცხოვრებასა და ბიბლიის კითხვას. ვალდენსებს სამხრეთ საფრანგეთის სამღვდელოება არა მარტო ითმენდა, არამედ ხელს უწყობდა კიდეც. ვითარება დაახლოებით ისეთი იყო, როცა რამდენიმე წლის წინათ თბილისის საკათედრო ტაძარში კვირაში ერთხელ ბაპტისტ ღვთისმსახურს ეძლეოდა ქადაგების უფლება. ფრანგი კათოლიკეები ხელს უმართავდნენ ვალდენსებს, მოგზაურობისას ღამეს ათევინებდნენ, მათგან ბიბლიის საკითხავებს ისმენდნენ და ამის გამო მათ ეკლესია არავითარ პასუხს არ სთხოვდა.

თუმცა ვალდენსების წარმოდგენები დროთა განმავლობაში სულ უფრო რადიკალურ ხასიათს იძენდა. თანდათანობით მათ უარყვეს წმინდანთა თაყვანისცემა, განსაწმენდელის არსებობა, ევქარისტიასთან დაკავშირებული კათოლიკე სწავლება და სამღვდელო ხელდასხმის აუცილებლობა. საბოლოოდ, მათ ყველა პატიოსნად მცხოვრებ ქრისტიანს მიანიჭეს აღსარების მოსმენისა და ცოდვათა შენდობის უფლება.

ვალდენსები, რომლებიც არ სცნობდნენ ეკლესიის საერო, პოლიტიკურ ძალაუფლებას, მის უთვალავ სიმდიდრეს, საკუთარ თავს მაინც ქრისტიანებად აღიარებდნენ და მიაჩნდათ, რომ გაბატონებულ ეკლესიაზე უფრო ღრმად ჩაწვდნენ სახარების სულისკვეთებას. ვალდენსებს არ სურდათ, რომ ვინმეს ისინი კათარებთან გაეიგივებინა.

კათართა, ანუ, ბერძნულად, განწმენდილთა ერესი შემოტანილი იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან, კერძოდ, ბულგარეთიდან და მერე იუგოსლავიიდან, სადაც ამ მოძღვრებას ბოგომილობას უწოდებდნენ. ეს უკვე აღარ იყო ქრისტიანობა.

თუმცა ამ განსხვავებას შუა საუკუნეებში მხოლოდ ზოგიერთი განსაკუთრებით გონიერი ინტელექტუალი თუ გრძნობდა. მათ შორის იყო ვინმე **პიერ დე ვო-დე-სერნეი**, რომელიც წერდა: "ვალდენსები თუმც ცუდები იყვნენ, სხვებსავით გარყვნილები მაინც არ ყოფილან: მათი მოძღვრება ჩვენსას ჰგავდა და სულ რამდენიმე პუნქტით განსხვავდებოდა".

სწორედ ამის გამო შემორჩა დღემდე ვალდენსთა ეკლესია. მათი მოძღვრები დღესაც განსაკუთრებული განათლებულობით გამოირჩევიან, მათ აქვთ საკუთარი თეოლოგიური ფაკულტეტები, ძალიან დაფასებულნი არიან დასავლეთ საქრისტიანოში და კათოლიკე ღვთისმეტყველებთან ხშირად ერთობლივ სასულიერო კონფერენციებს მართავენ. ბევრი კათოლიკე მღვდელი ვალდენსურ ფაკულტეტებზე ეცნობა საღვთო წერილის ეგზეგეტიკას. მაგრამ შუა საუკუნეებში, როცა ვითარება საგრძნობლად შეიცვალა, როცა ეკონომიკური და პოლიტიკური შურით აღვსილმა ჩრდილოეთმა სამხრეთის დარბევა განიზრახა და ამაში წმიდა საყდარმა, თვით პაპმა ინოკენტი III-მ დაუჭირა მხარი, არავის შეუწუხებია თავი სალვთისმეტყველო დეტალების გარჩევით და მასობრივ ჟლეტაში მოყოლილ ერეტიკოსთა შორის ალბათ ვალდენსიც იმდენივე აღმოჩნდა, რამდენიც კათარი.

კათარიზმი XI საუკუნეში შემოიტანეს საფრანგეთში სტუდენტებმა და ვაჭრებმა. ამიტომ იყო, რომ XIII საუკუნის გალისიის ერთმა ეპისკოპოსმა, **ლუკას ტუდელმა** დამცინავად აღნიშნა: "შეგხვედრიათ ახალ აღთქმაში ცნობა იმის შესახებ, რომ ქრისტეს მოციქულები ბაზრობებზე დაეხეტებოდნენ მაყუთის გასაკეთებლად?".

ვაჭრებთან ერთად შემოსული მოძღვრება უკვე კათოლიციზმის რეფორმის ცდა კი არა, დამოუკიდებელი რელიგია იყო და მისი პრინციპი რადიკალურად განსხვავდებოდა ქრისტიანობისგან. ერთღმერთიანობის, მონოთეიზმის ნაცვლად კათარები დუალიზმს აღიარებდნენ: მათი რწმენით ყოველივე სულიერი კეთილმა ღმერთმა შექმნა, ხოლო ყოველივე მატერიალური — ბოროტმა. ამ ორ ღმერთს შორის ერთგვარი თანასწორობა სუფევდა. ოღონდაც კათარების თვალში ყველაფერი ფიზიკური და ნივთიერი საძაგელი იყო. ფიზიკური კონტაქტი მათ დაცემად, სისაძაგლედ და მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნდათ. შესაბამისად, კათარების რელიგია თეორიულად კიცხავს ქორწინებას, ოჯახს, ბავშვების გაჩენას. უკიდურესობამდე მიყვანილი ეს მოძღვრება დასაშვებად მხოლოდ განცალკევებულად მცხოვრები სულიერი ჭვრეტით დაკავებული ინდივიდების არსებობას აღიარებს.

პრაქტიკულად ამ პრინციპების განხორციელება, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო, ამიტომ მათ მისდევდნენ მხოლოდ ერთეულები, რომელთაც *სრულყოფილებს* უწოდებდნენ. კათართა შავით მოსილი ეს ელიტა შეადგენდა სულიერ მოძღვრებს. დანარჩენებს, უბრალოდ, მორწმუნეებს ეძახდნენ.

აშკარაა, რომ ფილოსოფიური თვალსაზრისით ეს იდეური სისტემა ქრისტიანობაზე გაცილებით უფრო დაბლა დგას. სულისა და ხორცის დაპირისპირებულობის ახსნა ღმერთის გაორების საშუალებით, უეჭველია, ძალიან პრიმიტიული და გამარტივებულია. ქრისტიანობა ცდილობს შეარიგოს ერთმანეთთან ორი ობიექტურად დაკავშირებული საწყისი, კათარიზმი კი მათ გადაჭრით განცალკევებას ესწრაფვის.

კათარები ამბობდნენ, რომ მათი მოძღვრების გარეთ დარჩენილნი ყველანი დემონები არიან. ასევე დემონები არიან ბავშვებიც. ეს სიმკაცრე და ადამიანის ყველაზე ძირეული ინსტინქტების უარყოფა ხშირად ხელს უშლიდა მათ ქადაგებას. ქრონიკაში აღწერილია ერთი გლეხი ქალის დიალოგი კათართა მოძღვართან:

— რატომ დაიხოცნენ ჩემი შვილები?

— იმიტომ რომ ისინი დემონები იყვნენ.

ამის შემდეგ ქალმა აღარ ისურვა კათართა ქადაგებებზე დასწრება. უფრო მეტიც, მან ერეტიკოსთა წინააღმდეგ ჩვენება მისცა ინკვიზიციას და აღიარა, რომ ქმარი ხშირად სცემდა კათართა მიმართ ზიზღისთვის დასასჯელად.

კათართა ფანატიზმი მორწმუნეთა სიკვდილისკენ მისწრაფებაშიც გამოიხატებოდა. სიკვდილის პირას მისულ კათარს მოძღვრები სპეციალურ რიტუალს უტარებდნენ. ამას ნუგეშისცემა ეწოდებოდა. რიტუალი ძალიან მარტივი იყო, მაგრამ ამის შემდეგ უკვე ნამდვილად აღარ შეიძლებოდა მიწიერი წესებით ცხოვრება. ინკვიზიციის ოქმებში შემორჩა ჩანაწერი ერთი მოხუცი ქალის ჩვენებისა: "ჩემი ქალიშვილი ორი დღის განმავლობაში მიმალავდა საჭმელსა და სასმელს, რომ ჩემზე აღსრულებული ნუგეშისცემის მადლი არ დამეკარგა. მხოლოდ მესამე დღეს მოვახერხე საჭმლის შოვნა და გამოვჯანმრთელდი". იმ დროს უბრალო გაციებაც კი სასიკვდილო საფრთხედ აღიქმებოდა, ასე რომ საბრალო ქალის მდგომარეობა მით უფრო სავალალოდ წარმოგვიდგება.

მაშ როგორღა მოახერხა ამ უცნაურმა, ყოველივე ადამიანურის უარმყოფელმა მოძღვრებამ ასე ფართო გავრცელება სამხრეთ საფრანგეთში?

საქმე ისაა, რომ მკაცრი ასკეტიზმი რეალურად მხოლოდ მცირერიცხოვან სრულყოფილებს მოეთხოვებოდა. ეს მოძღვრები საკმაოდ ცბიერად იქცეოდნენ: სხვებს ისინი არაფერს ახვევდნენ თავს. მორწმუნეთა მასას დაქორწინებისა და ბავშვების გაჩენის ნებას რთავდნენ. საკმარისი იყო, სიკვდილის წინ ნუგეშისცემის რიტუალი მიეღოთ. ჩვენს მიერ უკვე ნახსენები ქრონისტი, პიერ დე ვო-დე-სერნეი წერს: "უბრალო მორწმუნეებად წოდებული ერეტიკოსები ამა სოფლად ცხოვრებას განაგრძობენ. ისინი აგრძელებენ მევახშეობას, ქურდობას, მკვლელობას, ფიცის გატეხვას, ყველა ხორციელ ცოდვიანობას. მით უფრო თავდაჯერებულად და ხალისიანად სცოდავენ, რომ არც აღსარება ევალებათ და არც სინანული. ფიქრობენ, რომ სიკვდილის წინ "მამაო ჩვენოს" წაიკითხავენ, წმიდა სულს ეზიარებიან და ეს კმარა მათ საცხოვნებლად".

ამის გარდა კათართა მოძღვრები პოპულისტურ გაცხადებებსაც მიმართავდნენ: ხალხში ისედაც საყოველთაოდ იყო გავრცელებული მდიდარი და სხვათა უბედურების მიმართ გულგრილი სამღვდელოებისადმი სიძულვილი. კათართა კომპაქტურ თემებში საერთოდ არ იყო აღიარებული კერძო საკუთრება: ფული აქ საერთო კუთვნილებაში იყო და ყველაზე თანაბრად ნაწილდებოდა.

აქვე იყო პროპაგანდის სხვა არანაკლებ ქმედითი ფორმებიც. კათარები ქადაგებდნენ, რომ არ არსებობს არც განსაწმენდელი და არც ჯოჯოხეთი, რადგან სასჯელის ერთადერთი ადგილი დედამიწაა, ამქვეყნიური ტანჯვით აღსავსე ცხოვრება. ყველა სული, რომელიც კი ერთი ხორციელი სხეულიდან მეორეში მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ პროცესს გაივლის, საბოლოოდ, ცხოვნდება. ეს პერსპექტივა, რა თქმა უნდა, იზიდავდა ბრბოს. მორწმუნეები არ ფიქრობდნენ, როგორ შეიძლება ერთმანეთს ეთანხმებოდეს საყოველთაო საბოლოო ნეტარების რწმენა დემონების არსებობასა და ცხოვნების უარყოფას მათთვის, ვინც სექტაში არ შედის.

ამის გარდა კათართა რელიგია არ სცნობდა ყოვლადწმიდა სამებას. იესო ქრისტე მათთვის მხოლოდ ერთ-ერთი ქმნილება იყო, პირველი ხარისხის ანგელოსი. სული წმიდა კი — ზეციური გონების წინამძღოლი. ღვთის განკაცების ყველა თეოლოგიური პრობლემა ერთბაშად იხსნებოდა იმის გამო, რომ კათარების რწმენით იესო ქრისტემ მხოლოდ ილუზორულად, მოჩვენებითად მიიღო ადამიანის სახე. იხსნებოდა მკვდრეთით აღდგომის პრობლემაც, რადგან კათართა რწმენით მხოლოდ სულები ეწეოდნენ მარადიულ სიცოცხლეს.

საინტერესოა, რომ ბოროტი ღმერთის აღიარებაც არ აფრთხობდა მორწმუნეთა მასებს: ოფიციალური ეკლესია იმდენს უჩიჩინებდა სატანისა და მისი სასჯელის შესახებ, რომ ეშმაკი მათ გონებაში უკვე რაღაც დამოუკიდებელი ღმერთის მაგვარი იყო. კათართა მოძღვრები ქადაგებისას არ ცდილობდნენ რელიგიის ეგზოტიკური მხარეების ხაზგასმას და ძველ სარწმუნოებასთან მსგავსებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. მაგრამ განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა მოსახლეობაზე კათართა პატიოსანი ცხოვრების წესი, რომელიც, უეჭველია, საგრძნობლად განსხვავდებოდა იმ სავალალო სურათისგან, რომელიც ქრისტიანულ ქრონიკებშია დახატული.

ასეა თუ ისე, კათარებს ვერაფერმა უშველა, თუმცა მათ წინააღმდეგ მახვილის ასაღებად ქრისტიანებს ბევრი პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორის დამთხვევა დასჭირდათ.



ერეტიკოსი ინანიებს ეპისკოპოსის წინაშე

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეჟარაშვილი*

# მაიკლ ჯექსონს დიდ ბრიტანეთში არ ელიან

## მომღერალი თავის მართლებას აგრძელებს

*მაიკლ ჯექსონს დიდ ბრიტანეთში დაგეგმილი საშობაო ტურნეს გადადება მოუხდა. ახალი ალბომის - Number Ones-ის ბრიტანული პრეზენტაციის ნაცვლად, ჯექსონი კვლავაც თავს იმართლებს და ამტკიცებს, რომ იელოვას მოწმედ რჩება.*

პოპ-მუსიკის თვითმარქვია მეფემ ჯერ პედოფილიაზე ბრალდებასაც ვერ გასცა დამაჯერებელი პასუხი, რომ უკვე იძულებულია საკუთარი აღმსარებლობის ერთგულება უმტკიცოს მსოფლიო საზოგადოებას. როგორც ცნობილია, 20 დეკემბერს "ნიუ იორკ პოსტმა" გამოაქვეყნა სტატია, სადაც წერილის ავტორი სანდო წყაროზე დაყრდნობით იუწყებოდა, რომ ჯექსონმა ძმის ძალდატანებით ისლამი მიიღო. მომღერლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა და ოჯახის ადვოკატმა უარყვეს გაზეთის ინფორმაცია. "ეს სიცრუეა", – ასე უპასუხა ამის შესახებ ჯექსონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა სტიუარტ ბეკერმანმა ამერიკული ტაბლოიდური გამოცემა "დეილი ნიუსის" ჟურნალისტს. ჯექსონის კიდევ ერთი ახლობელი, ადვოკატი ბრაიან ოკსმანი ამბობს, რომ არ სჯერა "ნიუ იორკ პოსტის" მტკიცებულებების. "მაიკლი ყოველთვის იყო "იელოვას მოწმეების" მიმდევარი და მისი ოჯახი ამის წინააღმდეგ არასდროს წასულა", - ასეთია ოკსმანის მოსაზრების საფუძველი. ჯექსონის ახლობლები ერთმანეთთან აკავშირებენ "ნიუ იორკ პოსტის" წერილის დაბეჭდვასა და ჯექსონის დაპატიმრებას (ორივე 20 დეკემბერს მოხდა) და ირწმუნებიან, რომ ეს უბრალოდ, მაიკლის წინააღმდეგ აგორებული მორიგი ტალღაა. არის თუ არა გადაჭარბებული ხმები მაიკლ ჯექსონის გამუსულმანების შესახებ, ეს ალბათ მოგვიანებით გაირკვევა. მანამდე კი პოპ-ვარსკვლავს არასრულწლოვან ბიჭებთან სექსუალური ურთიერთობების თემაზე მოუწევს ოფიციალური პასუხის გაცემა. როგორც ცნობილია, ჯექსონის საქმესთან დაკავშირებული სასამართლო ექვს იანვარს დაიწყება. მაგრამ, როგორც ჩანს, გახმაურებული საქმის დახურვამდე, მომღერალს პრობლემები არ დაელევა.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, ჯექსონი დიდ ბრიტანეთში გასამგზავრებლად ემზადებოდა, როდესაც შეიტყო, რომ ნისლიან ალბიონზე მას არავინ ელოდა. ჯექსონი ბრიტანეთში ახალი ალბომის Number Ones-ის წარდგენას აპირებდა - დიდ ბრიტანეთში ხომ ჯექსონის ალბომი ძალიან კარგად იყიდება; ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უკეთესად, ვიდრე აშშ-ში. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ თებერვალში მარტინ ბაშირის ფილმის გამოსვლის შემდეგ (ფილმში მომღერალი აღიარებს, რომ მას პატარა ბიჭებთან ძინავს), ჯექსონის დისკების გაყიდვა ბრიტანეთში 1000 პროცენტით გაიზარდა.

ჯექსონის შემოქმედებაზე გაზრდილი მოთხოვნილების მიუხედავად, ბრიტანეთში 45 წლის პოპ-მუსიკის თვითმარქვია მეფის სარეკლამო ტურნეს შესახებ ცნობამ, მასობრივი პროტესტის სახე მიიღო. ტურნეს წინააღმდეგ ოფიციალური პირები, სამართალდამცავები და პარლამენტარებიც კი გამოვიდნენ. ბევრი მათგანი მოითხოვს აუკრძალონ ჯექსონს ქვეყანაში შესვლა.

ჯექსონის დაცვა აგრესიისგან ლონდონში მცხოვრებმა, მომღერლის დიდი ხნის მეგობარმა ური ჰელერმა გადაწყვიტა. როგორც თავად ჰელერმა განაცხადა, სწორედ მან ურჩია ჯექსონს სახლში დარჩენა. მეგობრის აზრით, რამდენიმე ოფიციალური პირის გაბოროტებამ, შეიძლება ჯექსონს ავნოს. როგორც ჩანს ჯექსონის გადაწყვეტილების შეცვლაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ინგლისის პრემიერ-მინისტრის თანაშემწის ჯონ პრესკოტის ტელეინტერვიუმ. გუშინწინდელ ინტერვიუში პრესკოტმა განცვიფრება გამოხატა, რომ ამერიკელი სამართალდამცავები ჯექსონს მსოფლიოში მოგზაურობის უფლებას აძლევდნენ იმ სერიოზული ბრალდებების წაყენების შემდეგ, რაზეც სასამართლოს საბოლოო პასუხი ჯერ კიდევ მიუღია. ამგვარად, ბრიტანეთის საზღვრები ჯექსონისთვის ჩაკეტილი აღმოჩნდა. თუმცა, მომღერლის წარმომადგენლის სტიუარტ ბეკერმენის თქმით, მაიკლ ჯექსონი აუცილებლად ჩავა ინგლისში და სრულიად შესაძლებელია, ეს დღესასწაულის შემდეგაც მოხდეს. ასე რომ, პედოფილიაში ბრალდებული ჯექსონის მიმართ ინგლისელების აღშფოთების მიუხედავად, პოპ-ვარსკვლავის გამგზავრება საბოლოოდ ჯერ არ გაუქმებულა.



# ბოსი - გასტროლების ბოსია



*ბრიუს სპრინგსტინი*

ჟურნალ "პოლსტარის" იანვრის გამოშვება დააინტერესებს ყველას, ვისაც სურს, ჩრდილოეთ ამერიკაში წლის საუკეთესო მუსიკალური ტურნეების ნუსხას გადაავლოს თვალი. სიის სრულად გამოქვეყნებამდე კი ცნობილი ხდება, რომ წლის ყველაზე შემოსავლიანი გასტროლი ბრიუს სპრინგსტინსა და მის ჯგუფს "ი სთრით ბენდს" გაუმართავთ. 30 ქალაქში ჩატარებული 47 კონცერტის შედეგად სპრინგსტინმა 115.9 მილიონი დოლარის მოგება დააგროვა და მეორე ადგილი გაინაღდა ყველა დროის საუკეთესო ტურნეებს შორისაც. შეგახსენებთ, რომ პირველობას ამ კატეგორიაში უკვე წლებია, არავის უთმობს "როლინგ სტოუნზი" თავისი 1994 წლის გასტროლითა და გაყიდული ბილეთებიდან შემოსული 121.2 მილიონი დოლარით.

წელს კი, ყველაზე შემოსავლიანთა ნუსხაში მეორე ადგილზე სელინ დიონი ლიდერობს. მან ლას ვეგასში 145 შოუ გამართა და 80.5 მილიონი დოლარი შეაგროვა.

რაც შეეხება დანარჩენ ათეულს, მას სავარაუდოდ "იგლზი", "ფლითვუდ მექი", შერი, საიმონი და გარფანკელი, "აეროსმიტი"-"ქისი" (ერთობლივი ტურნეთი), "დიქსი ჩიკსი" და ბილი ჯოელისა და ელტონ ჯონის ერთობლივი პროექტი დააკომპლექტებს. თუმცა, არა ასეთივე თანმიმდევრობით; როგორც "პოლსტარის" რედაქციაში აცხადებენ, მათ ჯერაც შესაჯამებელი აქვთ საბოლოო მონაცემები.

თუმცა, უკვე გარკვეულია ის, რომ წელს ახალი ფინანსური რეკორდი დამყარდა ზოგადად საკონცერტო ტურნეების კატეგორიაში. თუ შარშან ტურნეების მოგების რეკორდული მაჩვენებელი 2.1 მილიარდი დოლარი იყო, წელს ეს რიცხვი 2.5 მილიარდამდე გაიზარდა. ერთი სიტყვით, უკვე მეოთხე წელია, ჩრდილოეთ ამერიკაში გამართულ კონცერტებზე ბილეთები სულ უფრო მზარდი რაოდენობით იყიდება. "ეს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ რამდენი მუსიკალური ფაილის გადმოქაჩვაც არ უნდა შეძლო ინტერნეტიდან, ცოცხალ კონცერტზე დასწრების განცდას მაინც ვერსაიდან გადმოქაჩავ", - ასე ხსნიან საგასტროლო ბუმის მიზეზებს "პოლსტარის" ხელმძღვანელები და კიდევ ერთ რეკორდზე მიგვანიშნებენ: თურმე, ჯგუფმა "დიქსი ჩიქსმა" წელს ყველა დროის ყველაზე შემოსავლიანი ტურნე გამართა ქანთრის ჟანრის მუსიკაში და 56 ქალაქში შემდგარი 65 შოუდან 60.5 მილიონი დოლარი დააგროვა.

დანარჩენ რიცხვებსა და სახელებს კი "პოლსტარი" 12 იანვრის გამოცემისთვის ინახავს.

## TV პროგრამა

*24 დეკემბერი*

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.25** სერიალი "ჯადოქარი" **19.00** სერიალი "მაშველები" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **01.00** მხ.ფილმი "საათები". მთ. რ-ში: ჯულიანა მური, ნიკოლ კიდმანი

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" **10.10** მხ. ფილმი "გატეხილი ნალი" **11.30** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **11.45** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "ორიენტირი" **15.15** მხ. ფილმი "გალია ბოცვრებისთვის" **16.50** დოკ. სერიალი "პალიტრა" **17.20** 50-50 **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** ენერგია **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.35** კრიმინალური ქრონიკა **21.45** "მათი შვილები" **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი "ლამაზი ჯონი"

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "ქოფაკი" მთ.რ-ში ჯეისონ ბიგზი, სტივ ზანი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** პროფათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** "ბრავო" "გოსფორდპარკი" მთ.რ-ში ემილი უოტსონი, კრისტინ სკოტტომასი. **02.00** "ღამურა" "ობობათა შიში" მთ.რ-ში ჯეფ დენიელსი, ჯულიან სენდსი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "ჯადოსნური ტყე" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "კრაზანების ბუდე" (სამი ნასერი) **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "დამოუკიდებლობის დღე" (ვილ სმიტი)

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი "იშვიათი ფრინველი" **21.00** და არს მუსიკა **21.20** ჩვენი მისამართია **22.10** მხ. ფილმი "წითელი პატეფონი"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "ძალიან საშიში ფილმი-2" **13.30** მხ. ფილმი "აზარტული თამაშები" **15.00** მხ. ფილმი "სასიკვდილო იარაღი 2" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ.ფილმი "მეწამული მდინარეები" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "დიდი საქმე" **22.30** მხ. ფილმი "თოვლის კაცი"

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** დოკ. ფილმი **11.00** სერიალი "ლიცეუმი" **12.50, 14.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "მატყუარა, მატყუარა" **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** დოკ. ფილმი **21.00** სერიალი "ლიცეუმი" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "მერცხლების ბულვარი"

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00** დღის ამბები **10.10** პროფილაქტიკა **17.30** დღის ამბები **17.50** ტელემეტრი **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "სირინოზები" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **20.20** მუსიკა **20.30, 00.00** დღის ამბები **21.10** სერიალი "მოჯადოება" **22.10** კონცერტი. ფრენკ სინატრა. **23.45** მოკლ. მხ. ფილმი **00.30** მხ. ფილმი "მრბოლელი"

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 10.00, 13.15, 16.45, 17.20, 00.40** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** მხ. ფილმი "განსაკუთრებული საფრთხე" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.25** ქრონიკა **17.25** ლარის მახე **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** არტ-ბულვარი **22.50** მხ. ფილმი "იოლი ფული"

### არხი

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** სათავგადასავლო ფილმი "რაინდის ისტორია" **11.40** მუსიკა **12.20** კომედია "ვინ არის კლეტის ტოტი" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მხ. ფილმი "მარტოხელის მართლმსაჯულება" **15.45, 18.50** მუსიკა **16.20** მულტსერიალი **17.20** ბოევიკი "პიკის საათი-2" **19.00, 22.00, 00.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **19.30, 01.00, 05.35** მუსიკა **19.50** ფანტასტიკა "თორმეტი მაიმუნი" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.30** კომედია "შესანიშნავი" **03.40** თრილერი "ბლეიდი შშ"

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.20** "აჩიკუდა" **09.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **10.30** მობილურები **10.50** ავტოტრეკინგი (განმეორებით) **11.50** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ -დასავლეთი" **12.40** დისნეი და მისი მეგობრები **13.05** აუდიო-ვიდეო-ტელე **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.45** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.20** "ნა-ნა-ნა" - კარაოკე **22.10** მობილურები **22.40** "კინოკლუბი " - "ვოროშილოველი მსროლელი". მძაფრსიუჟეტიანი . რეჟ. სტანისლავ გოვორუხინი. როლებში: მიხეილ ულიანოვი, ანა სინიაკინა. **00.05** მელოდია **00.20** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ -დასავლეთი" **01.00** აუდიო-ვიდეო-ტელე

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Детектив "Участок" 11.30, 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Чудеса на виражах" **13.20 Комедия "Городские пижоны" 15.20** Шоу "Город женщин" **16.20** "Угадай мелодию" **16.50 Сериал "Берег мечты" 17.50** "Большая стирка" **19.30** "Смехопанорама" **21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00, 00.30** "Время" **22.30 Детектив "Участок" 23.40** "Кремль-9". "Юрий Андропов. В лабиринте власти". Фильм 4 **00.50 Сериал "Ударная сила". "Стратегический резерв" 01.20** "Сканер" **01.50** "Гении и злодеи" **02.20 Комедия "Когда Гарри встретил Салли" 04.05 Комедия "Смех на 23-ем этаже" 05.50 Сериал "Полтергейст 4"**

### РТР

**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45 Худ.фильм "Тайны дворцовых переворотов. Россия. Век XVIII..."** Фильм 2 **11.30** Маленькие комедии "Ха" **11.45, 14.45, 17.30, 23.45** "Вести. Дежурная часть" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** Ток-шоу "Короткое замыкание" **13.50** "Сам себе режиссер" **15.30** Ток-шоу "Что хочет женщина" **16.30 Сериал "Право на защиту" 18.10** Ток-шоу "Частная жизнь" **19.05 Мелодрама "Ундина" 20.00 Сериал "Русские амазонки" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55 Худ.фильм "Тайны дворцовых переворотов. Россия. Век XVIII..."** Фильм 3 **00.00** "Вести+" **00.20** "Без галстука". С. Миронов **00.50 Детектив "Криминальный отдел" 02.15** "Синемания" **02.45** "Дорожный патруль" **03.00** "Горячая десятка" **04.00** "Агентство одиноких сердец" **04.25 Сериал "Ангелы Чарли"**

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **09.55 Сериал "Чужое лицо" 11.00** "Сегодня утром" **11.25** "Кулинарный поединок": И.Аллегрова - В.Квятковский **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.20** "Сегодня" **13.35** "Территория выживания" **14.00 Детектив "Возвращение резидента", 2 с. 15.35** "По праву" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Она написала убийство" 19.35** "Чистосердечное признание" **20.40 Сериал "Москва. Центральный округ", 11 с. 21.50 Сериал "Чужое лицо", 7 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.50 Боевик "Призрак и тьма" 02.45** "Гордон"

## სკანვორდი



**N330-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხი:** [illegible]

# წინასაშობაო ციებ-ცხელება პიკს აღწევს




წინასაშობაოდ კლიენტურის ცდუნება ის უპირველესი საზრუნავია, რომელიც ყველა ევროპულ მაღაზიას აერთიანებს ამსტერდამიდან მილანის ჩათვლით.

ცდუნება კი, პირველ რიგში, ფასდაკლებებს გულისხმობს და გრანდიოზული "სეილების" გამოცხადებას არც ერთ სავაჭრო ცენტრში არ ერიდებიან. თქვენც, თუ გაგიმართლათ და წინასაშობაო ფასდაკლებებს ევროპის რომელიმე ქალაქში ჩაუსწარით, აქედანვე გეტყვით, წარმატებული ვაჭრობისთვის როგორი შანსები გრჩებათ.

დავიწყოთ ამსტერდამით. ქალაქის ცნობილ ცენტრში Bijenkorf-ში ძალიან იაფად ჰყიდიან ტომი ჰილფიგერის ნაწარმს. მაგალითად, "ტომის" ყელიანი სვიტერები 30 პროცენტითაა ჩამოფასებული და 70 ევრო ან 86 დოლარი ღირს.

მილანში, ვია მონტე ნაპოლეონეზე მდებარე ივ სენ ლორანის მაღაზიას კი ძვირფასი ჩანთების მოყვარულები უნდა ეწვიონ. იქ 745 ევროდ შეფასებული ჩანთები სახელად "მომბასა", ნამდვილი რქის სახელურით, ახლა 447 ევრო ღირს.

20 პროცენტიან "სეილს" აცხადებს "მატალანიც" – ბრიტანეთში უდიდესი ფასდაკლებებით მოვაჭრე ცენტრიც.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ მასშტაბურ ფასდაკლებებს მაღაზიები ერთგვარი კრიზისის გამო აცხადებენ. ევროპელები ხომ წელს 12 პროცენტით ნაკლებ თანხას ხარჯავენ საჩუქრებზე და სეილების იმედით ვაჭრობას ბოლო წუთებამდე – 25 დეკემბრამდე დებენ. იგივე დასტურდება სპეციალური კვლევითაც, რომელიც საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში ჩაატარეს.

"წინა წლებს რომ შევადაროთ, წელს ყველაზე რთულად გადასატანი საშობაო პერიოდი გვიდგას", - ვარაუდობს "არკადია ჯგუფის", ბრიტანეთში სიდიდით მეორე საცალო ვაჭრობის კომპანიის პრეზიდენტი.

"წელს ევროპელი კლიენტები თავს უფრო ღარიბად მიიჩნევენ", - ასკვნის "ბენეტონის" ჯგუფის აღმასრულებელი დირექტორი სილვანო კასანოც.

სწორედ ამ სევდიანი დასკვნების გამოა, რომ წინასაშობაოდ მაღაზიები კლიენტებს ათასგვარ მახეს უგებენ:

ფრანგული Carrefour-ი მომხმარებელს სათამაშოს 250 სახეობაზე რეკორდულად დაბალ ფასებს სთავაზობს.

ამსტერდამში, უფრო ზუსტად კი ისევ Bijenkorf-ის სავაჭრო ცენტრში საშობაო ორნამენტებით შეფუთულ "ესპრიტის" საცვლების კომპლექტს 14.95 ევროდ ჰყიდიან. გარდა ამისა, 25 დეკემბრის მოახლოებასთან ერთად ცენტრი ზრდის სამუშაო დღის გრაფიკსაც.

იგივე ხდება ინგლისში, კერძოდ კი, უოტფორდის სავაჭრო ცენტრში, იქ დილის ცხრიდან საღამოს ცხრამდე მუშაობენ და კლიენტების მიზიდვას იმითაც ცდილობენ, რომ მათ ავტოსადგომზე მანქანების გაჩერებაში ფულს აღარ ახდევინებენ. ერთი სიტყვით, წინასაშობაო ციებ-ცხელება პიკს უახლოვდება და სულ უფრო მეტი საჩუქარი ინაცვლებს მაღაზიის დახლიდან შინ, ლამაზად მორთული ნაძვის ხის ქვეშ...

# ზეციური რეკლამა


*ეს სივრცე მალე რეკლამით შეივსება*

სცადეთ: წუთით მოაშორეთ ამ სტრიქონებს თვალი და ირგვლივ მიმოიხედეთ – თქვენს გარშემო მინიმუმ ერთ რეკლამას მაინც შენიშნავთ.

მომხმარებლის ინფორმირების საბაბით, რეკლამას სხვადასხვა კომპანიები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულში ჩრიან. ერთადერთი ყველაზე უსაფრთხო ადგილი ამ მხრივ აქამდე თვითმფრინავი იყო, თუმცა, როგორც ახლა ირკვევა, მალე მომხმარებელი მოსვენებას ცაშიც დაკარგავს. ავიახაზებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, ახალი წლიდან თვითმფრინავები რეკლამებით საგულდაგულოდ გააჯერონ.

ამ საქმის ერთგვარი ნოვატორი კი გახლავთ მცირე, ლოკალური ავიაკომპანია "ამერიკა ვესტი". მისი თვითმფრინავები უკვე ერთი თვეა გადმოსაშლელ მაგიდაზე დაბეჭდილი რეკლამებით დაფრინავს. რეკლამის შემკვეთებს შორის კი არიან: "მერსედეს ბენცი", "ბენქ ოფ ამერიქა" და "ჰისთორი ჩენელი".

"ეს ნოვატორული სარეკლამო სივრცეა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ახალ-ახალი ნაწარმის შესახებ ინფორმაცია ფრენის დროსაც მიიღოს", - აცხადებენ "ამერიკა ვესტის" ხელმძღვანელები. ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, ჭრელა-ჭრულა რეკლამების თვალიერება, ჯობია ცარიელ მაგიდაზე პლასტმასის პატარა ჭიქაში ჩამოსხმული ლუდის ყურებას და იმაზე ნერვიულობას, ჩამოეძინება თუ არა თქვენს მხარზე თავჩამოდებულს გვერდით მჯდომ მსუქან ბიძიას.

თუმცა, მეორეს მხრივ, თვითმფრინავის ბორტზე რეკლამის დაშვება მოსვენების სამუდამოდ დაკარგვასაც ნიშნავს. თუ "ამერიკა ვესტი" ამ ეტაპზე ერთადერთი ავიაგადამყვანია, მალე მას ხომ დანარჩენი კომპანიებიც შეუერთდებიან.

გადმოსაშლელი მაგიდების რეკლამებს კი ლას ვეგასური ფირმა "სქაი მედია ინტერნეშნლ" ამზადებს. "ლოკალური რეისებით ფრენის საშუალო ხანგრძლივობა 2.5 საათია. ეს იმას ნიშნავს, რომ რეკლამის შემკვეთები ისეთი დონის ყურადღებასა და გავლენას მოიპოვებენ მომხმარებლისგან, როგორზეც სხვა ტიპის მედიაში ვერც კი იოცნებებდნენ", - აცხადებს ფირმის პრეზიდენტი ნიკ პეჯიკი.

არსებობს მეორე ფირმაც, "ედვენთ ედვერთაიზინგი", რომელიც შემკვეთებს სარეკლამო პლაკატების განთავსებას სავარძლების თავზე ჩამონტაჟებულ თაროებზე სთავაზობს. "ამით ხომ თვითმფრინავების ინტერიერიც უფრო გალამაზდება, რეკლამის შემკვეთებს კი პირველად მიეცემათ საშუალება კლიენტებთან ასეთი უშუალო და ხანგრძლივი კონტაქტი დაამყარონ", - განმარტავენ ფირმაში.

ასე რომ, ცხადია, რეკლამა 2004 წლიდან თვითმფრინავებში აუცილებლად მოიკიდებს ფეხს, რითაც, პირველ რიგში, 11 სექტემბრის შემდეგ კრიზისულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ავიახაზები იხეირებენ. მანამდე კი, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.











## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

